პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- საბჭოთა კავშირში მოემგზავრება ამერიკის საფეიქრო მრეწველობის წარმომადგენელთა დელეგაცია.
- იტალია-თურქეთის მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.
- ამანულა-ხანის ჯარები ქაბულისაკენ მიიწევენ.—არევ-დარევა ბაჩა-საკაოს ჯარებში.
- გაიხსნა შეერთებული შტატების კომკავშირის—მეხუთე ყრილობა.
- „გლოს პრავდი“-ს პროვოკაციული წერილი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.
- პოლიტიკური მდგომარეობის გართულება რუმინეთში.
- კატასტროფიული მიწისძვრა თურქმენისტანში და სპარსეთში.

შაბათი, 4 მაისი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 99 (2445)

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შედეგები და უახლოესი ამოცანები

ამხ. იაკოვლევის მოხსენება საქ. კომპარტიის (ბ) XVI კონფერენციის 27 აპრილის სხდომაზე

საბჭოთა ქვეყანაში მუშათა კლასმა და კომპარტიამ უდიდესი ამოცანები დაისახეს. ეს ამოცანებია: მრეწველობის გენერალური რეკონსტრუქცია, ინდუსტრიის სწრაფად განვითარება და სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმის დაწყება. ეს ამოცანები არა თუ დავისახეთ, შეუდექით კიდეც მათ პრაქტიკულად გადაწყვეტას. ხუთწლიანი გეგმის ციფრები მოწმობენ, რომ ამ ამოცანებს ვწყვეტთ ეხლავე, პრაქტიკული მუშაობის პროცესში.

მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის საჭიროა ჩვენი სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაცია. აპარატის ერთი თვისება საჭიროა იმისათვის, რომ განმტკიცდეს გლეხობასთან კავშირი მასთან ვაჭრობის ნიადაგზე, ხოლო მეორე—იმისათვის, რომ განმტკიცდეს მასთან კავშირი არა მარტო ვაჭრობის, არამედ კოლექტივების, საბჭოთა მეურნეობების და კონტრაქტაციის ნიადაგზე. ბიუროკრატიზმის შესახებ შემუშავებული თეზისების მთავარ თემას წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი მიმართულებით უნდა სწარმოებდეს პარტიის მუშაობა იმისათვის, რომ მართვა-გამგეობის აპარატი შეეფარდდეს ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის სფეროში.

შესრულების შემოწმება--მუშაობის მთავარი საგანია

მე ვფიქრობ, ყველამ მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ ამ თეზისებში პირველი ადგილი უჭირავს და განსაკუთრებით ხაზი აქვს გასმული შესრულების შემოწმების საკითხს.

არც ერთ ბურჟუაზიულ ქვეყანაში არ სდგას ასეთი საკითხი. რატომ? იმიტომ, რომ არც ერთ ძველ ბურჟუაზიულ ქვეყანაში არ არის ერთმანეთს დაშორებული ქვეყნის პოლიტიკური და სამეურნეო წყობილება და ის სახელმწიფო აპარატი, რომელიც ამ წყობილებების დავალებებს ასრულებს. ბურჟუაზიული საფრანგეთის სახელმწიფო აპარატი, რომლის ჩამოყალიბებაც ხდებოდა 100—120 წლის განმავლობაში, სრულებით არ ეწინააღმდეგება ამ ქვეყნის კაპიტალისტურ წყობილებას. ბურჟუაზიას აქვს სრული გარანტია, რომ მისი მთავრობის ყოველ გადაწყვეტილებას, მისი პარლამენტის ყოველ დადგენილებას მთელი აპარატი სისწორით და თავის დროზე შეასრულებს. გვაქვს თუ არა ჩვენ ასეთი გარანტია? რასაკვირველია, არა. მემამულეთა და ბურჟუაზიული რუსეთის ძველი აპარატი დავანგრიეთ, როგორც მუშათა კლასისა და გლეხობის დამმონებელი, შემავიწროვებელი მანქანა. მაგრამ იძულებული გავხდით ახალი აპარატი შეგვექმნა უმთავრესად იმ ხალხისაგან, რომელიც ძველმა წყობილებამ დაგვიტოვა მემკვიდრეობად: ამ აპარატის ბევრი ნაწილი პირდაპირ გადავიტანეთ ჩვენს აპარატში. ამის შედეგია ის, რომ ჩვენ, როგორც საბჭოთა ქვეყანას, არა გვაქვს გარანტია, რომ ჩვენი მთავრობის ორგანოების გადაწყვეტილებებს მართლაც შეასრულებს აპარატი, რომელიც უმთავრესად თავისი პირადი შემადგენლობით უცხოა ჩვენთვის.

მეორე მიზეზი იმისა, რომ შესრულების შემოწმების ამოცანა სწორედ ეხლა დადგა განსაკუთრებით მწვავედ, არის ეხლანდელი მომენტის თავისებურებანი, რომლებიც ამ კონფერენციამ უნდა განიხილოს. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ პირობებში, როცა ჩვენ სოციალისტურ შეტევას გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევს კულაკი, რომელსაც ეშინია თავისი პოზიციების დაკარგვის. კულაკი, ბევრ შემთხვევაში კი ნეპმანი და ბურჟუაზიული ინტელიგენტები, რომლებიც ჩვენს აპარატში სხედან, გაშლილ კლასობრივ ბრძოლაში ცდილობენ ჩვენი სახელმწიფო მანქანის ზოგიერთი ნაწილი გამოიყენონ საკუთარი მიზნებისათვის. ამიტომ შესრულების შემოწმების საკითხი ხდება ცენტრალურ საკითხად, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, გაცილებით მეტი, ვიდრე რამოდენიმე წლის წინად ვაქცევდით ამ საკითხს.

სურსათის დამზადებამ წარსულ წელს გამოააშკარავა, რომ ჩვენი აპარატის ზოგიერთმა ნაწილმა კულაკთან მეგობრობა არჩია პარტიული დირექტივებისა და საბჭოთა კანონების პირდაპირ და სისწორით შესრულებას. ისეთი ორგანიზაციების გამოცდილებამ, როგორიცაა სმოლენსკის ორგანიზაცია, გვიჩვენა, რომ არსებობენ მთელი ორგანიზაციების ზედაფენები, რომლებიც, კლასობრივად მტრულ ელემენტებთან შეზრდის გამო, მუშათა მასებისაგან მოწყვეტის გამო, ხდებიან ჩვენთვის უცხო ელემენტების იარაღად. ბოლოს, ამასვე მოწმობს წარსული წლის სასოფლო - სამეურნეო გადასახადის გატარების გამოცდილება, როცა ინდივიდუალურად უნდა დაბეგრილიყო მეურნეობათა დაახლოვებით სამი პროცენტი, დაიბეგრა კი მხოლოდ 1 ნახ. პროცენტი, ამასთან ეს ინდივიდუალური დაბეგვრა ძალიან ბევრ შემთხვევაში გამოყენებულ იქნა საშუალო გლეხის და არა კულაკის მიმართ და ჩვენ იძულებულნი ვიყავით ზევიდან გაგვესწორებია შეცდომები. ეს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მუშაობის რომელი დარგიც არ უნდა ავიღოთ, შესრულების შემოწმების საკითხი სდგება პოლიტიკის ცენტრალურ საკითხად, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის მთელი ჩვენი გეგმის ცენტრალურ საკითხად.

პარტიის ცკას თეზისების მიხედვით შესრულების შემოწმება ნიშნავს არა მარტო იმის შემოწმებას, თუ როგორ სრულდება ჩვენი კანონები და დირექტივები. შესრულების შემოწმებაში არის მეორე მხარეც—ადგილობრივი გამოცდილებით შემოწმება იმისა, თუ რამდენად კარგია ცენტრალური დირექტივები და მითითებანი.

ერთპიროვნული პასუხისმგებლობისა და ერთპიროვნული გამგებლობის შესახებ

შესრულების შემოწმებასთან განუყრელად დაკავშირებულია ორი რამდენამდე პოლიტიკური საკითხი: პირველი — ერთპიროვნული პასუხისმგებლობის და ერთპიროვნული გამგებლობის საკითხი, ხოლო მეორე — კომუნისტების მუშაობის ხარისხის საკითხი. ცხადია, ზედმეტია ლაპარაკი შესრულების შემოწმებაზე, თუ არ არის გამორკვეული, ვინ აგებს პასუხს ამისათვის, თუ ირგვლივ უპასუხისმგებლობაა გამეფებული და სახელმწიფო აპარატის მუშაკები არა გრძნობენ პასუხისმგებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წელს აპარატი რამდენადმე შემოკლდა და გამარტივდა, ჩვენი მიღწევები ამ მხრივ მეტად უმნიშვნელოა. ჩვენი მუშაობის სისტემაში შესრულების შემოწმება არ შეიძლება ნამდვილად განვახორციელოთ იმის გამო, რომ არ ვიცით — ვინ რისთვის აგებს პასუხს და ვინ რას აკეთებს?

შემეძლო მომეყვანა მაგალითები ყოველი ორგანოს მუშაობიდან. ავიღებ ერთ მაგალითს ჩვენი კანონმდებლობიდან, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მოკავშირე რესპუბლიკებთან. საქმე ეხება მეტად უბრალო ფაქტს — 1928 წლის ივნისში გამოცემულ იქნა კანონი კაპიტალური მშენებლობის გაუმჯობესების ზომების შესახებ. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ვაჭრობის სახ. კომისარიატს დაავალა — ორი კვირის განმავლობაში დაემუშავებიათ სავაჭრო წარმომადგენლობებთან ტეხნიკური ბიუროების დაარსების საკითხი. ამ ტეხნიკურ ბიუროებს ჩვენი ორგანოებისათვის ხელი უნდა შეეწყოთ საზღვარგარეთის ტეხნიკური გამოცდილების გაცნობის საქმეში. სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭომ მთავრობის ამ დავალების შესრულება მიანდო ს. მ. უ. საბჭოს უცხოეთის განყოფილებას. უცხოეთის განყოფილებამ ეს საქმე დაავალა ერთ ამხანაგს, რომელმაც დავალება 4 დღეში შეასრულა. შემდეგ იწყება შეთანხმება სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შიგნით, უცხოეთის განყოფილების, სამეცნიერო - ტეხნიკური განყოფილების, მთავარ კომიტეტებსა და საიმპორტო საზოგადოებებს შორის და ოთხ დღეში დამუშავებული პროექტის შეთანხმება სახ. მეურნეობის უმაღლ. საბჭოს შიგნით გაგრძელდა სამ თვეს. მხოლოდ მას შემდეგ, როცა პროექტი დამტკიცებულ იქნა ს. მ. უ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ, ს. მ. უ. საბჭოს ერთ-ერთმა განყოფილებამ საჭიროდ დაინახა მიენდო ამ ტეხნიკური ბიუროებისათვის უცხოეთის მიღწევების შესახებ საინფორმაციო ცნობების მოთავსება ჩვენს პრესაში. შემდეგ იწყება შეთანხმება ფინანსთა და ვაჭრობის სახალხო კომისარიატებთან. ამას კიდევ ახალი სამი თვე მოუნდა. საერთოდ, რამოდენიმე დღის განმავლობაში შემუშავებული პროექტის შეთანხმებას უწყებათა შორის დაახლოვებით ნახევარ წელიწადს უნდებიან. როგორია ამ ნახევარი წლის განმავლობაში წარმოებული „შეთანხმების“ შედეგები? შედეგი შეამოწმა აქტით მუშათა და გლეხთა ინსპექციის ინსპექტორმა. აი ეს აქტი:

აქტი.

„9 თებერვალს მე, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ინსპექტორმა ოსიპიანმა და შმოტკინმა შევადარეთ ტეხნიკურ ბიუროს დებულების პირვანდელი პროექტი, დამუშავებული შემდგენელის მიერ 1928 წლის ივნისის პირველ რიცხვებში, საბოლოო პროექტს, რომელიც დაამტკიცა სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ და ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა 1928 წლის 5 დეკემბერს. შედარებიდან ირკვევა, რომ შეთანხმებას, რომელიც სწარმოებდა ამ დროს განმავლობაში ს. მ. უ. საბჭოს სამმართველოებს, საიმპორტო საზოგადოებებს, ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის სავალუტო და საბიუჯეტო სამმართველოებს შორის, და იმ სამ თათბირს, რომელიც ამ საგანზე უცხოეთის განყოფილებაში გაიმართა, არავითარ არსებითი ცვლილება არ შეუტანია დებულების პირვანდელ პროექტში, რომელიც შემუშავებულ იქნა უცხოეთის განყოფილების მიერ.

შმოტკინი, ოსიპიანი“

რად მოვიყვანე ეს მაგალითი? რაშია აქ საქმე? საქმე აქ ისევ იმ მოვალეობათა და პასუხისმგებლობის სისწორით განაწილებაშია, ურომლისოდაც შეუძლებელია შესრულების რაიმე შემოწმება.

აი კიდევ იმის მაგალითი, თუ როგორ ასრულებდნენ მოკავშირე რესპუბლიკები საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დავალებას სამშენებლო სამუშაოებისათვის ათისთავების სკოლის მოწყობის შესახებ. დავალება უბრალოა და ვადაც მცირე იყო დანიშნული— ორი თვე. ეს იყო 1928 წლის ივნისში. რა ბედი ეწვია მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებში სახკომსაბჭოს დავალებას? ორიოდე სიტყვა აპარატის მექანიკის შესახებ. ეს მექანიკა ასეთია: რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ეკონომიურმა საბჭომ მიიღო დავალება და იგი მთელი კვირის განმავლობაში შენახული ჰქონდა, ხოლო შემდეგ გადაუგზავნა მუშათა განათლების განყოფილებას. მუშათა განათლების განყოფილებამ გადაუგზავნა დავალების უშუალოდ შემსრულებელს, რომელმაც ეს სამუშაო რამდენიმე დღის განმავლობაში შეასრულა. კვლავ მივაქცევ თქვენ ყურადღებას იმას, რომ სამუშაო, რომელზედაც აქ ლაპარაკია, რამდენიმე დღის განმავლობაში იქნა შესრულებული. რა მოხდა ამის შემდეგ? პროფესიონალური განათლების მთავარმა სამმართველომ გადასწყვიტა ამ საკითხის შეთანხმება მშენებელთა ცეკასთან, და პროექტის მიღების 12 დღის შემდეგ უგზავნის ამ პროექტს მშენებელთა ც. კ.-ს, ხოლო ერთი თვის შემდეგ იქვე ჰგზავნის მასალას. მშენებელთა ცეკამ აირჩია ორი კომისია. მეთოდიური კომისია მუშაობდა მთელი თვის განმავლობაში, ხოლო ამ დრომდე მთელი თვის განმავლობაში მან ვერ მოახერხა სხდომის გამართვა. შემდეგ მოხსენებას გზავნიან ეკონომიურ საბჭოში. ეკონომიურმა საბჭომ ჯერ გააჩერა, 23 დღის შემდეგ კი საკითხი გადასცა მცირე სახკომსაბჭოს. მცირე სახკომსაბჭომ გამოჰყო კომისია. კომისიამ გამოიწვია პროფესიონალური განათლების მთავარ სამმართველოს წარმომადგენელი, მაგრამ იგი არ გამოცხადდა, რის გამოც საკითხი 3 კვირით გადაიდო. 3 კვირის შემდეგ მცირე სახკომსაბჭომ საკითხი განიხილა, მაგრამ გამოირკვა, რომ თურმე ფინანსიური ნაწილის დამუშავება არ ყოფილა დასრულებული. პროექტი გადაგზავნეს დამუშავების დასასრულებლად. კომისია ისევ მუშაობს, რის შემდეგ პროექტი ეგზავნება სახალხო კომისართა საბჭოს და 5 მარტს მცირე სახკომსაბჭომ ხსენებული პროექტი დაამტკიცა.

მივაქცევ თქვენ ყურადღებას იმას, რომ ფაქტიურად პროექტი დამუშავდა რამდენიმე დღის განმავლობაში. შემდეგ შვიდი თვის განმავლობაში მას თავის კბილებით მიათრევს ჩვენი მანქანა, მიათრევს სრულებით უაზროდ, ისე, როგორც მიათრევდა ს. მ. უ. საბჭოს მანქანა თავის კბილებით ტეხნიკური ბიუროების ორგანიზაციის პროექტს. რაშია აქ საქმე? შესრულების შემოწმებაში და, ამასთან დაკავშირებით, უფლებათა და მოვალეობათა დანაწილებაში და ნამდვილი პასუხისმგებლობის დაწესებაში.

ახლა გადავიდეთ უკრაინაზე, რომ რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკა ნაწყენი არ დარჩეს. იგივე ათისთავთა სკოლის საკითხი უკრაინაში შემდეგნაირად მიმდინარეობდა. უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ სამი კვირის ვადა მისცა განათლების სახალხო კომისარიატს მოხსენების წარსადგენად. განათლების სახალხო კომისარიატმა ეს მოხსენება 11 კვირის შემდეგ წარადგინა. შემდეგ პროექტი გაიგზავნა ფინანსთა სახალხო კომისარიატში. ერთი კვირის შემდეგ ფინანსთა სახალხო კომისარიატი სთხოვს სახალხო კომისართა საბჭოს — ერთი წლით გადასდოს განათლების სახალხო კომისარიატის პროექტის შესრულება. კიდევ ორი კვირის შემდეგ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე წინადადებას აძლევს ფინანსთა სახალხო კომისარიატს— განიხილოს ეს საკითხი. მაგრამ აპარატი თავისას მოითხოვს, უნდა ამა თუ იმ გზით თავისი გაიტანოს, და წინადადებას იძლევა განხილულ იქნას საკითხი მთელი განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობის 1928—29 წლის გეგმასთან დაკავშირებით. ბოლოს, სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით საქმე ერთი წლით გადაიდო, ხოლო განათლების სახალხო კომისარიატს დაევალა, ამ დროს განმავლობაში დეტალურად დაამუშაოს პროექტი. უკრაინის მთავრობის დადგენილებიდან ერთი თვის შემდეგ უკრაინის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა ამის შესახებ ცნობას უგზავნის საკავშირო სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობას.

როგორ სრულდებოდა ეს დავალება ბელორუსიაში? თუმცა ბელორუსიის განათლ. სახალხო კომისარიატს არა ერთხელ შეეკითხა იქაური ეკონომიური საბჭო, განათლების სახ. კომისარიატმა მაინც გადასწყვიტა ათისთავების სკოლის მოწყობის საკითხის განხილვა ხუთწლიან გეგმის იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება სპეციალისტებისა და კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადებას. ამიტომაც ამ შემთხვევაში არავითარი ლაპარაკიც არ შეიძლება მთავრობის დავალების შესრულების შესახებ.

ნება მომეცით, არ შევეხო სხვა რესპუბლიკებს, რადგან მათი მუშაობა ბევრად არ განსხვავდება მუშაობის იმ ტიპისაგან, რომელიც ზევითაა მოყვანილი.

იმ მიზნით, რომ მოვრჩეთ ორგანიზაციულ საკითხებს, ნება მომეცით განზრახ აღებულ წვრილმან ფაქტზე დაგანახვოთ, თუ რა გამოხატულებას ჰპოვებს უპასუხისმგებლობის არსებული სისტემა. იქნებ თქვენ მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ თეზისებში არის სპეციალური მუხლი, რომელიც ეხება ისეთ წვრილმანებს, როგორიცაა, მაგალითად, შემდეგი: უნდა შემოღებულ იქნას პრაქტიკაში, რომ შემსრულებელი მის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ უშუალო მოხსენებას უკეთებდეს იმ ორგანოს ან პირს, რომლის დავალებითაც შესრულებულია ესა თუ ის სამუშაო. შემსრულებლებმა აუცილებლად ხელი უნდა მოაწერონ მათ მიერ დამზადებულ ყველა მოხსენებას და ქაღალდებს, მიუხედავად იმისა, თუ სად იგზავნება ეს ქაღალდები. შემოღებულ უნდა იქნას ისეთი წესი, რომ ქაღალდს აუცილებლად ხელს აწერდეს ის, ვინც გააკეთა საქმე, რათა შესაძლო გახდეს შემოწმება.

ჩვენ განვიხილეთ ზოგიერთი ქაღალდები, რათა ჩვენი სინამდვილის ეს მოვლენები უფრო გასაგები გამხდარიყო. აქ მოვიყვან გზათა სახალხო კომისარიატის მაგალითს. გზათა სახალხო კომისარიატი შაქრის მრეწველობის ტრესტს აძლევს ცნობას, რომ რკინის-გზის ესა და ეს ხაზი არ არის შეტანილი მშენებლობის გეგმაში. უბრალო ცნობაა. თუ აპარატის მუშაობა სათანადოთ არის მოწესრიგებული, ასეთ ცნობას ხელს მოაწერს მხოლოდ სათანადო საფინანსო განყოფილება. ნამდვილად კი რა ხდება? ნამდვილად გზათა სახალხო კომისარიატის ასეთ ქაღალდს ხელს აწერს უშუალოდ აღმასრულებელი — ინჟენერი, საფინანსო ქვეგანყოფილების უფროსი, საამშენებლო ქვეგანყოფილების უფროსი და ნაგებობათა უფროსი. მაქვს უფლება ვიკითხო: ამ ოთხ პირს შორის ვინ იქნება პასუხისმგებელი, თუ ეს ცნობა სწორი არ აღმოჩნდა? არავინ. და აი აქ არის ჩვენი მუშგლეხინის უბედურება. როცა აღმოვაჩენთ ასეთ დეფექტს, ავწერთ მას და დავიწყებთ დამნაშავის ძებნას, აღმოჩნდება, რომ დამნაშავის პოვნა არც თუ ისე ადვილია, ვინაიდან იგი იმალება ზოგჯერ სამი და ზოგჯერაც ცამეტი ხელმოწერის იქით, ზოგჯერ სამი და ზოგჯერ კიდევ ხუთი კომისიის უკან.

ამასთან დაკავშირებით, საკითხი საბჭოთა დაწესებულებებზე მუშათა კონტროლის გავრცელების შესახებ დასმულია, როგორც პოლიტიკური დასკვნა იმ დებულებიდან, რომ აუცილებლად საჭიროა დაწესებულ იქნას შესრულების შემოწმება, ხოლო შესრულების შემოწმებასთან დაკავშირებით, შემოღებულ იქნას ერთპიროვნული პასუხისმგებლობა. ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს გამოცდილება, რომელსაც შევვიძლია დავეყრდნოთ. მაგრამ, როგორც ეს ნათქვამია თეზისებში, დროებითი მუშათა საკონტროლო კომისიები საბჭოთა დაწესებულებებში არჩეულ უნდა იქნან საბჭოებისა და საწარმოთა მუშების მიერ. საჭიროა ამ კომისიებს დაეკისროთ, როგორც უმნიშვნელოვანესი ამოცანა, შესრულების შემოწმება. ეს ნიშნავს იმას, რომ ამა და ამ განყოფილებაში ორი-სამი კვირით (არ არის საჭირო გაჭიანურება თვეობით და წლობით) მიდის მუშათა კომისია, რომელიც პერსონალურად სრულებით არ არის დაკავშირებული იმ ხალხთან, რომელნიც ამ მუშაობას ასრულებენ. კომისია ეუბნება მათ: თქვენ მოგცეს მთავრობის ან აღმასკომის ან საბჭოს ესა და ეს დადგენილება, როგორ შეასრულეთ, ძვირფასო მეგობრებო, საბჭოთა სახელმწიფოს მოსამსახურეებო, ეს დავალება? ვის დააკისრეთ სათანადო საქმე? როგორ ადევნებდით თვალყურს მის შესრულებას? რა გამოვიდა ამ საქმიდან? და როცა ასეთი კომისიები დაამუშავებენ საკითხებს და შემოიტანენ არა ჩვენთან, მუშათა და გლეხთა ინსპექციაში, რომლისაგანაც დამნაშავე უკიდურეს შემთხვევაში საყვედურს მიიღებს, არამედ ქარხანაში, ისე, როგორც ეს მოხდა ეხლა საჩივართა ბიუროს მუშა - მსაჯულთა მუშაობის დროს, —ეს აპარატის მუშაკებს აიძულებს იფიქრონ არა იმაზე, რომ როგორმე გაექცენ პასუხისმგებლობას, არამედ იმაზე, რომ სათანადოთ დააყენონ მუშაობა, რათა აპარატი ნამდვილად ასრულებდეს საჭირო მუშაობას და უმიზნოთ არ ღეჭავდეს ქაღალდებს.

სხვისი აზრების დამადასტურებელი კომუნისტები

შესრულების შემოწმების მეორე მხარეს წარმოადგენს პირადი პასუხისმგებლობის საკითხი. შესრულების შემოწმებას ჩვენ დაუკავშირეთ ორგანიზაციული საკითხი, მაგრამ შესრულების შემოწმებასთან უშუალოდ დაკავშირებულია აგრეთვე საკითხი იმათ შესახებ, რომელნიც მეთაურობენ ამა თუ იმ დაწესებულებას. სწორედ ამის გამო თეზისებში დასმულია საკითხი იმ კომუნისტების შესახებ, რომელნიც სხვისი აზრების განურჩევლად დადასტურების მეტს არაფერს აკეთებენ. აქ ჩვენ ვერაფერს დაუმატებთ იმას, რაც ამ საკითხზე სთქვა ლენინმა მე-XI ყრილობაზე. მაგრამ უმთავრესი, თუ რატომ გადაიქცა ამჟამად ეს საკითხი ასეთ მნიშვნელოვან საკითხად, მდგომარეობს იმაში, რომ კლასობრივი ბრძოლა გამწვავდა ბევრად უფრო მეტად, ვიდრე წინად იყო, და თუ ლენინი რამდენიმე წლის წინად ამბობდა: კომუნისტები, რომელნიც სათავეში უდგებიან დაწესებულებას, — ხოლო საბოტაჟის გამწევნი ხშირად ცდილობენ შირმად გამოიყენონ ისინი, — ბევრ შემთხვევაში გაბრიყვებულნი რჩებიან, — ეხლა გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში ლენინის ეს დებულება ხელ ახლა მკაფიოდ უნდა იქნას ხაზგასმული და მას პარტიის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ნება მომეცით სხვისი აზრების დამადასტურებელი კომუნისტების საკითხი დაგისურათოდ ერთი მაგალითით, ჩვენთვის უაღრესად სერიოზული მაგალითით, რომელმაც გვაიძულა შეგვეტანა თეზისებში არა მარტო პირადი პასუხისმგებლობის დაწესებისა და ფუნქციების სათანადო გადანაწილების საკითხი, არამედ საკითხი იმ კომუნისტების შესახებაც, რომლებიც განურჩევლად ადასტურებენ სხვის აზრებს, რომელნიც იქცევიან საბოტაჟის გამწევთა და მავნებელ სპეციალისტთა კუდად. ეს არის საკითხი ახლად აღმოჩენილი მავნებლობის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა მრეწველობის ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან დარგში. მავნებელი ორგანიზაცია მრეწველობის ამ დარგში დიდხანს მუშაობდა. რას წარმოადგენდა მავნებლობა ამ დარგში? იგი წარმოადგენდა შემდეგს. ჯერჯერობით, ძველ ქარხნებში წარმოების გაშლა-განვითარების, ამ ქარხნების მოწყობილობის გამოცვლისა და გაფართოვების და ახალი მშენებლობის დროს მავნებელნი ჰქმნიდნენ სუსტ ადგილებს. მაგალითად, განსაზღვრული პროდუქტის წარმოების დროს მთელი წარმოება მიმდინარეობს განსაზღვრული მასშტაბით, ხოლო წარმოების ერთ-ერთი დარგი, ურომლისოდაც მთელი პროდუქცია არ შეიძლება განხორციელებულ იქნას საჭირო რაოდენობით, ვითარდება ორჯერ-სამჯერ უფრო სუსტად. მეორე, — როდესაც საჭირო ხდება წარმოების ერთგვარი გადაჯგუფება, კონცენტრაცია ცალკე ქარხნებში, და სხვ., ეს ოპერაცია ისე ტარდება, რომ გზადაგზა დაიკარგოს მოწყობილება, გაიფანტოს იგი სხვადასხვა ქარხნებში, აღრიცხვას გამოეპაროს ამ მოწყობილების მრავალი ნაწილი და სხვ. მავნებლების მესამე ტიპს წარმოადგენს საწარმოთა არსებული სიმძლავრის შეგნებულად შემცირება. ადგენდნენ განზრახ შემცირებულ ცნობებს არსებული სიმძლავრის შესახებ, ამ ცნობების მიხედვით ადგენდნენ გაზვიადებულ მოთხოვნებს თანხებზე და სხვ., ადგენდნენ ისეთ სამუშაოთა პროგრამებს, რომელნიც ფაქტიურად საჭიროებას არ წარმოადგენდნენ, და ამით შეუძლებელს ხდიდნენ ფულის მოხმარებას ნამდვილად აუცილებელ და საჭირო საქმეებზე.

აი, მავნებლობის სამი ტიპი, რომლებიც გამოვამჟღავნეთ და ამით ბოლოც მოვუღეთ მათ.

რომ მრეწველობის აპარატში მავნებლები იყვნენ, — აქ საკვირველი არაფერია. ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს საქმის მეორე მხარეს. ხომ იყვნენ იქ კომუნისტები და გვარიანი კომუნისტებიც, გვარიანი ორგანიზატორები, ისეთი მუშაკები, რომლებმაც მუშაობის სხვა დარგებში ძალიან კარგად გამოიჩინეს თავი. და მაინც შესაძლებელი აღმოჩნდა, რომ დიდხანს სწარმოებდა მავნებელი მუშაობა და არც თუ ძალიან ძნელად შესამჩნევი გზებით.

როგორ მოხდა ეს? აი საკითხი, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა ჩვენს წინაშე სწორედ ეხლა, როდესაც კლასობრივი ბრძოლის საკითხი წამოიჭრა ჩვენს წინაშე, როგორც მთელი პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხი, როდესაც ჩვენ უკვე ჩავებით კლასობრივ ბრძოლებში.

ეს საკითხი მთლიანად დამოკიდებულია შესრულების შემოწმების საკითხზე. კომუნისტი უნდა ამოწმებდეს შესრულებას, უნდა ხელმძღვანელობდეს იმ მუშაკებს, რომელნიც მას ექვემდებარებიან, მას უნდა ახსოვდეს, რომ იგი სცხოვრობს და მუშაობს კლასობრივი ბრძოლის პირობებში. აი, როდესაც კომუნისტი ჰკარგავს კლასობრივ ალღოს, როდესაც იგი ჰკარგავს პასუხისმგებლობის გრძნობას, მაშინ შესრულების შემოწმების ნაცვლად გამოდის, რომ კომუნისტი „კუდად“ იქცევა.

დასკვნა აქედან დასახულია თეზისებში. საკითხი იმაშია, რომ ჩვენ უნდა ვისწავლოთ, თავს არ უნდა გაგვივიდეს, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებლად გადავიქცევით რომელიმე სპეცის კუდად; უნდა ვისწავლოთ არა იმ მხრივ, რომ აუცილებლად ამდენი და ამდენი წიგნაკი გავიზეპიროთ. უნდა ვისწავლოთ მართვა-გამგეობის ხელოვნება, უნდა ვისწავლოთ, რომ ვერავინ მოგვატყუოს, რომ არაფერი არ დავიჯეროთ სიტყვიერად, რომ სანამ ხელს მოვაწერდეთ ამა თუ იმ ქაღალდს, აუცილებლად ვიკითხოთ: რატომ? შესრულების შემოწმების საკითხი არის საკითხი კომუნისტების მუშაობის ხარისხის შესახებ, საკითხი მათი იმ პასუხისმგებლობის გრძნობის შესახებ, რომ მათ უჭირავთ საპასუხისმგებლო თანამდებობანი და აწარმოებენ კლასობრივ ბრძოლას.

კონტროლის სიჭარბეშია თუ არა მთავარი უბედურება?

აქ სხვადასხვანაირად შეიძლება მიუდგეთ ამ საკითხებს. „ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა“-ში რამდენადმე სხვანაირად უდგებიან ამ საკითხებს. ერთ - ერთი დირექტორი, „იუგოსტალ“-ის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ბირმანი „ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა“-ში საკითხს ასე სვამს: „მთავარი ის არის, რომ კონტროლი ძალიან ბევრია, რომ მუშაობას ხელს უშლიან მუშათა და გლეხთა ინსპექცია და პროფკავშირები“-ო. დაახლოვებით ასეთივე სიტყვა წარმოსთქვა ამას წინად ამხ. ბირმანმა ს. მ. უ. საბჭოს პლენუმზე. მუშათა და გლეხთა ინსპექცია და პროფკავშირები ამხ. პირმანს უშლიან ხელს კარგად გაუძღვეს მეურნეობას. რასაკვირველია, სამეურნეო მუშაკი, რომელიც ფიქრობს, რომ ყველაფრის მიზეზია ზედმეტი კონტროლი მუშების მხრივ, პროფკავშირების მხრივ და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მხრივ, ასეთი სამეურნეო მუშაკი ლაპარაკობს არა თავისი სიტყვებით, არამედ ვიღაცას მიერ ნაკარნახევი სიტყვებით. ამხ. ბირმანის აზრით, ჩვენი სისტემის ძირითადი ბოროტება მდგომარეობს იმაში, რომ ძალიან ბევრ კონტროლს უწევენ მის პირად მუშაობას, იმ სპეციალისტების მუშაობას, რომლებიც ამხ. ბირმანს ექვემდებარებიან. რომ ამხ. ბირმანის პოზიცია ამ საკითხში შემთხვევითი არ არის, ეს სჩანს იმავე „ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა“-დან, რომელშიაც მოთავსებულია ისეთივე წერილი შემდეგ თემაზე: „როგორ უშლიან ხელს მმართველობას უჯრედები“. ნუ თუ ამხანაგები სერიოზულად ფიქრობენ, რომ მმართველობას ხელს უშლიან უჯრედები და პროფკავშირები? სცადეთ საბჭოთა სახელმწიფოში მართოთ უჯრედებისა და პროფკავშირების გარეშე. მეტი იქნება ბიუროკრატიზმი და შეცდომები, თუ ნაკლები? და შესძლებთ თუ არა საერთოდ ასეთ პირობებში მუშაობას? ამხ. ბირმანის პოზიცია უნდა უკუვაგდოთ, რათა გავიგოთ, რატომ მოხდა, რომ პარტიის ცეკას თეზისებში მთავარი ყურადღება ექცევა არა უჯრედის „მზრუნველობის“ სიჭარბეს, არა პროფკავშირთა გადაჭარბებულ მუშაობას, არა კონტროლის სიჭარბეს, არამედ შესრულების შემოწმებას და პირადი პასუხისმგებლობის დაწესებას, იმ კომუნისტების რიცხვის შემცირებას, რომლებიც საბოტაჟის გამწევთა და მავნებელთა კუდებად ხდებიან.

ვინ უნდა განვდევნოთ საბჭოთა აპარატიდან?

ამასთან არის დაკავშირებული საბჭოთა აპარატის წმენდის და პირადი შემადგენლობის საკითხი, ესეც კლასობრივი ბრძოლის საკითხია, საკითხი იმის შესახებ, თუ ვის ნება - სურვილს ასრულებს სახელმწიფო აპარატის მუშაკი: მუშათა კლასის ნებასურვილს, რომელსაც ძალა-უფლება ხელთ უპყრია, თუ კულაკის და ნეპმანის ნება-სურვილს, რომელიც ებრძვის მუშათა კლასს. ჩვენ უკვე საკმაოდ საგრძნობი გამოცდილება გვაქვს წმენდის საქმეში. ამ წლის დასაწყისში წმენდის გამო გამორიცხულ იქნა 20.000 კაცამდე, მათ შორის ნახევარი შევიდა სხვა დაწესებულებებში.

საკითხი აქ იმაშია, თუ ვინ უნდა დავითხოვოთ, როგორ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ წმენდა არ იყოს წყლის ნაყვა.

ვინ უნდა დავითხოვოთ საბჭოთა აპარატიდან წმენდის დროს? საბჭოთა აპარატი უნდა გავსწმინდოთ, როგორც თეზისებშია ნათქვამი, „გახრწნილი, საბჭოთა კანონების დამმახინჯებელი, კულაკებთან და ნეპმანებთან შეზრდილი ელემენტებისაგან, ისეთი ელემენტებისაგან, რომლებიც ხელს უშლიან ბრძოლას საქმის გაჭიანურებასთან და რომლებიც ქედმაღლურად - ჩინოვნიკურად და ბიუროკრატიულად ეკიდებიან მშრომელთა არსებით საჭიროებებს, უნდა გავსწმინდოთ მფლანგველებისა, მექრთამეებისა, მავნებლებისა და ზარმაცებისაგან“. თუ ამ წმენდას ნამდვილად დავუკავშირებთ შესრულების შემოწმებას, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი აპარატიდან უნდა გავაძევოთ ისეთი პირები, რომლებსაც არ სურთ ან არ შეუძლიათ ჩვენი კანონებისა და დირექტივების შესრულება, ისეთი პირები, რომლებიც ამ მხრივ უიმედონი არიან. თუკი შევძლებთ და ასეთებს მივცემთ ერთგვარ „მგლის ბილეთს“, ამისი არ უნდა შეგვრცხვეს. თუ კომუნისტებისა და მუშებისათვის ბურჟუაზიას აქვს შავი სიები, ჩვენ შეგვიძლია მივცეთ და უნდა მივცეთ კიდეც ერთგვარი „მგლის ბილეთი“ თუნდაც იმ პიროვნებათა განსაზღვრულ რაოდენობას, რომლებმაც გამოცდილებაზე შემოწმებით გვიჩვენეს, რომ მათ არა სურთ საბჭოთა აპარატში იმუშაონ ისე, როგორც ჩვენ გვსურს, ან არ შეუძლიათ ჩვენი კანონებისა და დირექტივების შესრულება.

მთელი საკითხი აქ იმაშია, რომ საბჭოთა აპარატის წმენდა ჩავატაროთ რაც შეიძლება ნაკლები შეცდომებით. რას გვიჩვენებს ამ მხრივ გამოცდილება? იგი გვიჩვენებს შემდეგს: არიან ისეთი მუშაკების ტიპები, რომლებიც აუცილებლად უნდა გამოვრიცხოთ საბჭოთა აპარატიდან. როგორია ეს ტიპები? აი, მაგალითად, სმოლენსკის გუბერნიის ერთ-ერთი ყოფილი მემამულე მიწათმომწყობი იყო და მან თავისთვის გამოჰყო მამული. იგი იმდენად „ბეჯითად“ მუშაობდა, რომ რამდენიმე საყვედური მიიღო წმენდამდე. ღარიბები უკმაყოფილონი იყვნენ მისი მუშაობით. მას განსაზღვრული სასჯელი მიუსაჯეს სამსახურში სიყალბის ჩადენისათვის. ამის შემდეგ კვლავ შევიდა სამსახურში და კვლავ გამორიცხულ იქნა. ასეთ ტიპებს უეჭველად უნდა მიეცეს „მგლის ბილეთი“ და მის შრომის წიგნაკში ჩაიწეროს, რომ ამ ტიპს სამუდამოდ ეკრძალება მუშაობა საბჭოთა დაწესებულებებში, მისი სახელი ყველას საყურადღებოდ უნდა გამოქვეყნდეს პრესაში. ეს უნდა მოხდეს აშკარად და საჯაროდ, გაბედულად და თამამად. ასეთივე ტიპი, რომელიც აუცილებლად უნდა განვდევნოთ ჩვენი აპარატიდან, აღმოჩნდა ერთი სახვაჭრობის მდივანი, ყოფილი მემამულე, რომელიც გერმანელთა ოკუპაციის დროს გლეხებს სცემდა. რიაზანის გუბერნიის ერთი სახალხო სასამართლოს მდივანი, დიდი სახლების ყოფილი პატრონი, რომელსაც სასამართლომ სასჯელი გამოუტანა მექრთამეობისათვის, არალეგალურად ვექილობდა და სხ. ვიღაც ბუღალტერმა გლეხის წინააღმდეგ საჩივარი აღძრა კაპეიკის გულისათვის. ეს ბუღალტერი ოდესღაც თეთრი არმიის მოხალისე იყო. „ვოდოსვეტ“-ის ტრესტის რომელიღაც გამგემ ანაპაში ტრესტის ხარჯზე გაიყვანა ელექტრონი ორ ეკლესიაში: და მათ ახდევინებდა 80 კაპეიკს, ამასთან ეკლესიაში დადგა გაფუჭებული მრიცხველი, ხოლო მუშებსა და მოსამსახურეებს ახდევინებდა 1 მან. 30 კაპეიკს.

ყველა ესენი ეკუთვნიან იმ კატეგორიას, რომელსაც სავსებით უნდა აეკრძალოს მუშაობა საბჭოთა ქვეყნის სახელმწიფო აპარატში. აქ მე ამოვარჩიე ისეთები, რომლებიც სამუდამოდ უნდა გავაძევოთ. ამ სიებში არიან კომუნისტებიც. ჩატარებულ წმენდაში აუარებელი შეცდომა იყო დაშვებული. მომავალში, რომ სახელი არ გაუტეხოთ წმენდას, თავიდან უნდა ავიცილოთ შეცდომის განმეორების შესაძლებლობა. აი მაგალითები: ყოფილი თეთრი ოფიცერი, რომელიც კოლჩაკმა გაიწვია მობილიზაციით, შუშის ქარხნის ნოქარი, მეჩექმეს შვილი, რომელიც შემდეგ მოხალისედ იყო წითელ არმიაში, სამუშაოდან მოხსნეს როგორც ყოფილი ოფიცერი, მიუხედავად ქარხნის 145 მუშის პროტესტისა. მეორე მაგალითი: გადასახადების ინსპექტორი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს მუშაობდა განუწყვეტლივ, სამუშაოდან მოხსნეს, როგორც მოხელის შვილი, როგორც ყოფილი ოფიცერი (მან პრაპორშჩიკობა მიიღო 1917 წლის 1 ოქტომბერს), მიუხედავად იმისა, რომ მთელმა პროფესიონალურმა ორგანიზაციამ, მოსამსახურეებმა და ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ იგი კარგად მუშაობს.

მუშათა ცენტრ. კლუბის მოლარე — კარგი, კეთილსინდისიერი მუშაკი, აქტიური პროფესიონალური მუშაკი, სამუშაოდან მოხსნეს, როგორც სახლის პატრონი. სახლი, რომლის ღირებულება 1.600 მანეთს უდრის, მარტო მას არ ეკუთვნის, წილი უდევს სამ სხვა კაცსაც. ყოფილი მღვდელი, რომელმაც ანაფორა გაიხადა ოქტომბრის რევოლიუციამდე, ურწმუნოთა კავშირის აქტიური მუშაკი, რომელიც ანტი - რელიგიურ პროპაგანდას ეწევა, სამსახურიდან მოხსნეს, როგორც ყოფილი ხუცესი. ვიღაც მემანქანე ქალი, დაბადებული 1908 წელს, შვილი ყოფილი პოლკოვნიკისა, რომელიც ჭრილობისაგან გარდაიცვალა გერმანიის ომში, სავსებით დამაკმაყოფილებელი მუშაკი, სამუშაოდან მოხსნილ იქნა, როგორც პოლკოვნიკის ქალიშვილი. ბევრი ამგვარი მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ.

ეს მაგალითები აუცილებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ არ წავიდეთ უმცირეს წინააღმდეგობის გზით, არ წავახდინოთ მთელი წმენდა და არ გადავაქციოთ იგი საქმის მწარმოებლების, მღვდლების, ძმისწულების დევნად. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ანგარიში არ უნდა გაუწიოთ სოციალურ წარმოშობას. წმენდა უნდა მოვახდინოთ უკეთესად, ვიდრე ეხლა ვახდენთ, საჭიროა ზომების მიღება იმისათვის, რომ წმენდის გამო აპარატიდან გაძევებული უკანვე აღარ დაბრუნდეს. სავალდებულო არ არის ყოველ გუბერნიაში აპარატიდან განვდევნოთ ათას ხუთასი კაცი, მაგრამ სამაგიეროდ, თუ განვდევნით დაახლოვებით 300—500 კაცს, უნდა განვდევნოთ ისე, რომ ისინი არ გამოდგნენ იმ „ჯიშისა“, რომელსაც კარებიდან გააგდებ, ფანჯრიდან კი შემოძვრება.

წმენდა მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. მუშები დიდი ინტერესით ეკიდებიან წმენდის საკითხებს. მაგრამ ეს გარემოება ორკეც ვალდებულებას გვაკისრებს, რომ აქ არ მოხდეს არევ-დარევა, არ იყოს ტყუილი ხმაურობა, როგორც ეს მოხდა იმ გუბერნიაში, სადაც წმენდის წესით ათას ხუთასი კაცი დაითხოვეს, არ მოხდეს ისე, რომ ხვალ ამის შესახებ დავივიწყოთ, ხოლო ზეგ მწარედ ან დაცინვის კილოთი აღვნიშნოთ, რომ ყველაფერი ძველებურად მიმდინარეობს.

დაწინაურების საკითხი

ამასთან, დასასრულ, დაკავშირებულია ისიც, თუ რამდენად შევძლებთ წმენდის წესით დათხოვნილთა შეცვლას. აქაც საკითხი სდგას ისე, რომ დაწინაურება კვალდაკვალ მისდევდეს წმენდას. რასაკვირველია, არ არის სავალდებულო — წმენდა არ დავიწყოთ მანამდე, სანამ არ მოვამზადებთ დასაწინაურებლებს. ჩვენ, სულ მცირე, 100.000 კაცს მაინც გამოვრიცხავთ წმენდის წესით. საჭიროა, რომ შევძლოთ ამ ადგილებზე მიმდინარე წლის განმავლობაში ამდენივე მუშის წამოყენება. საჭიროა ამ ორი ღონისძიების დაკავშირება ერთმანეთთან იმ მიზნით, რომ წმენდამ წასწიოს წინ დაწინაურების საქმე. თუ დავაკვირდებით დაწინაურებულთა რიცხვსა და ბედს ცენტრალურ აპარატში, მაშინ უნდა გამოვტყდეთ, რომ მდგომარეობა აქაც სრულებით არ არის დამაკმაყოფილებელი. ძნელი ხდება ჩვენ დაწესებულებებში ნამდვილ მუშაობაში ჩაბმა იმ მუშისა, რომელიც ქვედა საზოგადოებრივ სამუშაოზე ითვლებოდა და უცბად აპარატში მოჰყვა. ამავე დროს ჩვენ დაწესებულებებში ათობით გვხდება ძველი „სპეცი“. მათი საგრძნობი ნაწილი, — კერძოდ, მოსკოვის, დაწესებულებებში, — ძველი უვარგისი ელემენტია, რომელსაც, მაგალითად, საბაჟოს შესახებ გაუგონია მხოლოდ ის, რაც იყო 20 წლის წინად მეფის რუსეთში, და რომელიც ამჟამადაც სიტყვა - სიტყვით იმეორებს ამას, ხოლო მის შემდეგ მასვე იმეორებენ კომუნისტები, როგორც სოციალიზმის უკანასკნელ სიტყვას.

ჩვენი მოწინააღმდეგენი, — მსოფლიო ბურჟუაზია, კულაკები, ნეპმანები და ბურჟუაზიული ინტელიგენტები — გაცოფებულ წინააღმდეგობას უწევენ ჩვენ სოციალისტურ მშენებლობას. ამ წინააღმდეგობის დაძლევის პროცესში პარტია და მუშათა კლასი ანვითარებენ ბრძოლას კულაკთან, უპირველესად ყოვლისა, პურის დამზადების ფრონტზე, სადაც კულაკი სცდილობს გამოიყენოს მის მიერ დაგროვებული რესურსები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. პარტია და მუშათა კლასი სძლევენ ბურჟუაზიული ინტელიგენციის იმ ელემენტების წინააღმდეგობას, რომლებისათვისაც სოციალისტური მშენებლობის წარმატებით განვითარება წარმოადგენს უკანასკნელ დამამტკიცებელ საბუთს, რომ უნიადაგოა მათი იმედები, თითქოს ახალი ეკონომიური პოლიტიკა ჩუმად და შეუმჩნევლად მიიყვანს საბჭოთა ქვეყანას ბურჟუაზიული გადაგვარების ნავთსადგურში, თითქოს ახალი ეკონომიური პოლიტიკის წყალობით სოციალისტური ფაბრიკები მშვიდობიანად შეეზრდებიან ბურჟუაზიულ - კაპიტალისტურ წყობილებას. პარტია და მუშათა კლასი სცდილობენ შეჰქმნან საკუთარი ტეხნიკური ინტელიგენცია იმ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ნაცვლად, რომელსაც არა სურს შეურიგდეს ჩვენს წყობილებას და, ამის გამო, სცლის სარბიელს. პარტია და მუშათა კლასი სდევნიან კაპიტალისტს წარმოებისა და ვაჭრობის პოზიციებიდან. პარტია და მუშათა კლასი აწარმოებენ საკუთარ ნაკლთა კრიტიკას და ამ ნაკლთა აღმოსაფხვრელად ბრძოლისაკენ მოუწოდებენ მუშათა და მშრომელ გლეხთა მასებს.

ყველა ეს ახალი ამოცანა ან ის ამოცანები, რომლებიც ახლად წამოიჭრნენ უკანასკნელი ერთი-ორი წლის განმავლობაში, თავის თავად ცხადია, ახალ მოთხოვნებს უყენებენ ჩვენი სახელმწიფო აპარატის მუშაობას. ჩვენ უკვე შევუდექით ხუთწლიანი გეგმის ამოცანების გადაწყვეტას გაშლილი კლასთა ბრძოლის პირობებში. ამაშია საქმე, რათა მოვიგერიოთ კულაკისა და შახტელის შემოტევა, რათა მსხვილი ინდივიდუალური კულაკური მეურნეობის ადგილზე შევქმნათ მსხვილი კოლექტიური მეურნეობა, ხოლო შახტელი - ინტელიგენტის ნაცვლად გვყავდეს პროლეტარული ინტელიგენტი, საჭიროა შეიცვალოს მთელი სახელმწიფო აპარატი იმ წლებთან შედარებით, როდესაც კლასობრივი ბრძოლა საგრძნობლად დაძაბუნებული იყო და გაცილებით უფრო სუსტად სწარმოებდა, ვიდრე დღეს.

აი ამიტომ სვამენ ბოლშევიკები სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაციის საკითხს არა მარტო ისე, როგორც ამ აპარატის გაიაფებისა, მისი დეცენტრალიზაციისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს, არამედ ისე, როგორც საკითხს ხსენებული აპარატის იმ კლასობრივ ამოცანებთან შეფარდების შესახებ, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან, რომ ამ სახელმწიფო აპარატმა უზრუნველჰყოს პროლეტარული და ნახევრად პროლეტარული მასების აქტიობის ფართო მობილიზაციის შესაძლებლობა, რომ მან ხელი შეუწყოს გლეხობაზე პროლეტარული ხელმძღვანელობის გაძლიერებას, და უზრუნველჰყოს ეს ხელმძღვანელობა, რომ მან ხელი შეუწყოს ღარიბი და საშუალო გლეხების შემჭიდროვებას კულაკის წინააღმდეგ, რომ მან უზრუნველჰყოს წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიონის შემოტევაზე სათანადო პასუხის გაცემა. აი რასთან არის დაკავშირებული ჩვენს წინაშე წამოჭრილი საკითხი შესრულების შემოწმებისა და სათანადო საორგანიზაციო სტრუქტურის შესახებ, ადამიანთა შერჩევის შესახებ იმ ფორმითა და იმ სახით, როგორც ეს ნათქვამია მოხსენების თეზისებში.

მართვა-გამგეობის დრომოჭმული ფორმების შესახებ

ეხლა ნება მომეცით გადავიდე სახელმწიფო აპარატის ძირითადი რეორგანიზაციის იმ საკითხებზე, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან, რომლებიც ჩვენ უნდა გადავჭრათ და რომლების გადაჭრასაც ჩვენ შევსძლებთ მხოლოდ მაშინ, თუ ეს მუშაობა დამყარებული იქნება შესრულების შემოწმებაზე.

რასაკვირველია, აქ სახეში უნდა ვიქონიოთ ის, რომ აპარატს არ შეუძლია ამ შემთხვევაში გაშმაგებული წინააღმდეგობა არ გაგვიწიოს.

მოვიყვან მაგალითს, რომელიც ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეეხება. თითქმის მთელი ორი წლის განმავლობაში სწარმოებდა ბრძოლა ფინანსთა სახალხო კომისარიატთან იმ საკითხის შესახებ, თუ რამდენად საჭიროა ჩვენი ქვეყნის პირობებში, სადაც მრეწველობა თითქმის მთლად, სახელმწიფოს ხელშია, ყოველს საწარმოში გვყავდეს აქციზის მოხელე. კერძო საკუთრებაზე დამყარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, სადაც ათასობით სხვადასხვა ჯურის მეფაბრიკეა და სხვა, სადაც გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის გამორკვევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ კონტროლი გაეწევა ყოველ ასეთს საწარმოს, აქციზის მოხელეთა ის სისტემა, რომელიც არსებობდა, გასაგები იყო. ჩვენი საბჭოთა საქციზო კანონები უკანასკნელ დრომდე მთლიანად რევოლიუციის წინა დროის სისტემის ასლს წარმოადგენდნენ. ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის პირობებში დრომოჭმული სისტემის ამგვარმა წაბაძვამ გვაიძულა სამი ათასს ნახევარი მოხელე გვყოლოდა საქციზო საწარმოებში, რაზედაც დაახლოვებით 5 მილიონ. მანეთამდე იხარჯებოდა.

აქციზს ჩვენ ვკრებავთ წონის მიხედვით: ფუთ შაქარზე, ფუთ ნავთზე და სხვ. სარეწავ გადასახადს კი — ბრუნვის პროცენტების გამოანგარიშებით, სხვანაირად — საქონლის ფასების მიხედვით. არის მრავალი არა პირდაპირი მაჩვენებელი, რომელნიც ნათელჰყოფენ ამას. საკავშირო სახკომსაბჭოს პორტფელი რომ გადასინჯოთ, იქ თქვენ ველარ ნახავთ როგორც ეს, მაგალითად, ერთი წლის წინად იყო, — 800 გადაუწყვეტელ საქმეს. ეხლა, ბევრი-ბევრი ერთი ან ორი უწყება მოიძებნოს მასში. ეს ნიშნავს, რომ ვიღაცა სხვა სწყვეტს ამ საკითხებს. მეორე — გაუმჯობესდა ჩვენი მუშაობის ხარისხი. ჩვენ ეხლა გვაქვს ხუთწლიანი გეგმა, რომელიც განსაზღვრულ ჩარჩოებში ათავსებს და განსაზღვრულ მიმართულებას აძლევს ჩვენ სახსრებს. მესამე — ჩვენში გაჩნდნენ მეურნეობის ხელმძღვანელთა ახალი კადრები, ის ფაქტი, რომ, მიუხედავად მავნებლობისა და სხვა დამაბრკოლებელი მიზეზებისა, ჩვენ მივდივართ მრეწველობის გაუმჯობესების და გაძლიერების ხაზით, ამტკიცებს, რომ ჩვენ, უეჭველად, წამოგვეზარდა მეურნეთა უზარმაზარი კადრი, რომ ყოველმხრივ მოგვემატა და გვემატებიან ახალი ძალები. რომ შევადაროთ ეხლანდელი ჩვენი მდგომარეობა რამდენიმე წლის წინად არსებულ მდგომარეობას, დავინახავთ, რომ იგი საგრძნობლად გაუკეთესდა.

აგრეთვე ის ფაქტი, რომ ეს მავნებლობის საქმეები აშკარავდებიან — ისინი კი ძველად არიან წარმოშობილნი, — თავის მხრივ ამტკიცებს ერთგვარ გაუმჯობესებას. ვინაიდან ჩვენ ეხლა გვაქვს ხუთწლიანი გეგმა და ჩვენი კადრები უსათუოდ გაიზარდნენ, მეორეს მხრივ— დარაიონებას შეაქვს ცვლილებები მუშაობის განაწილებაში მთელ რიგ ხაზებზე, — ამიტომ ჩვენ ხელახლა უნდა გადავსინჯოთ საკითხი იმ დამოკიდებულების შესახებ, რომელიც არსებობს საკავშირო სახკომსაბჭოს და სახკომისარიატებს შორის, მოკავშირე და რესპუბლიკანურ სახკომისარიატებს, ს. მ. უ. საბჭოს და ტრესტებს შორის. ეს ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანია.

მეორე, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი პრობლემა არის ტრესტებისა და ს. მ. უ. საბჭოს როლის პრობლემა: აქ საქმე ისეა, რომ ტრესტს, თუ მას ძველ მდგომარეობას და ძველ ფუნქციებს დაუტოვებთ, არ შეუძლია სიცოცხლე ისე, რომ იგი ბიუროკრატიული შემაფერხებლის ორგანიზაციად არ გადაიქცეს. თუ ტრესტი დარჩა თავის ძველ პოზიციებზე, მაშინ იგი მრეწველობის წინსვლის შემაფერხებლად გადაიქცევა. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა, რომ ტრესტი გადაიქცეს ტეხნიკური ხელმძღვანელობის, ტეხნიკური რაციონალიზაციის ორგანოდ, მან უნდა მოაწყოს საწარმოთა შორის ცდების მიღწევების ურთიერთი გაცნობა. იგი აგრეთვე უნდა გადაიქცეს ისეთ ორგანოდ, რომელიც ტრესტში შემავალ საწარმოებს ხელს შეუწყობს, რათა ამ უკანასკნელებმა შეითვისონ რუსეთისა და უცხოეთის მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები. ტრესტის ახალი საორგანიზაციო როლისა და მისი ეხლანდელი ფუნქციების რეორგანიზაციის საკითხი უკვე მომწიფებულია. აქეთკენ იხრება ტრესტების მთელი რიგი.

ამ საკითხთან დაკავშირებულია საკითხი ს. მ. უ. საბჭოს შესახებ. ყველა თქვენგანი ჩაჰკვირვებია, ალბად, იმას, რომ „გოელრო“-ს გეგმასთან შედარებით, ხუთწლიანი გეგმა ნაწილობრივ წარმოადგენს მინუსს იმ მხრივ, რომ იგი უმთავრესად ეკონომიური გეგმაა. ჩვენ გვაქვს მაჩვენებლები, რომელთა მიღწევასაც უნდა ვეცადოთ, მაგრამ არა გვაქვს მუშაობის ტეხნიკური პროგრამა, რომელიც საჭიროა ამ მაჩვენებლების მისაღწევად. აი, აქ ს. მ. უ. საბჭოს წინაშე ისმება საკითხი, რომელიც უახლოეს დროში უნდა გადიჭრას, საკითხი იმის შესახებ, რომ ს. მ. უ. საბჭო ცენტრალური ეკონომიური და ფინანსიური ხელმძღვანელობის აპარატიდან გადაიქცეს ტეხნიკური ხელმძღვანელობის შტაბად.

მესამე პრობლემას შეადგენს ყველა ჩვენი დაწესებულების მუშაობის სამეცნიერო ბაზისის ამაღლება. ამასაც ყველაზე უკეთ ისევ ხუთწლიანი გეგმა გვიჩვენებს. საგეგმო მუშაკები გვთხოვდნენ—თეზისებში შეტანილიყო დებულება იმის შესახებ, რომ სახელ. საგეგმო კომისია უფრო მჭიდროდ ყოფილიყო დაკავშირებული ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებების სისტემასა და უცხოეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან. თავის თავად ცხადია, რომ თუ ჩვენ ხუთწლიანი ეკონომიური გეგმის დამტკიცების შემდეგ არ ავამაღლეთ ყველა საგეგმო ორგანოს მეცნიერული მუშაობის როლი, ჩვენ აუცილებლად შევჩერდებით ერთ წერტილზე.

გაძლიერებულ უნდა იქნას არსებული სამეცნიერო ძალების, ინჟენერებისა და ეკონომისტების განთავისუფლება კანცელიარიებიდან, რომლებიც მათ ხშირად უსარგებლო ადამიანებად ხდიან: ისინი გაგზავნილ უნდა იქნან ქარხნებში, სარაციონალიზაციო კანტორებში, ინსტიტუტებში და საგეგმო ორგანოებში.

ჩვენ კითხვაზე აკადემიკოსმა ბახმა გვიპასუხა წერილით, რომელშიაც ის აგვიწერს, თუ როგორ არის ამჟამად ქიმიის დარგში შეთანხმებული სამეცნიერო - საგამოკვლევო მუშაობის გეგმა და სამეცნიერო ორგანოების ინიციატივა მშენებლობასთან, მაგალითად, ხელოვნური ბოჭკოს ქარხნების მშენებლობასთან. მიღწეულია სავსებით ორიგინალური შეთანხმება, რომელიც უზრუნველჰყოფს დასახული გეგმის ცხოვრებაში დაუყოვნებლივ გატარებას. ამიტომაა, რომ ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ ყველა ჩვენი დაწესებულების მუშაობის სამეცნიერო საფუძვლის ამაღლების საჭიროებას.

მეოთხე პრობლემას შეადგენს ბრუნვის ხარჯების გადაჭრილი შემცირება. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ზოგიერთ მუშაკებს უყვართ ხოლმე ტრაბახი, რომ ამ დარგში ჩვენ უცხოეთზე მეტი მიღწევები გვაქვსო. რასაკვირველია, ეს მართალი არ არის.

მომარაგების გაუმჯობესებისა და ბრუნვის ხარჯების შემცირების საკითხები ისეთი საკითხებია, რომელნიც, რადაც უნდა დაგვიჯდეს, აუცილებლად უნდა გადავჭრათ.

გლეხს სჭირია გამძლე და მაგარი წაღები (შევრო ხომ სოფელში არ გამოდგება), მაგრამ ჩვენი მრეწველობა ასეთებს არ ამზადებს, ჩვენ ბაზარზე მოიპოვება მხოლოდ შევროს ფეხსაცმელი.

უბედურებაც იმაშია, რომ ჩვენ სავაჭრო ორგანიზაციებს სუსტი ყნოსვა აქვთ. უსათუოდ თავი უნდა დავაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, როცა ტყავი და ლანჩა გეზოვება ფეხსაცმელების შესაკერად, ხოლო მის შესაკეთებლად კი არა, რის გამოც ფეხსაცმელის დაკერება ახალი ფეხსაცმელის ნახევარი ჯდება. ამის შედეგად იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ როცა ვინმეს ფეხსაცმელი გაეხევა, მან იგი უნდა ატაროს შესაძლებლობამდე, შემდეგ კი გადაყაროს და ახალი იყიდოს.

თვით კოოპერაციას უნდა მიეცეს მეტი მოქნილობის შესაძლებლობა და მრეწველობასა და ბაზარს შორის დამყარდეს უფრო მჭიდრო კავშირი იმ მხრივ, რომ თუ გლეხი, მაგ., თხოულობს სამუსიკო იარაღს, მის ნაცვლად შესაძლებელი გახდეს განსაზღვრულ რაოდენობის პურის მიღება. ამ მხრივ დაბრკოლებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი ჩვენ გადამცემ სისტემაში, სხვანაირად, რომ ვსთქვათ, საკითხი ეხება მრეწველობის ბაზართან მიახლოებას და, ნაწილობრივ, კოოპერატიული მუშაობის ერთგვარ დეცენტრალიზაციას.

მეხუთე პრობლემა ეხება ურთიერთობის სისტემას სახელმწიფო მრეწველობას, ერთის მხრივ, და სახელმწიფო ვაჭრობასა და კოოპერატიულ ორგანოებს შორის — მეორეს მხრივ. აქ დგება საკითხი ბანკების როლის შესახებ. ამჟამად, მუშგლეხინის ინიციატივით, ცდაა, რომ კომუნალური მეურნეობის სამსახურისათვის მასიური გადასახადების დროს გატარებულ იქნას არანაღდი ანგარიშის გასწორება. ერთი შეხედვით თითქოს ეს წვრილმანია, ნამდვილად კი საკითხი ეხება იმას, რომ რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი დაგროვდეს შემნახველ სალაროებში და გამოყენებულ იქნას იგი საწარმოო მიზნებისათვის.

მეექვსე პრობლემა შეეხება ქვედა აპარატს. ცენტრალური ადგილი აქ რაიონის საკითხს უჭირავს. თქვენ, ალბად, შეამჩნევდით იმ დისკუსიას, რომელიც სწარმოებს გაზეთებში ამ საკითხის ირგვლივ საბჭოების ყრილობაზე მისი წამოყენების გამო. მაგრამ შეამჩნევდით აგრეთვე იმასაც, რომ ამ დისკუსიის დროს ნაკლები ყურადღება მიექცა ფრიად მნიშვნელოვან ერთეულს — რაიონს. ოლქი, თავის დღევანდელი სახით, ხშირად გადამცემ ინსტანციის როლს ასრულებს: მთავრობის ინსტრუქციებსა და დირექტივებს აქ გადმოტვირთავენ და გახსნიან, რომ შემდეგ, სათანადო დროის და შრომის დაკარგვით, ხელახლა შეკრან და გააგზავნონ რაიონსა და სოფელში იმავე სახით, როგორითაც მიიღეს, მხოლოდ შესაძლოა სხვა გვარად შეკრული.

ამავე დროს, როცა შეუძლებელია სოფლის საბჭოების მუშაობა სავსებით და უშუალოდ დაუქვემდებაროთ კომუნისტურ გავლენას,— რაც მახლობელი წლების განმავლობაში ვერ მოხერხდება, თანაც სოფლის საბჭოების თავმჯდომარეთ უმრავლესობას უპარტიონი შეადგენენ, — რაიონის საკითხი ხდება ისეთ საკითხად, როგორიც არის ჩვენი პოლიტიკის ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრის შექმნის საკითხი, კულაკობასთან ბრძოლის, კოლექტიური მოძრაობის ორგანიზაციის, მოსავლიანობისათვის ბრძოლის, მთელი სოფლის აპარატის ნამდვილი ხელმძღვანელობის ცენტრის შექმნის საკითხი.

ბოლოს, სათვალავით უკანასკნელი, მაგრამ აპარატის რეორგანიზაციის პრობლემათა შორის არა უკანასკნელი თავისი მნიშვნელობით, არის მომჭირნეობის რეჟიმის პრობლემა, რომელიც სახე შეცვლილია წინანდელ ეტაპთან შედარებით, დღევანდელი მომენტის სამეურნეო ამოცანების თავისებურობასთან შეფარდებით.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აპარატის უბრალო შემოკლებით მივიღეთ 300 მილიონი მანეთის მომჭირნეობა. ჩვენ შეგვიძლია კიდევ მრავალი ათეული მილიონი მანეთის მომჭირნეობა მივიღოთ, თუ ჩვენს აპარატს ჩამოვაშორებთ ბევრ ზედმეტს და უსარგებლოს. ჩვენს წინაშე პირდაპირ სდგას მომჭირნეობის რეჟიმის შემდგომი განხორციელების პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, მრეწველობაში, ვაჭრობაში და ტრანსპორტზე დანაკარგის შემცირების გზით.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არსებული მოწყობილობის და რესურსების გამოყენების მხრივ და ამით მეტი ეფექტის მისაღწევად და ნამდვილი მომჭირნეობის რეჟიმის განსახორციელებლად ჩვენ უდიდესი რეზერვები გვაქვს. მომჭირნეობის რეჟიმის მეორე დანიშნულებაა—ზედმეტი მარაგის გამოყენება სამეურნეო ბრუნვაში. ამ ზედმეტი მარაგის ღირებულება მთელს მრეწველობაში შეადგენს დაახლოვებით 800 მილიონ მანეთს და ეს იმ დროს, როცა საგრძნობი დეფიციტია ყველა ჯგუფის საქონელზე. მთავრობამ მრეწველობისა და ტრანსპორტის წინაშე დასვა შემდეგი ამოცანა: ზედმეტი მარაგიდან წელს უნდა შეგროვდეს 250 მილიონი მან. ღირებულების მარაგი. ეს მეორე მაგალითია, რომელიც გვიჩვენებს, თუ რომელი მიმართულებით უნდა სწარმოებდეს ამჟამად ბრძოლა მომჭირნეობის რეჟიმისათვის.

ბოლოს, მესამე, რის შესახებაც მეტად ნათლად დასვა საკითხი სახელმწ. საგეგმო კომისიამ, არის ზედმეტი ნორმების, ყოველგვარი ზედმეტი მარაგის, კონსტრუქციის ზედმეტი სართულის საკითხი. სახელმწ. საგეგმო კომისია ფიქრობს, რომ შეიძლება 500 მილიონი მანეთის მომჭირნეობა, თუ ამგვარად დავიცავთ მომჭირნეობის რეჟიმს.

ამგვარად, მომჭირნეობის რეჟიმი ამჟამად უკავშირდება სამ პრობლემას; ეს პრობლემებია: არსებულ მოწყობილებათა ეფექტიურად გამოყენება; ზედმეტი მარაგის გამოცოცხლება, რათა ჩვენმა სამეურნეო მუშაკებმა ზოგჯერ არ შემოინახონ, თუნდაც საქონლის ნაკლებობის გამო, სხვადასხვა მასალა ერთი-ორი წლით; ყოველგვარი ზედმეტის მოსპობა კონსტრუქციებში სხვადასხვა მასალის დამუშავების დროს, აი, ძირითადი საკითხები, რომლებიც აქ უკვე სავსებით გამოაშკარავდნენ. რასაკვირველია, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ისინი ამოსწურავენ აპარატის გენერალური რეკონსტრუქციის ამოცანას, მაგრამ ეს არის ის, რაც უკვე გამოაშკარავდა სრული სიცხადით.

ავამოძრაოთ მასები ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ

ეხლავე შეიძლება საერთო ჯამის გაკეთება. კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ეხლანდელ პირობებში მთავარი ადგილი უჭირავს შესრულების შემოწმებას. შესრულების შემოწმებასთან დაკავშირებულია სამი კარდინალური საკითხი: 1) მიღწეულ იქნას აპარატის ისეთი ორგანიზაცია, რომ აპარატის ყოველმა საფეხურმა იცოდეს, რისთვის აგებს პასუხს და რა მოეკითხება მას; 2) მიღწეულ იქნას ჩვენი კომუნისტების მუშაობის გაუმჯობესება, კომუნისტებისა, რომელთა რაოდენობაც აპარატში ცოტა აღარ არის და 3) განთავისუფლებულ იქნას საბჭოთა აპარატი ჩვენთვის უცხო ელემენტებისაგან. ამ ნიადაგზე უნდა განვითარდეს აპარატის რეკონსტრუქცია. სრული ანგარიში უნდა მივცეთ ჩვენს თავს იმაში, თუ რამდენად დიდი სიცოცხლის უნარი აქვთ ძველ დრომოჭმულ ფორმებს. ბრძოლა მათთან ადვილი არ არის და არ შეიძლება ითქვას, რომ კარგი ან ცუდი, ცოტად თუ ბევრად ხეირიანი თუ უხეირო თეზისებით შეიძლება ბიუროკრატიზმის უცებ „მოკვეთა“. ვლადიმერ ილიჩი არა ერთხელ გვაფრთხილებდა, რომ ბრძოლა ბიუროკრატიზმთან ხანგძლივ და მძიმე შრომას მოითხოვს.

ყველა თეზისი გამსჭვალულია ერთი აზრით: ბრძოლა ბიუროკრატიზმთან სერიოზულად შეიძლება ვაწარმოოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამისათვის ავამხედრებთ მასებს. აქ შესაძლოა სხვადასხვაგვარი ფორმები. უკანასკნელმა წელმა რამდენიმე ათეული სხვადასხვა ფორმა გვიჩვენა. თითქმის მუშათა ყოველ პუნქტში მუშები თავისებურად უდგებიან ამ საქმეს. სოციალისტური შეჯიბრება ნათლად მოწმობს ამას. ამას მოწმობს აგრეთვე თვითკრიტიკის განვითარება, რომლის უმაღლეს გამოხატულებას წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრება. სავსებით უეჭველია ერთი რამ: ახალი ფენები ამ საქმეს სერიოზულად მიუდგნენ.

იმის გასაგებად, თუ რატომ არის ასე ძლიერი ჩვენი ძალები, მიუხედავად ყოველგვარ სიძნელეთა, რომლებიც დიდი ხანია დაამხობდნენ ყოველ სხვა მთავრობას, ყოველ სხვა წყობილებას,—ამის გასაგებად საჭიროა ანალიზი გაუკეთოთ ყველა იმ პატარა ფაქტს, რომლის ნიადაგზედაც წარმოიშობა მუშათა ახალი ფენების ეხლანდელი მიდგომა ქვევიდან, მუშათა ფენების, რომლებიც კისრულობენ მთელ სიმძიმეს და პასუხისმგებლობას საბჭოთა ქვეყნის საქმისათვის.

ბოლოს, უფრო ნათელი გახდა, თუ რამდენად მართალი იყო ლენინი, როცა ლაპარაკობდა მუშათა კლასზე, როგორც ისეთი გადამჭრელი ძალის წყაროზე, რომელსაც შეუძლია იკისროს ბიუროკრატიზმის დაძლევა.

თუ ჩვენი სახელმწიფო აპარატის მიმართ ეხლა ასეთი საკმაოდ მკაცრი ამოცანა სდგას, როგორიცაა წმენდა, თუ ჩვენ აქ იძულებულნი ვართ გავაკრიტიკოთ საკუთარი კადრები, კომუნისტების კადრები, რადგან კლასობრივი ბრძოლის პირობებში ჩვენ ხშირად გვატყუებენ და კომუნისტებს ხდიან მაჩანჩალებად,—მეორეს მხრით კლასობრივი ბრძოლის გაშლა-გაფართოვების პირობებში ყოველ ქარხანაში, ყოველ სოფელში გამოდიან ათასობით, ათი ათასობით და ასი ათასობით ახალი მასები, გამოდიან კლასობრივი ბრძოლისათვის. ჩვენ მათზე ვამყარებთ იმედს, რადგან გვახსოვს, რასაც ამბობდა ლენინი: „ბიუროკრატიზმთან ბრძოლისათვის უნდა მივმართოთ იმას, სადაც არის მუშათა კლასის დიქტატურის ძალის ძირითადი წყარო“.

ამ მხრივ თქვენ, უეჭველია, მოიწონებთ თეზისების ძირითად აზრს—არ იქნას მიჩქმალული არც ერთი დანაშაული, არც ერთი ნაკლი, გამოაშკარავებულ იქნას ბიუროკრატიზმის ყოველი ჭრილობა და წყლული, რომელსაც ადგილი აქვს, ამასთან ერთად მითითებულ იქნას, რომ ჩვენში ამოძრავდნენ ახალი ფენები, რომლებიც მზად არიან იბრძოლონ და შეუძლიათ კიდეც იბრძოლონ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. და თუ ამ ფენებს ავამოძრავებთ, ავამხედრებთ, როგორც გვასწავლიდა ვლადიმერ ილიჩი, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ მტერთან ბრძოლაში, რომლის დამარცხება უფრო ძნელია, ვიდრე დენიკინის, ჩვენ წარმატებას მივაღწევთ.

მოსკოვი.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ჩატარდა პირველი მაისი უცხოეთში

ბარიკადები ბერლინის ქუჩებზე.—სისხლის ღვრა ქალაქის გარე უბნებში

ბერლინის პოლიცია პოლიცმეისტერის ბრძანებით ტყვიამფრქვევებით ხვრეტდა მუშებს

მასიურად კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩატარდა რეაქციასთან და ომის საფრთხესთან ბრძოლის ლოზუნგით

გერმანია

სისხლისმღვრელი შეტაკებები.—მუშათა უბნები—ალყაშემორტყმული ბანაკი

ბერლინი, 2 მაისი. მასების მოძრაობა ბერლინის ყველა რაიონში 1 მაისს დილიდანვე დაიწყო. ქალაქის ყველა მოედანი დილიდანვე დაიკავეს პოლიციის დიდმა რაზმებმა. მთელ ქალაქში მიდი-მოდიოდნენ პოლიციის ძლიერი პატრულები. მუშათა უბნები ალყაშემორტყმულ ქალაქს გვანან. პოლიციის ძალების ასეთ მობილიზაციას საპირველმაისო დემონსტრაციის წინააღმდეგ არასოდეს არ ჰქონია ადგილი მონარქიის დროსაც კი. მიუხედავად ამისა, უკვე დილის 9 საათზე ქალაქის სხვადასხვა რაიონებში დაიწყო დემონსტრაცია, რომლებსაც ჰფანტავდა პოლიცია. მაგრამ, პოლიციის მოქმედების მიუხედავად, დემონსტრანტები ისევ იყრიდნენ თავს. მოძრაობაში დაახლოვებითი გამოანგარიშებით მონაწილეობას იღებდა 100,000 კაცზე მეტი. პოლიცია ყველგან განსაკუთრებით უხეშად მოქმედებდა, იგი მიმართავდა რეზინის ჯოხებს, სასროლ იარაღს, აგრეთვე იყენებდა განსაკუთრებულ ავტომობილებს, რომლებზედაც მოთავსებული იყო რეზინის მილები დემონსტრანტებისათვის წყალის გადასასხმად. მსხვერპლთა და დაპატიმრებულთა რიცხვი ჯერ-ჯერობით სისწორით არ არის გამორკვეული. ეხლა უკვე გამორკვეულია, რომ მოკლულია რვა კაცი და მძიმედ დაჭრილია 80-ზე მეტი. ჯერ-ჯერობით მიღებული ცნობებით, დაპატიმრებულია 900-ზე მეტი. მათ შორის ლანდტაგის დეპუტატი შულცი. პოლიცია შეიჭრა იმ შენობაში, სადაც მიმდინარეობდა ბერლინელ მძღოლის გამყვანთა--პროფკავშირთა რევოლიუციონური ფრთის მომხრეთა კრება, სროლის დროს დაიჭრა კრების ორი მონაწილე. კარლ ლიბკნეხტის სახელობის პარტიული სახლის წინ პოლიციამ ასტეხა სროლა, რომლის დროსაც დაიჭრა მრავალი, მათ შორის პატარა ბავშვებიც. მრავალ ადგილას მუშებმა იარაღი აჰყარეს პოლიციას. ზოგიერთ რაიონში დემონსტრანტები შეეცადნენ ბარიკადებით შეეჩერებიათ პოლიციის საბარგო ავტომობილები. ერთი მუშა გასრისა პოლიციის ავტომობილმა. რეფორმისტების მიერ მოწვეული პროფკავშირთა კრებები მკრთალად ჩატარდა.

მთელი გერმანული პრესა, დაწყებული სოციალ-დემოკრატიული „ფორვერტს“-ით და დამთავრებული უკიდურეს მემარჯვენე რეაქციონური ორგანოებით, ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ გერმანიის კომპარტიამ ბერლინში მოამზადა საპირველმაისო დემონსტრაცია. პრესამ დაიწყო ფართო ანტიკომუნისტური კამპანია შემდეგი ლოზუნგით: „კომუნისტები მოქმედებენ მოსკოვის ბრძანებით“. „ფორვერტს“-ი, მაგალითად, აცხადებს, რომ კომუნისტების მზადება 1 მაისის დღესასწაულისათვის ბერლინში დაიწყო მანუილსკის ბრძანებით, ხოლო ეს უკანასკნელი ვითომ „კომინტერნის“ აღმასკომმა გამოგზავნა ამ მიზნით ბერლინში“.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი ფიქრობს, რომ მოსკოვის „პრავდა“-ს განცხადება, რომ პასუხისმგებლობა ბერლინის საპირველმაისო დემონსტრაციის შესაძლებელი შედეგებისათვის ეკისრება არა კომუნისტებს, არამედ სხვებს, „შეეხება, რა თქმა უნდა, პოლიციაპრეზიდენტ ცერგიბელს, შინაგან საქმეთა მინისტრ ზევერინგს და სრულიად გერმანიის მთავრობას“. „ასეთი ჩარევა გერმანიის შინაურ საქმეებში—სწერს გაზეთი—მით უფრო სამწუხაროდ უნდა მივიჩნიოთ, რომ, თუმცა „პრავდა“ მთავრობის ოფიციალურ ორგანოს არ წარმოადგენს, მაგრამ იგი მაინც მხოლოდ იმას სწერს, რაც სასურველია საბჭოთა მთავრობისათვის“ (ადს).

ბრძოლა ბარიკადებზე

ბერლინი, 2 მაისი. 1 მაისს საღამოსათვის ქალაქში მდგომარეობა უაღრესად გამწვავდა. მუშათა რაიონებში მოხდა სერიოზული შეტაკებები. პოლიციამ იერიში მიიტანა იმ ბარიკადებზე, რომლებიც კომუნისტებმა მოაწყვეს. ბანკშტრასეზე ვედინგში, ბრძოლა ერთ საათზე მეტს გაგრძელდა და ბარიკადები აიღეს მხოლოდ პოლიციის დამხმარე ძალების მოსვლის შემდეგ. ქალაქის სხვა ნაწილებშიაც სცადეს ბარიკადების აგება, მაგრამ უშედეგოდ, ქალაქის აღმოსავლეთის და ჩრდ.-აღმოსავლეთის რაიონები მთელი ღამე სიბნელით იყო მოცული. ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში და ნეიკელნში ბრძოლები მთელ ღამეს გრძელდებოდა. გამოირკვა, რომ ბარიკადებზე იერიშის მიტანის დროს ვედინგში პოლიციამ გამოიყენა ჯავშნიან ავტომობილებზე დადგმული ტყვიამფრქვევები. მცირე გამონაკლისის გარდა, გაზეთების საღამოს გამოცემები არ გამოსულა, 2 მაისს გამოვიდა მხოლოდ „როტე ფანე“, რომელიც აშუქებს 1 მაისის ამბებს და პოლიციის მხეცური მოქმედების ფაქტებს.

გერმანიის ყველა კუთხიდან მიღებულია ცნობები, რომ კომუნისტების მიერ მოწყობილ დემონსტრაციებში ყველგან მონაწილეობას იღებდნენ მუშათა მრავალრიცხოვანი მასები. წინა წლების წინააღმდეგ, გერმანიის კომპარტიამ ეხლა დემონსტრაციები ყველგან გამართა რეფორმისტებისაგან დამოუკიდებლად. რეფორმისტებმა პირველი მაისის დღესასწაული უმრავლეს შემთხვევებში აღნიშნეს დახურულ სადგომებში გამართული კრებებით. (ადს).

ბრძოლა ბერლინის ქუჩებზე

ბერლინი, 3 მაისი. საპირველმაისო დემონსტრაციები ბერლინის მუშათა უბნებში, ვედინგში და ნეიკელნში, საღამოს საბარიკადო ომათ გადაიქცა, რომელმაც თავის ფარგლებით და სიმძაფრით გადააჭარბა ყველა იმას, რაც კი ბერლინს განუცდია 1918 წ. აქეთ.

ვედინგში, და ნეიკელნში დემონსტრანტებმა ააგეს ბარიკადები და პოლიციის ავტომობილებს მოუსპეს ამ უბნებში შესვლის საშუალება. პოლიციამ აამოქმედა ჯავშნიანი ავტომობილები, ტყვიისმფრქვეველებით შეიარაღებულნი. შეტაკება ვედინგენში საღამოს 10 საათამდე გაგრძელდა, ნეიკელნში კი — ნაშუაღამევამდის. ძლიერი სროლის შემდეგ, პოლიციამ შესძლო ბარიკადების აღება და ქუჩების გაწმენდა. მსხვერპლის და დატუსაღებულთა რაოდენობა ჯერ საბოლოოდ არ არის გამორკვეული. ჯერ-ჯერობით აღრიცხულია 9 მოკლული და 100 მეტი დაჭრილი. დაპატიმრებულია 1.000 კაცზე მეტი.

2 მაისს, დილით გაზეთებიდან მხოლოდ „როტე ფანე“ და ორი მემარჯვენე გაზეთი გამოვიდა. (ადს).

ბურჟუაზიის კონტრ-მომზადება

ბერლინი, 2 მაისი. პოლიციის უფროსმა ცერგიბელმა განკარგულება გასცა—მიღებულ იქნას მთელი რიგი საგანგებო ზომები პოლიციის მობილიზაციისათვის. ეს საგანგებო ზომები უკანასკნელი დღეების განმავლობაში ნაწილობრივ უკვე ტარდებოდა ცხოვრებაში. 1 მაისისათვის მობილიზაცია უყვეს 18,000 პოლიციელს. ამ რიცხვში არ შედის საიდუმლო აგენტები. ამ უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში ბერლინის პოლიციამ მოახდინა 169 დაპატიმრება.

გაზეთ „ბერლინ ამ მორგენ“-ის ცნობით, გენერალურმა პროკურატურამ, ცერგიბელის ინიციატივით, „როტე ფანე“-ს სამი რედაქტორის წინააღმდეგ აღძრა ბრალდება, რომ საპირველმაისო მოწოდებათა დაბეჭდვით მათ წინააღმდეგობა გაუწიეს ხელისუფლებას.

დაპატიმრებულნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი

ბერლინი, 3 მაისი. დაპატიმრებულთაგან დატოვებულია 125 კაცი, მათ შორის რამოდენიმე ქალია. ხმებია, რომ ისინი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი და მათ ბრალს სდებენ ამბოხების მოწყობასა და მკვლელობის განზრახვაში. (ადს).

მოწოდება პოლიტიკურ გაფიცვისაკენ

ბერლინი, 3 მაისი. საპირველმაისო კომიტეტმა, კომპარტიის ბერლინის ორგანიზაციის კომიტეტთან ერთად მოწოდებით მიმართა ბერლინის მუშებს, რომელშიც წინადადებას აძლევს მათ ხელისუფლების მიერ ძალმომრეობის მიმართვაზე — მასიური პოლიტიკური გაფიცვებით უპასუხონ.

ყველა საწარმოებმა უნდა შესწყვიტონ მუშაობა, სანამ არ იქნება შესრულებული შემდეგი მოთხოვნილებები: პოლიციის უფროსის სოციალ - დემოკრატ ცერგიბელის გადაყენება, სახალხო წესების გაუქმება, დაპატიმრებულთა განთავისუფლება, იმ პოლიციელების დასჯა, რომელთა წყალობით მოხდა სისხლისღვრა.

გაფიცვის ჩასატარებლათ არჩეულ უნდა იქნენ მოქმედების კომიტეტები. უკვე სტიქიურად გაიფიცნენ ბერლინის რამოდენიმე მსხვილი საამშენებლო დაწესებულების, რურის ოლქის 2 ფოლადის ჩამომსხმელი ქარხნის და ჰამბურგის ვერფის მუშები.

მანიფესტანტების დახვრეტა

ბერლინი, 3 მაისი. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ 2 მაისს, დღისით პოლიციამ, რეზინის ჯოხების საშუალებით გაჰფანტა რამოდენიმე ასეული კომუნისტი, რომლებიც შეეცადნენ ბერლინის ჩრდილოეთ ნაწილში, კარლ ლიბკნეხტის სახელობის სახლის წინ, მოეწყოთ მსვლელობა. ასეთივე ცდები განმეორდა ნეიკელნში და ვედინგში, სადაც პოლიციამ იხმარა სასროლი იარაღი. დაჭრილია რამოდენიმე კაცი.

„ჰამბურგერ ფოლკსცეიტუნგის“ კონფისკაცია

ბერლინი, 3 მაისი. კომუნისტური გაზეთის „ჰამბურგერ ფოლკსცეიტუნგ“-ის ნომერს და აგრეთვე ამ გაზეთის პროვინციალურ გამოცემასაც, კონფისკაცია უყვეს. კონფისკაციის ასაბუთებენ იმით, რომ ვითომც გაზეთი მოუწოდებდა „არსებული წყობილების დამხობისაკენ“. მთავრობამ ასეთ მოწოდებათ ჩასთვალა გაზეთის მიერ გაქვეყნებული ბერლინის ამბების კომენტარიები. (ადს).

მღელვარე სცენები რეიხსტაგში

ბერლინი, 3 მაისი. რეიხსტაგის 2 მაისის სხდომაზე ადგილი ჰქონდა მღელვარე სცენებს, რომლებიც 1-ლ მაისის სისხლიან ამბების გამოხმაურებას წარმოადგენდენ; სხდომა გახსნა არა ლებემ, არამედ მისმა მოადგილემ, — ნაციონალისტმა გრეფემ. კომუნისტები მას ასეთი ძახილით შეხვდნენ:

„სად დამალა კაზაკების ბელადი, სოც.-დემოკრატი ლებე“. კომუნისტმა პიკმა მოითხოვა, რომ დაუყონებლივ განხილულიყო კომუნისტების მოთხოვნა დემონსტრაციების აკრძალვის შესახებ და სასტიკად გააკრიტიკა პოლიციის, განსაკუთრებით, ცერგიბელის მოქმედება.

კომფრაქციის მოთხოვნილება და აგრეთვე პიკის მეორე მოთხოვნილება სხდომის დაუყოვნებლივ გადადების შესახებ,— უარყოფილ იქნა.

კომუნისტ დეპუტატებმა საპასუხოთ გამართეს მანიფესტაცია. შტეკერმა განაცხადა, რომ პროტესტის ნიშნათ, კომფრაქცია აღარ მიიღებს მონაწილეობას რეიხსტაგის შემდგომ მუშაობაში. სხდომის დარბაზი კომფრაქციამ დასტოვა თავის სრული შემადგენლობით, — „ინტერნაციონალის“ სიმღერით და ძახილით: „ძირს მკვლელები“.

„როტე ფანე“ პირველ მაისს მომხდარ სისხლის ღვრის შესახებ

ბერლინი, 3 მაისი. უკეთებს რა კომენტარიებს ბერლინში პირველ მაისს მომხდარ სისხლის ღვრას, — „როტე ფანე“ სწერს:

„ცერგიბელმა გაიტანა თავისი, სოციალ-დემოკრატიამ მიაღწია თავის მიზანს. მათი ხელები, ლიბკნეხტის, როზა ლიუქსემბურგისა და სპარტაკელების სისხლში გასვრილი, ხელახლა შეიღება მუშების სისხლით. გუშინდელი დღე იყო რევოლიუციონური ბრძოლის დღე, რომლის მსგავსი ბერლინს აღარ უნახავს უკვე ათი წელიწადია. ბერლინის მშრომელებმა, თავის სიმტკიცით და უმაგალითო მხნეობით გადალახეს დემონსტრაციების სამარცხვინო აკრძალვა. მუშები გამოეხმაურენ კომპარტიის მოწოდებას და, ქალაქის ქუჩებზე 200.000 მუშაზე მეტმა გაიარა. მათ ერეკებოდენ ცერგიბელის კაზაკები, მაგრამ ისინი ისევ იკრიბებოდენ და უფრო მჭიდროდ დარაზმული გამოდიოდენ. ბერლინის პროლეტარიატმა დაანახვა ყველას, რომ მას შეუძლია ბრძოლა. ბარიკადები სტიქიურათ გაჩნდენ. ვედინგი გადაიქცა ბერლინის რევოლიუციონურ ცენტრად, ხოლო ნეიკელნში საბარიკადო ბრძოლა რამოდენიმე საათს გაგრძელდა. ცერგიბელის დახმარებით, ფაშიზმი შეტევაზე გადმოდის, რომ გერმანიაში თავისი სისხლიანი ბატონობა დაამყაროს. ეს სისხლიანი გაკვეთილი იმის მაჩვენებელია, რომ მხოლოდ მუშების შეიარაღებას, კონტრ - რევოლიუციის განიარაღებასა და პროლეტარიატის დიქტატურის დაწესებას შეუძლია უზრუნველჰყოს მუშების სიცოცხლე და ცხოვრების ადამიანური პირობები. მთელმა მუშათა კლასმა სოლიდარობა უნდა გამოუცხადოს პირველ მაისის გმირ მონაწილეებს. (ადს).

ინგლისი

დემონსტრაცია ლონდონში

ლონდონი, 2 მაისი. ინგლისის მუშათა პარტიის ორგანიზაციები ბოიკოტს უცხადებენ საპირველმაისო დემონსტრაციებს. მაგრამ ლონდონის რევოლიუციონურმა მუშებმა მაინც მოაწყვეს მსვლელობა ჰაიდ-პარკში. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო ხუთი ათასმა კაცმა. დემონსტრაციას წინ მიუძღოდნენ მუშათა კავშირის და მსოფლიო ომის მონაწილეთა რაზმები. დემონსტრანტებს მიჰქონდათ მრავალი დროშა და პლაკატი ზედ წარწერილი ლოზუნგებით, რომლებშიც სოლიდარობას უცხადებდნენ საბჭოთა კავშირის მუშებს, მოითხოვდნენ ბრძოლას თეთრი ტერორის წინააღმდეგ ინდოეთში და იმპერიალისტური ომის საფრთხესთან. მსვლელობას ყველგან თან მიჰყვებოდნენ პოლიციელები (ადს).

საფრანგეთი

კომკავშირელების დაპატიმრება

პარიზი, 2 მაისი. 1 მაისისათვის პარიზში და მის გარე უბნებში დანიშნული იყო მრავალრიცხოვანი მიტინგები.

„ლიუმანიტე“ აცხადებს, რომ მთავრობის მიერ მიღებული ზომების მიუხედავათ, მთელ საფრანგეთში, განსაკუთრებით მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, მოხდება მუშათა დემონსტრაციები. „ლიუმანიტე“ მოუწოდებს ჯარისკაცებს მოახდინონ დემონსტრაციები ყაზარმებში, დაუძმობილდნენ მუშებს და შეუერთდნენ მუშათა დემონსტრაციებს.

ხელისუფლების განკარგულებით, კონფისკაცია უყვეს საფრანგეთის კომკავშირის ორგანო „ავანგარდ“-ის საპირველმაისო ნომერს, რომელიც წინდაწინ იყო გამოშვებული. გამომცემელს წაუყენეს ბრალდება, რომ ის „ურჩობისაკენ მოუწოდებდა სამხედრო მოსამსახურეთ“. დააპატიმრეს შვიდი კომკავშირელი, რომლებიც ქუჩებში ჰყიდდნენ გაზეთებს. მათ პასუხისგებაში აძლევენ. ბრალს სდებენ იმაში, რომ ისინი „მონაწილეობას იღებდნენ სამხედრო მოსამსახურეთა ურჩობისაკენ მოწოდებაში“ (ადს).

დაპატიმრებულთა გადასახლება

პარიზი, 2 მაისი. საპირველმაისო დემონსტრაციების „თავიდან ასაცილებლად“ პარიზის პოლიციამ 30 აპრილის წინა ღამეს მოახდინა მრავალი დაპატიმრება მუშებსა და უცხოელებს შორის. 26 დაპატიმრებულს უკვე გამოუცხადეს ბრძანება გაძევების შესახებ.

პოლიცია „წესრიგს“ იცავს

პარიზი, 2 მაისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„შუადღისას, 1 მაისს პარიზში და მის მიდამოებში სრული სიწყნარე იყო. პოლიცია აპატიმრებდა ყველა ბელადებს, რომლებსაც შეეძლოთ მღელვარების გამოწვევა, აგრეთვე ყველა აქტივისტებს, რომლებიც სცდილობდნენ საქმის მოეწყვეტათ მუშები. პოლიცია აპატიმრებდა აგრეთვე „ლიუმანიტე“-ს სამაგიეროდ გამოსულ საპირველმაისო გაზეთის გამყიდველებს. „ლიუმანიტე“-ს მთელ ტირაჟს კონფისკაცია უყვეს. 2.283 დაპატიმრებულს შორის ბევრია უცხოელი ხელმძღვანელი კომუნისტი. კონფისკაცია უყვეს აგრეთვე 6 ავტომობილს, რომელთა საშუალებითაც დაცული უნდა ყოფილიყო კავშირი ცალკე რაიონებს შორის“ (ადს).

მასიური დაპატიმრებანი

პარიზი, 2 მაისი. 1 მაისს პარიზში მოხდა მრავალი დაპატიმრება. დღის სამ საათზე დაპატიმრებული იყო 3,400 კაცი. დაპატიმრებულთა შორის 350 უცხოელია. დაპატიმრებ ზოგიერთი მუნიციპალური მრჩევლები, საფრანგეთის კომკავშირის ცეკას მდივანი გუიო და აგრეთვე დეპუტატი დორიო. საპირველმაისო დემონსტრაციებისათვის ხელის შეშლის მიზნით პოლიციის დასახმარებლად პარიზში გადმოიყვანეს რესპუბლიკანური გვარდიის ნაწილები. პოლიციამ კონფისკაცია უყო „ლიუმანიტე“-ს საპირველმაისო ნომერს, რომელშიაც, სხვათა შორის, მოთავსებული იყო საფრანგეთის კომპარტიის, შრომის უნიტარული ფედერაციის და რემიდახის კომიტეტის მოწოდება.

ოფიციალური ცნობით, საპირველმაისო გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო პარიზის სამრეწველო წარმოებების 60 პროცენტმა. გაფიცვა თითქმის სრულიად არ შეხებია გაზების ქარხანას, ელექტროწარმოებებს, რკინის გზებს, მეტროპოლიტენს, ტრამვაის და ავტობუსებს. გაიფიცნენ თითქმის ყველა შოფერები. უნიტარულ პროფკავშირების მიერ განზრახული მიტინგები, პოლიციის მიერ საგანგებო ზომების მიღების გამო, არ შესდგა.

გაზეთების ცნობით, პარიზის გარეუბნებში საპირველმაისო გაფიცვებმა შეაჩერა დაახლოებით სამრეწველო წარმოებების 75 პროცენტი.

შეერთებული-შტატები

დემონსტრაცია ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 2 მაისი. 1 მაისს მთელ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში და ლათინურ ამერიკაში ჩატარდა დემონსტრაციები და მასიური მიტინგები. ნიუ-იორკში კომპარტიის მიერ მოწყობილ მიტინგში მონაწილეობა მიიღო 20.000 კაცზე მეტმა, დემონსტრანტებს თან მიჰქონდათ წითელი დროშები პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგებით (ადს).

ავსტრია

დემონსტრაცია უინციდენტოთ ჩატარდა

ვენა, 2 მაისი. საპირველმაისო დემონსტრაცია ვენაში უინციდენტოდ ჩატარდა. ავსტრიის კომპარტიის მიერ გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათასმა კაცმა, მათ შორის მუშათა წითელი თავდაცვის რაზმებმა, აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ოპოზიციონურმა ფრთამ, რომელმაც ანტიფაშისტურ კონგრესზე დაადგინა მონაწილეობა მიეღო საპირველმაისო დემონსტრაციაში კომპარტიის ლოზუნგებით. 1 მაისის დღესასწაული სრული წესრიგით ჩატარდა პროვინციაშიაც. მხოლოდ კამფენბერგში მოხდა შეტაკება სოციალ-დემოკრატიული შუცბუნდის წევრებსა და ფაშისტური ორგანიზაციის—ხეიმვერის წევრებს შორის. შეტაკების დროს დაიჭრა 19 კაცი (ადს).

შვეცია

ბურჟუაზია ამინდის მადლიერია

სტოკჰოლმი, 2 მაისი. შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ცუდი ამინდის გამო სტოკჰოლმის სოციალისტებმა და კომუნისტებმა ტრადიციული მსვლელობა კვირისათვის გადასდო (ადს).

შესწორებები საკავშირო კომპ. (ბ) მე-16 კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში

ხუთწლიანი გეგმის გარშემო

მე-3 სვეტის „ბ“ მუხლში დაბეჭდილია: ბ) „ამის შესაფერად იცვლება სოციალისტური სექტორის მთელი საერთო პროდუქციის ხვედრითი წონა:... სოფლის მეურნეობაში... 1932 — 33 წ. (იგი უდრის) — 16 პროცენტს“. უნდა იყოს... „15 პროცენტს“.

ამავე მუხლში ის აბზაცი, რომელიც ამ სიტყვებით იწყება: „განსაკუთრებულ გარდატეხას გვაძლევს“... და გრძელდება გ) მუხლამდე ასეთი რედაქციით უნდა შეიცვალოს:

„განსაკუთრებულ გარდატეხას გვაძლევს განსაზოგადოებული სექტორის (საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა) საამშენებლო პროგრამა სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის ნათესი სივრცის ზრდა 1933 წელს აღწევს ნათესი სივრცის 26 მილ. ჰექტარს; და 1933 წელს მოგვცემს (წინა 1932 წლის მოსავლიანობისაგან, როდესაც განსაზოგადოებული სექტორი შეადგენს მთელი ნათესი სივრცის 18 პროცენტს). საერთო პროდუქციის 15,5 პროცენტს და მარცვლეულ კულტურათა საბაზრო პროდუქციის 43 პროცენტს. სოფლის მეურნეობის ინდივიდუალური სექტორი აჭარბებს რიცხვობრივ ზრდას, რადგან გათვალისწინებულია განსაზოგადოებულ სექტორში ჩაბმული მოსახლეობის გადიდება 20 მილიონ სულამდე; ამასთანავე სახელმწიფო, საბჭოთა მეურნეობანი (ძველი და ახალი) 1932 წლის მოსავლით მოგვცემენ არა ნაკლებ 34 მილ. ცენტნერი საბაზრო პურისას, ხოლო კოლექტიური მეურნეობანი არა ნაკლებ 50 მილ. ცენტნერისა, რაც შეადგენს 84 მილ. ცენტნერს, ე. ი. 500 მილ. ფუთზე მეტს საბაზრო პურს“.

ამავე სვეტის „გ“ მუხლში დაბეჭდილია: გ) „კოოპერაციაში გაერთიანების უმთავრეს ზრდას გვაძლევს შემდეგი შედარება: კოლექტიურ მეურნეობათა საერთო პროდუქციის წილი... 1932—33 წ. (უდრის) 11,8 პროცენტს“; უნდა იყოს:... „11,4 პროცენტს“.

ამხ. კალინინის მოხსენების გარშემო

პირველი თავის მე-6 მუხლის მე-2 აბზაცი ასე იწყება: „თუ მრეწველობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში თავისი განვითარების პირველ საფეხურზე ემსახურება“; სიტყვის „ემსახურება“-ს წინ უნდა ჩაემატოს „კაპიტალისტურად“ (ფრჩხილებში).

მეორე თავის მე-2 მუხლის მეორე აბზაცში ფრჩხილებში მოქცეულ სიტყვებს... „კულაკთა ზედაფენების ინდივიდუალური დაბეგვრის უარყოფა და სხვ.“ უნდა მიემატოს: „უარყოფა იმ პოლიტიკისა, რომელიც აძლიერებს ზედმოქმედებას კულაკებზე, რომელიც განსაზღვრულ პირობებში მიმართავს დროებითს საგანგებო ზომებს კულაკების წინააღმდეგ, და მათი მეცადინეობის წინააღმდეგ, რომ ჩაშალონ ფასების საბჭოთა პოლიტიკა, უარყოფა იმ პოლიტიკისა, რომელიც ამავე დროს უზრუნველყოფს საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათათვის მხარის დაჭერას ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების მხრით“ (ფრჩხილები დაიხუროს).

მესამე თავის მე-2 მუხლის ბოლოს იქ, სადაც დაბეჭდილია:... „მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცების თვალსაზრისით“, სიტყვის „გლეხობის“ შემდეგ ჩაემატოს: „მთავარ მასებთან“.

იმავე თავის მე-5 მუხლის პუნქტს „ვ“, ბოლოში შემდეგი ახალი აბზაცი დაემატოს: „საჭიროა დაუყონებლივ ზომები იქნას მიღებული სასოფლო - სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების საცდელ დაწესებულებათა არსებული ქსელის ფინანსიური გაძლიერებისა და განვითარებისათვის, აგრეთვე ახალ მეცნიერულ - გამომკვლევ საცდელ, დაწესებულებათა გახსნისათვის“.

იმავე თავის მეექვსე პუნქტის პუნქტ „გ“-ში იქ, სადაც სწერია: „მათ შემადგენლობაში შეყვანილ იქნან კოლექტიურ მეურნეობათა წევრები“, დაისვას მძიმე და ჩაემატოს „გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებათა კომიტეტების წარმომადგენლები“. იქვე გრაფა „გ“ შემდეგ მიემატოს ახალი აბზაცი „დ“: „ყოველმხრივ მხარი დაუჭიროს წითელარმიელთა შორის თანდათან გაძლიერებულ მოძრაობას, რომლის მიზანია თავის ინდივიდუალურ მეურნეობათა გაერთიანება კოლექტივებად; გაძლიერდეს კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის პოპულიარიზაცია წითელ არმიაში და, უფრო მოწინავე წითელარმიელთაგან მომზადდნენ კოლექტიურ სამეურნეო მოძრაობის ორგანიზატორები“. წინანდელი პუნქტი „დ“ ჩაითვალოს პუნქტად „ე“..

ამხ. იაკოვლევის მოხსენების გარშემო

თეზისების შესავალი ნაწილის პირველ პუნქტში, მეოთხე აბზაცში, სადაც სწერია: „პროლეტარიატის წინააღმდეგ მიმართული კულაკურ - ნეპმანური ელემენტების ცდებს“, უნდა ჩაემატოს: „რომლებიც ამახინჯებენ კლასობრივ ხაზს“. მეორე პუნქტის მეორე აბზაცში სწერია: „და ქვედა საფეხურის ორგანოების“; უნდა იყოს: „და ადგილობრივი და ქვედასაფეხურის ორგანოების მოვალეობათა“.

თეზისების შესავალი ნაწილის მეორე პუნქტში, სადაც სწერია: „მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიუროსთან“, უნდა ჩაემატოს: „(რომლებსაც ამტკიცებს მუშათა და გლეხთა ინსპექცია)“.

თეზისების პირველი თავის პირველ პუნქტში პირველ აბზაცში, სადაც სწერია: „პარტიული დირექტივების შესრულებაზე წარმოადგენს“, უნდა ჩაემატოს: „არა მარტო“. იმავე პუნქტში დაბეჭდილია: „სისტემატიური შემოწმება იმისა, თუ რამდენად სრულდება და დაცულია რევოლიუციონური კანონიერება, უნდა გადაიქცეს ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად“; უნდა იყოს: „არამედ ერთ - ერთი უმთავრესი საშუალება, რომელიც უზრუნველჰყოფს ყველა საბჭოთა ორგანოს კლასობრივ ხაზს. სისტემატიური შემოწმება იმის, თუ რამდენად სრულდება და დაცულია რევოლიუციონური კანონიერება, უნდა გადაიქცეს ყველა პარტიულ, სამეურნეო და საბჭოთა ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ყველა საფეხურში“.

პირველი თავის „ბ“ პუნქტის შემდეგ უკანასკნელ აბზაცში უნდა ჩაემატოს: „კონტროლის სიმრავლის მოსპობის მიზნით, კონფერენცია სავსებით ამტკიცებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილებას 1928 წლის 22 დეკემბრის თარიღით კონტროლის მოხდენის შესახებ და ავალებს მუშათა და გლეხთა ინსპექციას გაავრცელოს იგი კონტროლის გამწევ ყველა ორგანოსა და დაწესებულებაზე და მკაცრად ადევნოს თვალყური ამ დადგენილების შესრულებას“.

მეორე თავის სათაურში სწერია: „სახელმწიფო აპარატის პირადი შემადგენლობის გაუმჯობესება“, უნდა იყოს: „საბჭოთა აპარატის პირადი შემადგენლობის გაუმჯობესება“.

პირველი პუნქტის პირველი აბზაცის დასაწყისში სწერია: „სახელმწიფო აპარატის“, უნდა იყოს: „საბჭოთა აპარატის“. იმავე აბზაცში სწერია: „ჩაატაროს საბჭოთა აპარატის გაწმენდა“, უნდა იყოს: „მოაწყოს საბჭოთა აპარატის წმენდა“.

პირველი პუნქტის უკანასკნელ აბზაცში სწერია: „სახელმწიფო აპარატში“, უნდა იყოს: „საბჭოთა აპარატში“.

მეორე პუნქტის პირველი აბზაცის მეორე სვეტში დაბეჭდილია: „სახელმწიფო აპარატიდან“, უნდა იყოს: „საბჭოთა აპარატიდან“.

იმავე პუნქტის მეორე აბზაცის მესამე სვეტში, სადაც სწერია: „დაწესებულებათა ხელმძღვანელნი“, უნდა ჩაემატოს: „სუსტია დაწინაურებულთა კავშირი მათ დამწინაურებელ წარმოებებთან“.

„ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ ჩაემატოს ახალი ქვეპუნქტი „დ“: წინადადება მიეცეს პარტიულ და პროფკავშირთა ორგანოებს — მიაღწიონ მტკიცე კავშირის დამყარებას დაწინაურებულთა და დამწინაურებელ წარმოებათა შორის, ამასთან ეს მუშაობა უნდა სწარმოებდეს ფაბქარკომიტეტებში, ხოლო დიდ წარმოებებში — ცეხში“.

ქვეპუნქტები „დ“ და „ე“, ახალი პუნქტის ჩამატების გამო, უნდა გადასწორდეს: „ე“, „ვ“ და „ზ“.

ახალი ქვეპუნქტის „ზ“-ს შემდეგ უნდა ჩაემატოს ახალი პუნქტი: „თ“ დაევალოს საბჭოთა ორგანოებს — ერთ - ერთ ძირითად ამოცანად დაისახონ აპარატის შემადგენლობის სისტემატიურად შესწავლა, მუშაკთა აღრიცხვისა და შერჩევის ორგანიზაცია ცეკას სათანადო დირექტივების თანახმად. წინანდელი პუნქტი „3“ ამის მიხედვით, შეიცვალოს „4“ პუნქტად.

მესამე თავის მეორე პუნქტში პირველ აბზაცში, სადაც სწერია „მრეწველობის მართვა - გამგეობის“, ჩაემატოს: „და ტრანსპორტის“.

ქვეპუნქტში „ა“, სადაც სწერია: „სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს გადაქცევა“, ჩაემატოს „გზათა სახ. კომისარიატთან ერთად“, და ამის მიხედვით სათანადო სიტყვები შეიცვალოს მრავლობით რიცხვად.

ქვეპუნქტში „ვ“, სადაც სწერია: „მრეწველობის მეთაურთა შემადგენლობის სიმტკიცე“, ჩაემატოს: „და ტრანსპორტზე“.

მესამე პუნქტში მეორე აბზაცში სწერია: „სავაჭრო კოოპერატიული სისტემის უკიდურესი ცენტრალიზმის დროს“, უნდა იყოს: „მომწესრიგებელი და სავაჭრო ორგანოების გადაჭარბებული ცენტრალიზმის დროს“.

იმავე აბზაცში, სადაც სწერია: „კოოპერატიული პუნქტების დეცენტრალიზაცია“, უნდა ჩაემატოს: „ამავე დროს დაცულ და გაუმჯობესებულ უნდა იქნას ცენტრალიზაციაქმნილი ხელმძღვანელობა ფინანსების და ვაჭრობის დაგეგმვის დარგში“.

მეექვსე პუნქტის შემდეგ ჩაემატოს: „კონფერენცია ხაზს უსვამს, რომ ყოველი დაწესებულების აპარატის რაციონალიზაცია წარმოადგენს ამ დაწესებულების სავალდებულო და მუდმივ ფუნქციას და არა მხოლოდ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების ფუნქციას; პასუხისმგებლობა ამ ამოცანის განხორციელებისათვის ეკისრება, უპირველეს ყოვლისა, თვით დაწესებულების ხელმძღვანელებს და მუშაკებს, აგრეთვე მათ საზოგადო ორგანიზაციებს“.

მეშვიდე პუნქტის ბოლოში სწერია: „იაპონიის დონეს, სადაც ორთქლმავლები“ და სხ. უნდა იყოს: „როგორც ამერიკა, გერმანია და იაპონია, სადაც სამგზავრო ორთქლმავალი სასარგებლო მუშაობაში არის 14 საათს დღე-ღამეში, ხოლო ჩვენში 6½—9 საათს, და მრავალი ასეული მილიონი მანეთის მომჭირნეობის შესაძლებლობას ქმნის“;

პოლონეთი

მუშების შეტაკება პოლიციასთან

ვარშავა, 3 მაისი. 1 მაისის წინ პოლიციამ გაჩხრიკა და დააპატიმრა რამდენიმე ასი კაცი. მობილიზაცია უყვეს 2.500 ქვეითა პოლიციელს, ცხენოსანი პოლიციის 2 ესკადრონს და ავტოტრანსპორტს. დილით ადრე პოლიციამ დაიწყო დემონსტრანტების გარეკვა, რომლებიც მიიმართებოდნენ მთავარი პუნქტისაკენ, გრუიბოვის მოედანზე. მიუხედავად ამისა, მოედანზე, რომელიც გარს შემორტყმული იყო პოლიციით, შეიკრიბა 5,000 დემონსტრანტი. მოედანი მთლად დაჭირეს კომუნისტებმა და პოლონეთის სოც. პარტიის მემარცხენე ფრთამ. გაშალეს დროშები და პლაკატები, სიტყვა წარმოსთქვა კომუნისტ დეპუტატმა სიპულამ.

მიტინგის დასაწყისში ქვეითი და ცხენოსანი პოლიციის რაზმებმა დემონსტრანტებს დაუწყეს ცემა ხმლებით და თოფის კონდახებით. დემონსტრანტებმა წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას. მოედანზე აღმოჩნდა რამდენიმე დაჭრილი. ნაცემთა და დასახიჩრებულთა რიცხვი ძალიან დიდია. ნაცემთა შორის არის კომუნისტი დეპუტატი სიპულა. პოლიციასთან შეტაკების დროს მუშათა რაიონებში დაშავდა 110 კაცი. დაპატიმრებულთა რიცხვი ძალიან დიდია. დაპატიმრებულია პოლონეთის სოც. პარტიის მემარცხენე ფრთის მოღვაწე გრაბოვსკი.

არა სრული ცნობებით, კომუნისტების მოწოდებით ქუჩაში გამოსულთა რიცხვი 10,000 კაცს უდრიდა. მოკოტოვის, აგრეთვე პავიაკის საპყრობილეებში პოლიტპატიმრებმა სეირნობის დროს დემონსტრაცია გამართეს. პატიმრები მღეროდნენ „ინტერნაციონალს“.

საპირველმაისო პოგრომები

ვარშავა, 3 მაისი. ვილნოში მუშათა დემონსტრაცია გამოვიდა დასავლეთ ბელორუსიის და გრომადის კომპარტიის დროშებით. დემონსტრანტებს თავს დაესხა პოლიცია. დემონსტრანტებმა, გაზეთების ცნობით, წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას. პოლიციამ თოფები დაუშინა დემონსტრანტებს, სროლის დროს მძიმედ დაიჭრა 24 კაცი, მათ შორის 6 პოლიციელი. თავში დაჭრილი სეიმის ბელორუსთა მუშურ - გლეხური ფრაქციის დეპუტატი დვორჩანინი. ერთი დაჭრილი დემონსტრანტი გარდაიცვალა.

საპირველმაისო მსვლელობაში ლვოვში პოლიციამ ბევრი დემონსტრანტს სცემა.

კომუნისტთა მსვლელობა ლოძში გაფანტა პოლიციის რაზმმა.

ბორისლავში მუშათა მსვლელობის გარეკვის დროს დაჭრეს დეპუტატი გამი.

გარეკეს აგრეთვე მიტინგი დომბროვში, სადაც სიტყვა წარმოსთქვა კომუნისტ დეპუტატმა ერუზალსკიმ. ლიუბლინში პოლიციამ გარეკა პოლ. სოც: პარტიის მემარცხენეთა დემონსტრაცია (ადს).

სამარცხვინო დამარცხება

ვარშავა, 3 მაისი. პოლონეთის სოც. პარტიას ვარშავაში არ გაუმართავს დემონსტრაცია. იგი დაკმაყოფილდა მხოლოდ მიტინგებით, რომლებიც ძალიან მცირერიცხოვანი იყო.

პოლონეთის სოც. პარტიის დემონსტრაცია ლოძში სამარცხვინო დამარცხებით დამთავრდა.

იავორსკის პარტიის (პოლ. სოც. პარტიის მემარჯვენე ფრთა) მსვლელობაში მონაწილეობა მიიღო 4,000 კაცმა. დემონსტრანტები იავორსკის მეთაურობით ვაიძახოდნენ ლოზუნგებს პილსუდსკის პატივსაცემად (ადს).

თეთრგვარდიელ სტუდენტთა ხულიგნობა

ვარშავა, 2 მაისი. 1 მაისს, დილა—ადრიან მთვრალ რუს თეთრგვარდიელთა ჯგუფი (11 კაცი), რომელიც, ალბად, პირდაპირ სამიკიტნოდან გამოვიდა, მიადგა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შენობას და იმღერა „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა“! პოლიციამ თეთრგვარდიელები გაფანტა. (ადს)

ჩეხო-სლოვაკია

კომუნისტები მასების სათავეში

პრაღა, 2 მაისი. საპირველმაისო დემონსტრაციაში ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის კოლონა გაირჩეოდა წმინდა პროლეტარული შემადგენლობით და რევოლიუციონური ხასიათით. კომუნისტური კოლონა, რომელშიაც შედიოდა 20.000 კაცი, თავისი სიმრავლით სჯარბობდა სოციალ-დემოკრატების კოლონას. კომპარტიის დროშებით აწყობდნენ დემონსტრაციებს აგრეთვე უპარტიო მუშებიც. კომუნისტი დემონსტრანტები გამოდიოდნენ შემდეგი ლოზუნგებით: ბრძოლა წინააღმდეგ ლიკვიდატორების ბლოკისა რეფორმისტებთან და ბურჟუაზიასთან. ბრძოლა ომის საფრთხის წინააღმდეგ, კლასობრივი ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურისათვის. კომუნისტური დემონსტრაციის ადგილზე პოლიციამ კონფისკაცია უყო პლაკატებს ლოზუნგებით ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის დაცვის სასარგებლოდ. პოლიციამ წაიღო აგრეთვე ლენინის პორტრეტები და დააპატიმრა რამდენიმე კაცი.

ნორვეგია

დემონსტრაცია არ შესდგა

ოსლო, 2 მაისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ცუდი ამინდისა და ქარბუქის გამო, ოსლოს მუშათა ორგანიზაციებმა გადასწყვიტეს აღარ ჩაატარონ დემონსტრაციები. დემონსტრაციის ნაცვლად საღამოზე დახურულ სადგომებში შესდგება კრებები (ადს).

თურქეთი

არალეგალური საპირველმაისო ფურცლები

სტამბოლი, 2 მაისი. გაზეთები იუწყებიან, რომ პოლიციამ აღმოაჩინა პროკლამაციები, რომლებსაც ფოსტით გზავნიდნენ. პროკლამაციები თურქეთის კომპარტიისა და კომკავშირის სახელით მოუწოდებენ მუშებს იდღესასწაულონ 1 მაისი (ადს).

პოლიციის მობილიზაცია

სტამბოლი, 2 მაისი. პოლიციამ მიიღო განსაკუთრებული ზომები საპირველმაისო გამოსვლების წინააღმდეგ. პოლიციელებისათვის შვებულების მიცემა დროებით შესწყდა. მუშების ყოველგვარი კრებები აკრძალულია.

ფინეთი

მემარცხენე მუშების საპირველმაისო დემონსტრაციები

ჰელსინგფორსი, 3 მაისი. მემარცხენე მუშების დემონსტრაციაში, მიუხედავათ ცუდი ამინდისა, მონაწილეობა მიიღო 7.000 კაცზე მეტმა. სოციალ - დემოკრატების დემონსტრაცია არ შესდგა. (ადს).

პირველი მაისი საბჭ. კავშირში

მოსკოვში

ალლუმი წითელ მოედანზე

მოსკოვი, 3 მაისი 1-ლ მაისს, დილით, მოსკოვის ქუჩები სადღესასწაულოდ განწყობილი ხალხით გაივსო. 9 საათზე წითელ მოედანზე გამწკრივდნენ სამხედრო ნაწილები დროშებით და მუსიკის ორკესტრებით. მავზოლეის მარცხენა მხარეზე დადგნენ ამხ. სტალინი, რიკოვი, მოლოტოვი, კუიბიშევი, ბუხარინი, იაროსლავსკი, რუდზუტაკი, კაგანოვიჩი, ბაუმანი და სხვა. მარჯვენა მხარეზე კი — სამხედრო რევოლიუციონური საბჭო ამხ. უნშლიხტის მეთაურობით. ტრიბუნებზე საბჭოთა კავშირის და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ცაკების და კომინტერნის წევრები, სხვა ქალაქების მუშათა დელეგაციები, მუშათა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. ალლუმი მიიღო ამხ. ვოროშილოვმა, რომელმაც მავზოლეიდან სიტყვით მიმართა დამსწრეთ.

შემდეგ ამხ. ვოროშილოვმა წაიკითხა ფიცის ტექსტი, რომელსაც იმეორებდნენ წითელ მოედანზე ათასობით მყოფი ახალგაზრდა წითელ არმიელები. ფიცის დადების შემდეგ, ამხ. ვოროშილოვმა მიულოცა წითელ არმიელებს აღთქმის დადება და გამოსთქვა იმედი, რომ ისინი სახელოვნად ატარებენ რევოლიუციის იარაღს და მოიმარჯვებენ მას იმათ წინააღმდეგ, ვინც გაბედავს საბჭოთა დიდი კავშირის მშვიდობიანი მშენებლობის დარღვევას.

ამის შემდეგ დაიწყო სამხედრო ნაწილების საზეიმო გავლა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდნენ ცხენოსანი ნაწილები, ავტომობილების ნაწილები, კავშირის ვამბელი რაზმი მოტოციკლეტებისა, მსუბუქი საბარგო ავტომობილები ტყვია - მფრქვევებით, მძლავრი ავტომობილები უზარმაზარი პროჟექტორები, საჰაერო ბატერეები მტრის ჰაეროპლანების ხმაურის მიმღები აპარატებით, პატარა ტანკები ტყვია-მფრქვევლებით და პატარა ზარბაზნებით, დიდი ტანკები მრისხანეთ გამომცქირალი დიდი ზარბაზნებით. სამხედრო ნაწილების გავლა გაგრძელდა ორ საათს. ამავე დროს ჰაერში დაფრინავდნენ ფოლადის ფრინველების გუნდები, რომლებიც საერთო აღტაცებას იწვევდნენ. თორმეტის ნახევარზე დაიწყო რაიონების მშრომელთა გავლა. მსვლელობას წინ უძღოდნენ კომკავშირელთა გასამხედროებული ნაწილები, ავიოქიმის წევრები გაზის საწინააღმდეგო ნიღბებით და წითელი დები. პლაკატებზე და ლოზუნგებში აღნიშნული იყო პროლეტარიატის ენერგია და რწმენა თავის ძალებში და საომრად მზად ყოფნა. ცოცხალი ფიგურები და ნიღაბები გამოხატავდნენ ყოფა-ცხოვრების მახინჯ მხარეებს: ლოთობას, ეკლესიას და ანტისემიტიზმს. ტროცკის საზღვარ-გარეთ მოღალატურ გამოსვლების შესახებ. მრავლად იყო გესლიანი და სხარტული კარიკატურები.. დემონსტრანტებს ტრიბუნებიდან განუწყვეტლივ ესალმებოდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენ. კომიტეტისა და მთავრობის წევრები. დემონსტრაცია გაგრძელდა თითქმის ოთხ საათამდის და დამთავრდა ავტოდორის წრეების 200 ავტომობილისა და მოტოციკლეტის გარბენით. (ადს)

თბილისში

თბილისის პროლეტარიატი ყოველთვის განსაკუთრებული ზეიმით დღესასწაულობს პირველ მაისს.

მუშათა სოლიდარობის საერთაშორისო დღე წელსაც დიდი ზეიმით და სიხარულით ჩატარდა.

წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, მუშა - მოსამსახურეებმა დილის 7 საათიდანვე იწყეს დენა შესაკრებ პუნქტებზე, საიდანაც მწყობრი რიგებით, მუსიკით და დროშა - პლაკატებით გაემართნენ რუსთაველის პროსპექტისაკენ.

პროსპექტის ორივე მხარე ამ დროს სავსე იყო დემონსტრაციის გარეშე დარჩენილ ხალხით.

ისმის ორკესტრების განუწყვეტელი გუგუნი და დემონსტრანტების მხიარული ყიჟინა.



ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავრობის წევრები იღებენ ჯარების ალლუმს

საკომენდანტოს წინ აღმართულია ორი ტრიბუნა, საიდანაც დემონსტრანტებს ესალმებიან ა.-კ. და საქართველოს მთავრობების და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ტრიბუნაზე არიან ამხ. შ: ელიავა, ფ: მახარაძე, მ: კახიანი, აქსენტიევსკი, ვ. სტურუა, გ. ყურულაშვილი, შ: ლეჟავა, კ: მოდებაძე და სხვები.

დემონსტრანტების კოლონებს მოჰყვებიან უზარმაზარი საბარგო ავტომობილები, რომლებზედაც გასცენიურებულია ჩვენი საგარეო და საშინაო მდგომარეობის ზოგიერთი საჭირბოროტო საკითხები.

აი, მაგალითად, ერთ ავტომობილზე აღმართულია მაღალი, გუმბათისებური ყუთი, საიდანაც გამოშვერილია გრძელი, პირდაღებული ზარბაზნები. ავტომობილზე გაკრულია გრძელი პლაკატი წარწერით: „იმპერიალიზმი თავდასხმას ამზადებს საბჭოთა კავშირზე“.

აქვეა მეორე ავტომობილი, რომელიც გამოხატავს წითელი არმიის სიმტკიცეს და მზადყოფნას — საკუთარი მკერდით დაიცვას სოციალისტური სამშობლო მტაცებელ იმპერიალისტების თავდასხმისაგან.

ავტომობილზე გამოხატულია საბჭოთა კავშირის და პოლონეთის საზღვარი. საზღვარზე თოფით ხელში სდგას წითელი არმიელი.

აი კიდევ საერთაშორისო პოლიტიკის ერთი დამახასიათებელი მომენტი. ჟენევის სალაყბო. ავტომობილზე გამართულია კარუსელი. კარუსელის ცხენებზე სხედან ყელამდე იარაღში ჩამჯდარი ტიკინები — პილსუდსკი, ბრიანი, ჩემბერლენი და სხვა „[illegible]“. ავტომობილზე უკრავს არღანი.

საერთაშორისო პოლიტიკის გამომხატველ მომენტებს მოსდევს ჩვენი შინაური სიმტკიცის და ზრდის დამახასიათებელი პლაკატები და ცოცხალი სურათები.

ერთი ავტომობილი მორთულია აბრეშუმის ქსოვილებით და ძაფით. ავტომობილზე ზის მუშა - ქალი, რომელიც მატყლს არჩევს. აქვე არიან მუშებიც, რომლებიც განმარტებას იძლევიან მოძრავ ავტომობილიდან, თუ როგორ მზადდება აბრეშუმის ძაფი.

კარნავალში მონაწილეობას იღებს სახკინმრეწვიც, რომელიც წარმოდგენილია კინოსურათების აფიშებით აჭრელებულ ავტომობილით და ორი განიერი ძველებური „კარეტით“. კარეტაში ზის რაღაც უცნაური ხალხი. ესენი არიან სახკინმრეწვის აქტიორები, სხვადასხვა სურათების გმირები.

კიდევ ბევრია ამდაგვარი ავტომობილი. ყველა ისინი გამოხატავენ ჩვენი ცხოვრების რაიმე დამახასიათებელ დარგს.

დღის 2 საათამდე გაგრძელდა დემონსტრანტების მსვლელობა რუსთაველის პროსპექტზე. პროსპექტიდან დემონსტრანტები დაეშვენ პუშკინის ქუჩაზე და იქიდან გაეშურენ თავ-თავიანთ რაიონებში.

საღამოს მოზეიმე ხალხის აზვირთებული ტალღა კვლავ ქუჩებს მოედო.

ისევ ახმაურდა ქალაქი, ისევ აჭრელდნენ უზარმაზარი მასა და საზეიმოდ მორთული ქუჩები დილამდის არ მიყუჩებულა.

ზ—ძ.—

უკანასკნელი ცნობები

სისხლისმღვრელი ბრძოლა ბერლინის ქუჩებზე

ბერლინი, 3 მაისი. ბერლინის ქუჩებზე კვლავ სისხლისმღვრელი ბრძოლაა; ბრძოლა სწარმოებს უფრო მეტის გაფთრებით, ვიდრე პირველი დღეს. 2 მაისს, შუადღის შემდეგ შეტაკება ხდებოდა ბიულოვის მოედანზე, ლიბკნეხტის სახელობის სახლის წინ, სადაც იკრიბებოდნენ მუშების დიდი მასები, რომელთა წინააღმდეგაც პოლიცია გამოდიოდა. მაგრამ ბრძოლის მთავარ ასპარეზს წარმოადგენს ნეიკელნისა და ვედინგის გარეუბნები. ორივე გარე-უბანში 2 მაისს მთელ დღეს დემონსტრაციები იმართებოდა. პოლიცია ცდილობდა გაეფანტა დემონსტრაციები და ესროდა დემონსტრანტებს. მაგრამ მუშები ხელახლა იკრიბებოდნენ. საღამოთი ნეიკელნში შეტაკებები გადაიქცა საბარიკადო ბრძოლად, რომელიც გაცილებით უფრო მედგარი და გაალმასებული იყო, ვიდრე 1 მაისს. პოლიციამ ყველა თავისი ძალა მოიხმარა, მაგრამ მუშების ძალები გაცილებით უფრო მტკიცე გამოდგა, ვიდრე პირველ დღეს. (ადს)

მუშათა მრავალრიცხოვანი კრებები

ბერლინი, 3 მაისი. 2 მაისს კომპარტიამ რამდენიმე კრება გამართა. კრებები არაჩვეულებრივ მრავალრიცხოვანი იყო. (ადს)

არაჩვეულებრივი წვიმა

სამარყანდი, 3 მაისი. 1 მაისს სამარყანდზე გადაიარა არაჩვეულებრივ ძლიერმა წვიმამ, რომელმაც რამდენიმე საათს გასტანა. (ადს)

კატასტროფიული მიწისძვრა

აშხაბადი, 3 მაისი. 3 მაისს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე აშხაბადში ძლიერი მიწისძვრა მოხდა. პირველ ბიძგს მოჰყვა კიდევ სამი უფრო სუსტი ბიძგი. ქალაქში ჩამოინგრა 91 სახლი; დაშავდა 26 კაცი, 1 მოკვდა. რამდენიმე ათეული ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. მიწისძვრა მოხდა თითქმის მთელ თურქმენისტანში. შეუმოწმებელი ცნობებით, მიწისძვრა განსაკუთრებით გამანადგურებელი იყო სპარსეთის ტერიტორიაზე, სადაც რამდენიმე აული სრულიად დაინგრა. ბევრია მოკლული და დაშავებული. (ადს)

* * *

1 მაისს 6 საათსა და 4 წუთზე საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა აღნიშნეს კატასტროფიული მიწისძვრა, რომლის ცენტრი თბილისიდან დაშორებულია სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით (სპარსეთი) 1500 კილ. მანძილზე. მიწისძვრა იმდენად ძლიერი იყო, რომ ერთერთ სეისმოგრაფიდან გადავარდა კალამი.

განიარაღების კომისიის სესიაზე

ჟენევა, 2 მაისი, განიარაღების მოსამზადებელ კომისიაში გრძელდება კონვენციის პროექტის იმ მუხლების განხილვა, რომლებიც შეეხებიან ჯარის, საზღვაო და საჰაერო ფლოტების პირად შემადგენლობას. კამათი ეხლა აღარ იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს, რადგან ჯარის პირადი შემადგენლობის საკითხმა დაჰკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა, მას შემდეგ, რაც ჩრ. ამ. შერთ: შტატებს რესპუბლიკა დასთანხმდა, რომ კონვენცია არ გავრცელდეს გაწვრთნილ რეზერვებზე. რაც შეეხება ფლოტის პირად შემადგენლობის საკითხს, იგი, გიბსონის (ჩრდ. ამ. შეერთ: შტ:) წინადადებით, რომელსაც მხარი დაუჭირა მასილიმ (საფრანგეთი), გადაიდო იმ დრომდე, ვიდრე საზღვაო სახელმწიფოები შეთანხმდებოდნენ საზღვაო შეიარაღების შემცირების შესახებ.

ხმელეთის შეიარაღებული ძალების ნომენკლატურის პროექტის განხილვის დროს, რომელიც საფრანგეთმა წამოაყენა, წამოიჭრა საკითხი მეტროპოლიებისა და კოლონიების შეიარაღებულ ძალთა გამიჯვნის შესახებ.

მუნირ-ბეიმ (თურქეთი) აღნიშნა, რომ ეს გამიჯვნა, საფრანგეთის წინადადების მიხედვით, მხოლოდ პირობითია და არ აბრკოლებს მეტროპოლიებიდან კოლონიებში ან პირიქით ჯარის გადაყვანას. მუნირ-ბეიმ ხაზი გაუსვა იმას, რომ სხვის კოლონიებზე მოსაზღვრე სახელმწიფოებისათვის სულ ერთი არ არის—შესაძლებელი იქნება თუ არა თავი მოეყაროს ამ კოლონიებში სხვა კოლონიებიდან გადაყვანილ ჯარს.

ლიტვინოვმა გაიზიარა მუნირ-ბეის თვალსაზრისი და მოაგონა კომისიას საბჭოთა წინადადება, რომლის მიხედვითაც შეიარაღების მტკიცე საზღვრები უნდა დაწესდეს ცალკე მეტროპოლიისათვის და ცალკე კოლონიებისათვის, ამასთანავე ლიტვინოვმა განაცხადა, რომ ამ წინადადებას დაუბრუნდება მაშინ, როდესაც განხილული იქნება საბჭოთა შესწორება. ეს შესწორება წინადადებას იძლევა გამორიცხულ იქნას ის მუხლი, რომლის მიხედვითაც დასაშვებია მეტროპოლიებისა და კოლონიების შეიარაღებული ძალების თვითნებურად გადანაწილება. სხდომის ყველაზე უფრო საინტერესო მომენტი იყო ბერნსტორფის (გერმანია) განცხადება გერმანიის იმ შესწორების მოხსნის შესახებ, რომელიც წინადადებას იძლეოდა კონვენციის ძალა გავრცელებულიყო ვადის ზევით მოსამსახურე ყველა უმცროს სამხედრო თანამდებობის პირზე. ბერნსტორფმა განაცხადა, რომ ეს შესწორება ზედმეტი ხდება გაწვრთნილი რეზერვების საკითხის მოხსნასთან ერთად. ბერნსტორფმა სთქვა:

„გერმანიის მთავრობის რწმენით, გაწვრთნილი რეზერვების საკითხის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება შეუძლებელს ხდის შეიარაღების არსებითად შემცირებას. პასუხისმგებლობას მოსამზადებელი კომისიის მუშაობის მთელი შემდგომი მიმდინარეობისათვის გერმანია აკისრებს კომისიის უმრავლესობას, რომელიც დასთანხმდა კონვენციის მოქმედებიდან გამორიცხვა გაწვრთნილი რეზერვის, ეხლანდელი სესიის გამოცდილების მიხედვით, შეიძლება მოხდეს, რომ მუშაობამ უნაყოფოდ ჩაიაროს“ (ადს).

საბჭოთა კავშირში მოემგზავრება

ამერიკის საფეიქრო მრეწველობის წარმომადგენელთა დელეგაცია

პარიზი, 2 მაისი. ჩიკაგოელმა მრეწველმა ედუარდ შერლიმ საბჭოთა კავშირის პარიზის სრულუფლებიან წარმომადგენლობასთან მოლაპარაკება დაიწყო იმის შესახებ, რომ ამა წლის შემოდგომაზე საბჭოთა კავშირში გამოგზავნოს ილინოისის შტატის ფეიქარ მეფაბრიკეთა კავშირის დელეგაცია.

„ჩიკაგო დეილი ტრიბუნ“-ის პარიზელი გამოცემის თანამშრომელთან საუბრის დროს შერლიმ განაცხადა:

„ილინოისის საფეიქრო მრეწველობის ასამდე წარმომადგენელი საბჭოთა კავშირში გამგზავრებას აპირებს იმ მიზნით, რომ გაეცნონ საბჭოთა საფეიქრო ბაზრის პირობებს. ამერიკის საფეიქრო მრეწველობის 25 პროცენტზე მეტი ამჟამად გაუსაღებელი რჩება. საბჭოთა კავშირი შეიძლება ბაზრად გამოდგეს ჩვენი ზედმეტი წარმოებისათვის, თუ მოვახერხებთ და მას საჭირო კრედიტებს მივცემთ ჩვენი ფართლის შესაძენად“ (ადს).

პოლონელ მილიტარისტების გეგმები

„გლოს პრავდი“ საბჭოთა კავშირთან ომის შესახებ

ვარშავა, 2 მაისი. „გლოს პრავდი“ აცხადებს: სანამ საბჭოთა კავშირში უკრაინა, კავკასია და შუა აზია შედიან, მანამდე ლაპარაკიც კი არ შეიძლება აღმოსავლეთის მშვიდობიანობის შესახებ.

„გლოს პრავდი“ ეხება იმ ომის შესაძლებლობას, რომელსაც საბჭოთა კავშირი გამოიწვევს.

გაზეთის აზრით, საბჭოთა კავშირის მთავრობას, იმ მიზნით, რომ მან თავი დააღწიოს შინაურ გაჭირვებას, შეუძლია ჩაებღაუჭოს უკანასკნელ საშუალებას, რასაც წარმოადგენს სამხედრო ავანტიურა. მიუხედავად ამისა, გაზეთი ფიქრობს, რომ დღევანდელ პირობებში ომის საფრთხე საბჭოთა კავშირის მხრით მინიმალურია (ადს).

„იზვესტია“ „გლოს პრავდი“-ს წერილის შესახებ

მოსკოვი, 3 მაისი. „გლოს პრავდი“-ს უკანასკნელი ანტისაბჭოთა გამოსვლების გამო „იზვესტია“ წერილში: „პოლონური მილიტარისტების „გეგმები“, სწერს:

„მას შემდეგ, რაც პოლონეთის მთავრობის შემადგენლობაში მოხდა ცვლილებანი, „გლოს პრავდი“ სავსებით შეიძლება ჩაითვალოს მთავრობის ორგანოდ. ის, რასაც პოლონეთის ოფიციოზი აშკარად ამბობს, ამტკიცებს, რომ პოლკოვნიკთა ჯგუფში, რომლის ხელშიაც არის ამჟამად მთელი ძალა-უფლება პოლონეთში, მტკიცედ სცოცხლობს იდეები აღმოსავლეთ ევროპის რუკის შეცვლის შესახებ.

ამ ბანაკის პოლიტიკოსების დიდი ფანტაზიის მიუხედავად, ძნელია ფიქრი ისეთი იდეის წარმოშობაზე, რომ ასეთი გეგმის განხორციელება შეიძლება მშვიდობიანი გზით. მთავრობის პრესის გაუგონარი კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, განაჩენი ვოიცეხოვსკის საქმის გამო და, ბოლოს, ის საპროგრამო განცხადებანი, რომლებმაც ახე ნათლად ჰპოვეს გამოხატულება „გლოს პრავდი“-ს უკანასკნელ წერილებში, — ყოველივე ეს არ შეიძლება გავიგოთ სხვანაირად, თუ არ როგორც ავანტიურისტული ჯგუფის შეგნებული პროვოკაცია, რომელიც საგარეო გართულების გზით ცდილობს აიცილოს შინაური მთლიანობა საკუთარ წრეში და განამტკიცოს თავისი მდგომარეობა თავის ქვეყანაში“ (ადს).

ჰენრი მეტკალფის წერილი

ლონდონი, 2 მაისი. „მანჩესტერ გარდიან“-ში დაიბეჭდა ჰენრი მეტკალფის (კონსერვატორი, საბჭოთა კავშირში ჩამოსულ ინგლისელ მრეწველთა დელეგაციის წევრი) ახალი დიდი წერილი. ჰენრი მეტკალფი მოითხოვს, რომ რაც შეიძლება საჩქაროდ განახლდეს ინგლის-საბჭოთა დიპლომატიური ურთიერთობა. (ადს)

ბრძოლა ავღანისტანში

ბაჩე-საკაოს საქმეები ცუდათ მიდის

ლონდონი, 2 მაისი. როგორც ავღანისტანის საკონსულო ბომბეიში იუწყება, გაზნი ამანულას ხელშია. ამანულას ჯარი მიიწევს ქაბულისაკენ. (ადს)

ანგორა, 2 მაისი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო უწყება:

„ავღანისტანის საელჩომ ანგორაში მიიღო ცნობები, რომ გულამ-ნაბი-ხანმა, რომელიც ამჟამად ხელმძღვანელობს ამანულას ჯარს, ბაჩე-საკაოს ჯარს წაართვა მაზარი—შერიფი. (ადს)

ტერმეზი, 2 მაისი. ხაბიბულას ჯარში იწყება გახრწნა, რომელიც განსაკუთრებით შესამჩნევია ვარდაკის და ლოგარის რაიონებში. ამ უკანასკნელ რაიონში კუგისტანელების ორი ბატალიონი გადავიდა ნადირ-ხანის ჯარის მხარეზე. ქაბულში მასიური მობილიზაციაა. ჯარს ფრონტზე გზავნიან. საგრძნობია იარაღისა და სამხედრო მასალის ნაკლებობა.

ამანულას მხარეზე გადავიდა გილზაის ერთერთი ტომის უძლიერესი და ყველაზე უფრო გავლენიანი ბელადი სულეიმან ხელი. გილზაის ბევრი სხვა ტომიც მხარს უჭერს ამანულას. (ადს)

რევოლიუციონური გამოსვლები ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 2 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„გუშინ პალატაში, როცა ირჩეოდა კანონი ხიდების შესახებ, უეცრად საზოგადოების ადგილიდან წამოიძგა ხნიერი კაცი, დაიყვირა—„ძირს საიმონის კომისია“-ო და გადაჰყარა სხდომის დარბაზში აფარებული ფურცელი, დაბეჭდილი მწვანე ქაღალდზე. საიდუმლო პოლიციის აგენტებმა უცნობი წინააღმდეგობის გაუწევლად გაიყვანეს გარეთ.

ამავე დროს საზოგადოების ადგილების პირველ რიგში წამოიდგა 30 წლის ქალი და მკაფიო ხმით დაიძახა — „ძირს საიმონის კომისია“, „ძირს მკვლელების მთავრობა“, „ძირს რეპრესიების მთავრობა“-ო.

პოლიციის საიდუმლო აგენტები და მოსამსახურეები შეეცადნენ გაეყვანათ იგი, მაგრამ ქალმა ჩაავლო ხელი მოაჯირს და ხმა-მაღლა იძახოდა „ძირს მთავრობა, რომელიც აიძულებს ჩვენს მემაღაროებს განიცადონ შიმშილი! ძირს რეპრესიების მთავრობა! ძირს საიმონის კომისია! ინდოელებს არ უნდათ საიმონის კომისია! ძირს ჯალათები“!

ბოლოს, როგორც იქნა, პოლიციის აგენტებმა და მოსამსახურეებმა მოაცილეს იგი მოაჯირს. როცა გაჰყავდათ, მან დაიწყო რევოლიუციონური სიმღერის „წითელი ვარსკვლავი“-ს მღერა, ხოლო შემდეგ ისევ ყვიროდა „ძირს მთავრობა“-ო.

ქალმა დარბაზში გადააგდო რაღაც შავ დროშის მსგავსი, მაგრამ გადასროლილი ნივთი დავარდა საპატიო სტუმრების სკამებზე. გადაგდებული ნივთი აღმოჩნდა შავი გადასალები ქაღალდის ნაგლეჯი.

ხნიერი კაცის მიერ გადაგდებულ მწვანე ფურცლებში ეწერა:

„ძირს ბრიტანეთის იმპერიალიზმი! განთავისუფლეთ ჩვენი ძმები ინდოელები! ძირს საიმონის კომისია! ინგლისის იმპერიალიზმი ხვრეტს ინდოელ მუშებს! ინდოეთი — ინდოელ მუშებისათვის! ძირს ინგლისელი იმპერიალისტი ჯალათები! ინგლისის მუშებო, დაეხმარეთ თქვენს ძმებს ინდოელებს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში! ინგლისის იმპერიალიზმი ჰკლავს ინდოელ მუშებს და აიძულებს ინგლისელ მუშებს განიცადონ შიმშილი“!

ფურცელს ხელს აწერს „კლასობრივი ბრძოლის მსხვერპლთა საერთაშორისო ასოციაციის ლონდონის საოლქო კომიტეტი“ (ადს).

საბჭ. წარმომადგენლების დაპატიმრება

პარიზი, 2 მაისი. თავიანთ ბინებზე დააპატიმრეს საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის (პარიზში) შიკრიკი სოლტანენკო და სავაჭრო წარმომადგენლობის საგამოფენო განყოფილების კონსულტანტი, რუმინელი მოქალაქე როზენბერგი. (ადს)

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა მაისისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

გაიხსნა საჰაერო ხაზი
მოსკოვი—ხარკოვი—თბილისი
უკრაინის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაციის ჩამოფრენა

1-ლ მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე ხარკოვიდან თბილისისაკენ შავი-ზღვის საჰაერო ხაზით გამოფრინდა 7 ჰაეროპლანი. ჰაეროპლანებით დაქირავებული ჰყავდა უკრაინის კომკავშირის ცეკას უკრაინის კომკავშირელ მუშა-ახალგაზრდობის დელეგაციის გამოსაგზავნათ ამიერ-კავკასიაში. მთელი ჰაერო-ექსპედიცია შესდგებოდა 35 კაცისაგან. ექსპედიციას ახლდა კინოოპერატორი, რომელმაც ჰაეროპლანიდან გადაიღო მთელი გადაფრენა ხარკოვიდან თბილისამდე.

საჰაერო ექსპედიციას თბილისში მოელოდნენ 2 მაისს, მაგრამ ექსპედიციის გზაში ჩამორჩა ერთი ჰაეროპლანი, ამიტომ, ექსპედიცია 2 მაისს შეჩერდა სოჭაში. სოჭიდან ჰაეროპლანები გამოფრინდნენ თბილისში დილის 9 ნახევარ საათზე.

პირველი ჰაეროპლანი თბილისში მოფრინდა ნაშუადღევს სრულ 2 ს. და 40 წუთზე, 5 წუთის შემდეგ მოფრინდა მე-2 და მე-3 ჰაეროპლანი, ხოლო სამ საათზე მოფრინდა მეხუთე ჰაეროპლანიც. მეექვსე ჰაეროპლანმა კი დაიგვიანა ერთი საათით. უკანასკნელ მე-7 ჰაეროპლანს თბილისში მოელიან დღეს დილით.

ჰაერო-ექსპედიციის შესახვედრათ თბილისის ჰაეროდრომზე თავი მოიყარეს კომკავშირელებმა, თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების წარმომადგენლებმა და დიდძალმა ხალხმა. უკრაინის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაციის ჩამოსვლისთანავე ჰაეროდრომზე შესდგა სახელდახელო მიტინგი. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის სახელით დელეგაციას და ახალი საჰაერო ხაზის გახსნას მიესალმა ამხ. აზარაშვილი. მისა სალმებელი სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ბ.-კ. და საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის წარმომადგენელი ამხ. ეგიკოვი. მისალმებების საპასუხოთ სიტყვა წარმოსთქვა დელეგაციის თავმჯდომარემ და გაზ. „უკრაინსკი კომსომოლეც“-ის რედაქტორმა ამხ. ისაევმა.

საღამოს რუსთაველის თეატრში გაიმართა კომკავშირის თბილისის აქტივის საზეიმო სხდომა, რომელსაც გარდა უკრაინის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაციისა დაესწრო აგრეთვე ბაქოს და ერივნის კომკავშირელთა დელეგაციებიც. მისალმებათა დასრულების შემდეგ გაიმართა კონცერტი.

—

ხარკოვიდან თბილისში ჩამოფრენილი ჰაეროპლანებიდან ერთი „იუნკერსია“, ერთი „დორნიე-კომეტა“ და 4 საბჭოთა ჰაეროპლანი „К-4“. აღნიშნული ჰაეროპლანების კონსტრუქცია ეკუთვნის უკრაინელ კომუნისტ-ინჟინერს ამხ. კალინინს.

აღნიშნული ჰაეროპლანებით ხარკოვიდან თბილისში ჩამოფრინდა სამი უკრაინელი პროლეტარული მწერალი: პოეტი — უსენკო, ბელეტრისტი — კუზმიჩი და იუმორისტი — ვუხნალი. ექსპედიციასთან ერთად ჩამოფრინდა აგრეთვე „უკრვოზდუხპუტ“-ის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. კასიანენკო.

როგორ გატარდა საქართველოში
ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირება

საქართველოს სახ. კომისართა საბჭომ მოისმინა მოხსენება ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ 1927-28 წელში.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ჩატარებული გამოკვლევის თანახმად გაუერთიანებელ უწყებებში სახარჯთაღრიცხვო შემცირება გატარდა 12 პროცენტით (საქართველოში — 12 პროცენტით, აფხაზეთში — 4 პროც., აჭარისტანში — 14 პროც. და სამხრეთ-ოსეთში—10,1 პროცენტით.

გაერთიანებულ უწყებებში სახარჯთაღრიცხვო შემცირება გამოიხატა სულ 11,8 პროცენტში. ადმინისტრატიულ სამმართველო ხარჯების ფაქტიური შემცირება კი ბიუჯეტის შესრულების შედეგად უდრის: გაუერთიანებელ უწყებებში 5,1 პროცენტს და გაერთიანებულ უწყებებში — 7 პროცენტს. აფხაზეთში და აჭარისტანში გაერთიანებულ უწყებებში ხარჯები არა თუ არ არის შემცირებული, არამედ გადიდებულია კიდეც (5,5 პროცენტით აფხაზეთში და 1,2 პროც. აჭარისტანში).

ცალკე უწყებების მიხედვით შემცირება გატარებულია სავსებით და ცოტა გადამეტებითაც კი ცაკში (23,1 პროც.), სახელმწიფო საგეგმო კომისიაში (23,4 პროცენტით) და სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში (21,7 პროც.). განათლების სახ. კომისარიატში, ს: მ. უ: საბჭოში და მიწადმოქმედების სახ. კომისარიატში ხარჯები გაიზარდა. ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯები ფაქტიურად შემცირდა 11,6 პროცენტით.

დირექტივის არასავსებით შესრულებას საქართველოს სახ. კომისართა საბჭო ხსნის საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევით ცალკე უწყებებისა და პირების მიერ: ადმინისტრატიულ-სამმართველო საჭიროებებზე იხარჯებოდა საოპერაციო თანხები. სპეციალური თანხები არ იხარჯებოდა დანიშნულებისამებრ, ინახავდნენ შტატგარეშე თანამშრომლებს, აძლევდნენ უკანონო კომპენსაციებს, შემოღებული იყო პრაქტიკაში უსისტემო და უმიზნო მივლინებები და სხვ. თითქმის არსად არ მომხდარა ხარჯების შემცირება აპარატის რაციონალიზაციის შედეგად.

საქართველოს სახ. კომისართა საბჭომ საჭიროდ სცნო შემდეგი ღონისძიებების გატარება ცხოვრებაში:

კრედიტის გამნაწილებელნი ვალდებულნი არიან მოთავსდნენ ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ ჩარჩოებში. უნდა აიკრძალოს განაკვეთების გადიდება იმ ჯამაგირებთან შედარებით, რომლებიც დაწესებულია სახელმწიფოებრივი მოწესრიგებით.

შტატგარეშე თანამდებობები დაუშვებელია. აკრძალულია სამუშაო ხელფასზე დამატების გაცემა რომელ წყაროდანაც არ უნდა იქნას ის. აკრძალულია აგრეთვე დახმარების და განსაკუთრებული ჯილდოების გაცემა. ფულადი კომპენსაციები შეღავათების ნაცვლად შეიძლება გაცემულ იქნას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების სათანადო ნებართვით.

ხარჯები სამეურნეო საჭიროებებისათვის სასტიკად განსაზღვრული უნდა იქნეს საკრედიტო ასიგნობებით.

ამ ღონისძიებების გატარებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება კრედიტების გამნაწილებლებს (ადს).

ბოროტმოქმედებანი პურის გამოცხობა-განაწილების საქმეში
ბრძოლა წიგნაკებით სპეკულიაციის წინააღმდეგ — ღონისძიებები პურის ხარისხის გასაუმჯობესებლად

როგორც აღნიშნული გვქონდა, პურის წიგნაკების შემოღებამ დიდი დადებითი შედეგები გამოიღო: შედარებით გაუმჯობესდა პურის ხარისხი, მოისპო რიგები საცხობების წინ და ბოლო მოეღო პურით სპეკულიაციას და მის გამოყენებას საქონლის საკვებათ.

მაგრამ ახლა ადგილი აქვს ახალი სახის ბოროტმოქმედებას. ბაზარზე გაჩნდა სხვადასხვა მახინაციებით მიღებული წიგნაკები, რომლებიც 30—40 მანეთად იყიდება, ზოგიერთები ღებულობენ ზედმეტ ულუფას, არამშრომელ ელემენტებმაც მოახერხეს წიგნაკების მიღება, არის აგრეთვე შემთხვევები, როცა ავადმყოფობის გამო ერთი და იგივე პირი თეთრ პურსაც იღებს და წიგნაკითაც სარგებლობს, ოჯახები ღებულობენ იმ წევრების ულუფასაც, რომლებიც შვებულებაში ან სხვაგან მიდიან და სხვ.

ყველა ამ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ მიღებულია სათანადო ზომები.

აღსანიშნავია აგრეთვე თვით პურის მცხობელთა მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი. პურის მცხობელები, რომელთა უმრავლესობა შესდგება საცხობების ყოფ. მეპატრონეებისაგან, არავითარ ზომებს არ იღებენ პურის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ზოგ შემთხვევაში განზრახ აფუჭებენ პურს, რომ გამოიწვიონ მომხმარებელთა უკმაყოფილება. ზოგიერთები კი, რომელნიც წინეთ ცდილობდენ კარგი პური გამოეცხოთ, რომ მეტი მუშტარი ყოლოდათ, ეხლა მუშაობენ ზერელეთ, რის გამო პურში ხშირათაა სუროგატები.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: არსებულ წესის მიხედვით მოხმარებელს დღეს მიუღებელი ულუფა არ შეუძლია ხვალ მიიღოს. ამრიგათ პურის მცხობლები დარჩენილ პურს ყიდიან კერძო პირებზე აწეულ ფასებში, ხოლო „სწორი ანგარიშისათვის“ მეორე დღეს იტოვებენ მიუღებელ ულუფის ტალონსაც.

თბილისის ვაჭრობის მომწესრიგებელმა განყოფილებამ მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას, შეუდგა შესაფერი დადგენილების გამომუშავებას, რომლის ძალით პურის მცხობელებს ეკრძალება მიუღებელ ულუფის ტალონების დატოვება, ასეთი ტალონები უნდა მოსჭრან სახლში თვით მომხმარებლებმა.

მიღებულია აგრეთვე ზომები საცხობების გასაწმენდათ ისეთ პირებისაგან, რომლებიც ხელს უშლიან პურის ხარისხის გაუმჯობესებას.

გადასვლა 7 საათის სამუშაო დღეზე
თელავის აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა.

გურჯაანი, 2 მაისი. 1 მაისიდან 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილია თელავის აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა. მუშებმა და მუშა-ქალებმა (311 კაცია) დაადგინეს — გაადიდონ შრომის ნაყოფიერება ისე, რომ დღეში თვითეული მუშა-ქალი საშუალოდ ამუშავებდეს 560 კილოგრამ აბრეშუმს (ეხლა ამუშავებს დაახლოვებით 540 კილოგრამს).

საერთო დადგენილებით, ფაბრიკა დაისვენებს 3 და 4 მაისს, სამაგიეროდ იმუშავებს 5 და 6 მაისს. (ადს)

ამხ. ს. გუბელის გარდაცვალება
საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ცნობა

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი აუწყებს პარტიულ ორგანიზაციებს, რომ 2 მაისს ქ. თბილისში გარდაიცვალა თავდადებული ბოლშევიკი, პარტიის წევრი 1908 წ. ამხ. **სერგო გუბელი** (სერაფიონ მეძმარიაშვილი, სერაფიონ კორძაძე).

გუშინ საქართველოს ცენტრალურ კომიტეტისა და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების ბიუროს მიერ გამოყოფილ იქნა დამკრძალავი კომისია.

კომისიაში შედიან: ამხ. პევცოვი, შოგირაძე, ქ. ბერძენიშვილი, ვ. ფაშაკიძე, ავაქოვი, მარკმანი და გ. პიასეცკი.

—

გუშინვე შესდგა დამკრძალავი კომისიის სხდომა. კომისიამ დაადგინა ამხ. ს. გუბელი დასაფლავებული იქნას ქ. თბილისში ძმათა სასაფლაოზე. 4 მაისს დილის 10 საათიდან ყოფ. მიხეილის საავადმყოფოში ეწყობა ამხ. მორიგეობა საპატიო ყარაულში. პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები გზავნიან თავის წარმომადგენლებს ყოფ. მიხეილის საავადმყოფოში დილის 11 საათისათვის.

დაკრძალვის მთელი ხარჯები თავს იდვა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ.

ამხ. სერგო გუბელის ხსოვნას

გარდაიცვალა ამხ. სერგო გუბელი (სერაფიონ მეძმარიაშვილი, „ს. კორძაძე“). ამხ. სერგო დაიბადა 1892 წ. ის ჯერ კიდევ 16 წლის იყო, როდესაც შევიდა ბაქოს ორგანიზაციაში და მის შემდეგ თავდადებით ეწეოდა რევოლიუციონურ მუშაობას, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას, მონაწილეობას ღებულობდა მებრძოლ ორგანიზაციებში. ხშირად იყო დატუსაღებული და მისჯილი ჰქონდა კატორღა.

თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ამხ. სერგო სტოვებს თავის ძირითად პროფესიას (ფარმაცევტი) და ხელს ჰკიდებს პარტიულ პროფესიონალის მძიმე შრომას.

1917 წელს ის არის ქუთაისის პარტკომის წევრი. მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყების დამარცხების შემდეგ ის აჯანყებულებთან ერთად გადადის სოხუმში, საიდანაც ბოლშევიკურ ჯარებთან ერთად ბრძოლით იხევს უკან და ჩადის კავკავში. აქ ის მუშაობს — ჯერ ორგანიზაციის მდივნათ შემდეგ კი პარტიულ კომიტეტის თავმჯდომარეთ. ეს იყო 1918—1919 წლებში.

კავკავიდან ამხ. გუბელი გადადის ბაქოში არალეგალური მუშაობის საწარმოებლად. აქ ის ითვლება ბალახანა-საბუნჩის პასუხისმგებელ ორგანიზატორად.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დადგენილებით, ამხ. გუბელი 1920 წლის დასაწყისში იგზავნება ბათომში სამუშაოდ. აქ ის უდგება სათავეში ბათომის ორგანიზაციას: ადგენს მებრძოლ ორგანიზაციას და აწყობს ცნობილ ჯალათის — გენ. ლიახოვის მკვლელობას.

ამხ. სერგო უკვე მაშინაც ავად იყო. ტუბერკულიოზი ღრღნიდა მის ფილტვებს. მაგრამ ის დასვენებაზე არც სოხუმში, არც კავკავში, არც ბაქოში და არც ბათომში არ ფიქრობდა. რამდენჯერ გვინახავს ამხ. სერგო ბათომის წვიმიან ზამთარში ერთი კრებიდან მეორე კრებაზე მიმავალი. ჭაობიდან ქალაქში, იქიდან ბარცხანაში, შემდეგ ისევ ჭაობში. მოასწრებდა ფეხსაცმელების და პალტოს გაშრობას, გაათავებდა სხდომას და ისევ მიეჩქარებოდა სხვა კრებაზე. ის არ იმჩნევდა სისუსტეს და არც ფიქრობდა მასზე.

იმ ცოტა ხნის განმავლობაში, რაც ამხ. გუბელმა ბათომში დაჰყო, მან მოიპოვა მუშებში დიდი პატივისცემა, და მიუხედავად იმისა, რომ მძიმე ავადმყოფობის გამო 1922 წლიდან მუშაობას ჩამოსცილდა, ბათომის მუშებში ამხ. გუბელი დიდი პატივისცემით სარგებლობდა.

ამხ. სერგოს მეთაურობით ბათომის ორგანიზაციამ შესძლო ბრძოლა გაერთიანებულ დენიკინ-ინგლის-მენშევიკების ბლოკის წინააღმდეგ. მისივე ხელმძღვანელობით პარტიამ ბათომის მუშები დარაზმა 1-ლი მაისის დემონსტრაციისათვის.

30 აპრილს, როდესაც მოჰკლეს გენ. ლიახოვი, ამხ. გუბელმა ვერ მოასწრო გაქცევა. მას შეეძლო დამალვა, მაგრამ აწუხებდა ამხანაგების ბედი. ის შეგნებულათ არ აჩქარდა და პოლიციელების უმთავრესი ყურადღება თავისკენ მიიპყრო. სროლის დროს ის შემთხვევით გადარჩა სიკვდილს. ტყვია მოხვდა გულზე, მაგრამ ქაღალდებმა და შემდეგ საათმა შეაჩერა ტყვია. მეორე ტყვიამ მუცელი გაუკაწრა. დამალვა მაინც მოასწრო, მაგრამ ვიღაც დარაჯმა ის გასცა. ის დაატუსაღეს ინგლისელმა პოლიციელებმა. საპოლიციო უბანში მას სცემეს. პროფსაბჭოს კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ ის ციხეში გადაიყვანეს, მაგრამ აქ მას დენიკინელებისაგან გასამართლება მოელოდა. შესაფერისი გადაწყვეტილება ციხის უფროსს დენიკინელს ჰქონდა მიღებული. მაგრამ ორგანიზაციის კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ ინგლისელების ხელისუფლებამ მოგვცა გარანტია, რომ მას არაფერი შეემთხვეოდა.

მეორე დღეს, 1 მაისის გრანდიოზულმა დემონსტრაციამ მოითხოვა ამხ. სერგოს განთავისუფლება. ერთჯერ გაგზავნილმა დელეგაციამ მიზანს ვერ მიაღწია. მეორეთ კი კუკკოლისი დასთანხმდა 24 საათით მის განთავისუფლებას, თავდების ქვეშ. იმავე საღამოს ამხ. გუბელი გაემგზავრა თბილისში. წასვლის წინ მან შესძლო საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღება.

თბილისიდან ის მალულად კისლოვოდსკში გადავიდა პარტიულ მუშაობაზე. კისლოვოდსკიდან ბაქოში, სადაც ის გაზ. „კომუნისტი“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ის აწყობდა აპარატს კახეთის სოფლებში. შემდეგ ბათომში ის იყო აჭარისტანის რევკომის თავმჯდომარე და იუსტიციის კომისარი და ამავე დროს პარტკომის პრეზიდიუმის წევრი.

მენშევიკების დროს ამხ. სერგო იყო ქალაქის რაიონის არალეგალური ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი.

2 მაისს ღამით გარდაიცვალა ამხ. სერგო. ამხანაგო სერგო. ძნელია შენი დაკარგვა კომუნისტური პარტიისათვის, შენი ამხანაგებისათვის, მაგრამ თავდადებულ ბოლშევიკის ხსოვნა დიდხანს იქნება ჩვენს შორის. შენ არ დაგივიწყებენ ბათომის მუშები და აჭარისტანის გლეხები, სადაც აწარმოებდი თავდადებულ, მტკიცე ბოლშევიკურ მუშაობას.

ქ. ბერძენიშვილი.

:—:

სამძიმრის დეპეშა
ბათომიდან

ღრმად დაგვამწუხრა ძველი ბოლშევიკის და თანამებრძოლის ამხ. სერგო გუბელის დაკარგვამ.

ჟუღელი, დევდარიანი, ფილია, ხვანიძე, წითლიძე.

პოეტ ანტონ განჯისკარელის გარდაცვალება

2 მაისს, საღამოს 5 საათზე, სოფელ ღრმა-ღელეში გარდაიცვალა სახალხო პოეტი **ანტონ განჯისკარელი**.

საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმმა აირჩია დამკრძალავი კომისია, რომელშიც შედიან: ს. ეული, შ. რადიანი, ი. გრიშაშვილი, ტ. ტაბიძე, ბ. ჟღენტი, პლ. კეშელავა, ლევ. მეტრეველი, ქ. ნავთლუღელი, გ. ხეჩუაშვილი, გ. შინატეხელი.

დამკრძალავ კომისიის სხდომა შესდგა გუშინ, საღამოს 8 საათზე. კომისიამ დაადგინა მიცვალებული დაკრძალოს კვირას, 5 მაისს, დღის 1 საათზე, სოფ. ღრმა-ღელეში.

პოეტის პატივისმცემლები შეიკრიბებიან ხელოვნების სასახლეში, კვირას, 5 მაისს, დილის 11 საათზე, საიდანაც ავტომობილებით გაემგზავრებიან სოფ. ღრმა-ღელეში გასვენებაზე დასასწრებლად.

დასაკრძალავი ხარჯები გაიღო სახალხო კომისართა საბჭომ.

თანხები კომუნალური მშენებლობისათვის

საქართველოს კომუნალური მეურნეობის საკონტროლო ციფრები 1929-30 წლისათვის (აღებულია საქართველოს ყველა ქალაქი და კომუნ. მეურნეობა) შეადგენს 15.341.000 მ. აქედან ადგილობრივი ბიუჯეტით 8.320.000 და გრძელვადიანი კრედიტის გზით 7.021.000 მანეთი. გარდა ამისა, ალმასკომების შენობებისა და საბინაო მშენებლობაზე განზრახულია 4.804.000 მანეთის დახარჯვა. მათ შორის ქალ: თბილისში 2,560,000 მან., ქალ. ქუთაისში მარტო გადამწვარი რაიონის აღდგენაზე 1,191.000 მანეთი. ახალ ცენტრებისათვის — გურჯაანისათვის — 160,000 მან. და ჭრებალოსათვის—105.000 მან. დანარჩენი თანხა მოხმარდება წვრილ მშენებლობას საბჭოთა საქართველოს ქალაქებში (ადს).

რელიგიის წინააღმდეგ
უკულტურობის გამომხატველი დღესასწაული

ლოთობა და კულტურა—ურთიერთის დიამეტრალურად მოწინააღმდეგე ცნებებია. კულტურა არის ბუნების ძალთა საუკეთესო გამოყენება კოლექტივის ინტერესების მიხედვით ცხოვრების უფრო გონიერად და ბედნიერად მოწყობის მიზნით, ხოლო ლოთობა სწორედ ამის საწინააღმდეგოა. ლოთობა იწვევს მატერიალური ქონების უნაყოფო ფლანგვას, სამეურნეო ცხოვრების დაშლას, მოსახლეობის ჯანმრთელობის დასუსტებას და ყოფა-ცხოვრების გახრწნას.

ეს ჭეშმარიტება სწორედ ეხლა უნდა გავიხსენოთ, როცა აღდგომის დღესასწაული გვიახლოვდება. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ იმ ამოცანების გადაჭრის საქმეში, რომლებიც დაკისრებული აქვთ ამჟამად პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას, ლოთობა დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს: ლოთობა ხელს უშლის პარტიის იმ დირექტივების შესრულებას, რომლებიც შრომის ნაყოფიერების აწევას შეეხებიან, ვინაიდან ლოთობის გამო დღეების გაცდენა და ხულიგნობა, მთავარი მიზეზებია შრომის დისციპლინის დაცემისა. ლოთობა აბრკოლებს თვითღირებულების შემცირებას, რადგან დღეების გაცდენა და დაუდევრობა მუშაობაში ამცირებენ შრომის ნაყოფიერებას და, მაშასადამე, ხელს უშლიან თვითღირებულების შემცირებასაც. ლოთობა აბრკოლებს აგრეთვე კულტურულ რევოლიუციას, რადგან იგი ხრწნის ყოფა-ცხოვრებას და აჩერებს კულტურის მსვლელობას. ლოთობა ეწინააღმდეგება დირექტივას მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების შესახებ, ვინაიდან, როგორც მუშათა ბიუჯეტების გამოკვლევამ გვიჩვენა, მუშის ხელფასის მეოთხედი მაგარ სასმელებზე იხარჯება, ხოლო მთელი მოსახლეობა ყოველწლიურად ამაზე ხარჯავს 1 მილიარდსა და 200 მილიონ მანეთს. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობს მოსახლეობის შრომის უნარიანობის ამაღლებას და მის ჯანმრთელობის გამაგრებას,—ალკოჰოლი კი ძირს უთხრის ადამიანის ჯანმრთელობას და ამცირებს მისი შრომის უნარიანობას.

ასე რომ პარტიის თუ საბჭოთა ხელისუფლების რომელი დირექტივაც არ უნდა ავიღოთ, ლოთობა აბრკოლებს და ეწინააღმდეგება მის განხორციელებას.

ეს უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ლოთობის ყოველი საბაბის დროს. წლის განმავლობაში არასოდეს ლოთობის სურვილი ისე არ არის გაძლიერებული, როგორც აღდგომის „ბრწყინვალე“ დღესასწაულის დროს. აღდგომას ტყუილად კი არ უწოდებენ „დღესასწაულთა დღესასწაულს და ზეიმთა ზეიმს“. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ კი „მართლმადიდებელი“ მოვალეა ყოველ დღესასწაულზე დათვრეს და გაძღეს, აღდგომის დღესასწაულზე მან ეს ორმაგად უნდა შეასრულოს. ამისათვის არის დაწესებული სპეციალური ვარჯიშობა: შიმშილობა, ე. ი. „მარხვა“. ყველაფერი ეს თითქოს განგებ იმისათვის არის მოგონილი, რომ მეტად დაზიანდეს ადამიანის ჯანმრთელობა და მეტი თავაშვებულობა შეიტანოს ცხოვრებაში. შვიდი კვირე მარხულობენ იმ მიზნით, რომ შემდეგ გადაჭარბებულად გაძღნენ, შვიდი კვირის განმავლობაში იკლავენ სურვილს, რათა შემდეგ სრულ აღვირახსნილობას მიეცნენ.

ბაშკირეთში მინის ერთმა პატარა ქარხანამ წარსულ საშობაო დღესასწაულის დროს „შესვა“ (ე. ი. დახარჯა დასათრობად) 240 ფუთი მინა. თუ შობის, შედარებით მცირე დღესასწაულს ასეთი შედეგი მოჰყვა, ადვილად წარმოსადგენია, რა ზიანი მიადგება „დღესასწაულთა დღესასწაულის“ დროს ჩვენ მრეწველობას, ჩვენ სახალხო მეურნეობასა და მთელ მოსახლეობასაც. ზედმეტია აქ ლაპარაკი კულტურასა და მოთხოვნილებების უკეთესად დაკმაყოფილებაზე.

აღდგომის დღესასწაული—ჯანმრთელობისათვის ყველაზე საშიში დღესასწაულია. მას თან სდევს ღორმუცლობა და ლოთობა, რაც ჩვენ კულტურულ და გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს საგრძნობლად აფერხებენ. ამიტომაც იყო, რომ ძველად, მეფობის დროს, ამ დღესასწაულს უკავშირებდნენ ყოველად უმსგავსო მოქმედებებს. სწორედ აღდგომა დღეს აწყობდნენ ებრაელთა საზიზღარ დარბევებს, რადგან გალოთებული ბრბო უფრო ადვილი წასაქეზებელი იყო. დაავადების შემთხვევები ყველაზე მეტია აღდგომასა და მის შემდგომ დღეებში. ადამიანის ორგანიზმი ვერ იტანს მკაცრ ცვლილებებს: ადამიანი უფრო ადვილად ცივდება, რაც გახურებული ოთახიდან ცივ ჰაერზე გამოდის. შვიდი კვირის მხრივ, ე. ი. შიმშილობის, შემდეგ ზედმეტად გაძღომას და დათრობას მძიმე ცვლილებები შეაქვს ადამიანის სხეულში. ამიტომაც არის, რომ ღორმუცლობის და ლოთობის არც ერთი ასეთი შემთხვევა უზიანოთ არ ჩაივლის ხოლმე: ზოგს მაშინვე გაუჩნდება რაიმე მწვავე ავადმყოფობა, ზოგს კიდევ ნაწლავების ხანგრძლივი დაავადება და სხვ.

აღდგომის დღესასწაული სხვა მხრითაც არის მავნებელი. ამ დღეს მიღებულია ურთიერთის კოცნა, მილოცვა: ყველას აქვს უფლება ტუჩებში აკოცოს დიდსა და პატარას. რამდენი სენი ვრცელდება ამ გზით? საკმარისია მოვიგონოთ, რომ კაცობრიობის დაუძინებელი მტრები—სიფილისი, ქლექი, დიფტერიტი და სხვ.—ვრცელდებიან სწორედ ტუჩებისა და ნერწყვის საშუალებით. აღდგომის ცისკარის დროს, ზარების დარეკვის შემდეგ, ეკლესიებში იწყება ასეთი. „საერთო ცოდვის“ ჩადენა: ყველა იქ მყოფნი კოცნიან ერთმანეთს, ნაცნობებს თუ უცნობებს.

განა საეჭვოა, რომ ამ დროს ეკლესიებში არა ერთი და ორი პირი მოიპოვება ისეთი სენით, კერძოთ სიფილისით, დაავადებული, რომელიც ნერწყვის საშუალებით ვრცელდება? განა ცხადი არ არის, თუ როგორ ადვილად შეიძლება გავრცელდეს სხვადასხვა გადამდები სენი? ამიტომ ჩვენ ჯერ-ჯერობით ვერ შევსძლით ჩვენი ყოფა-ცხოვრებიდან სიფილისის ამოფხვრა, ვინაიდან იგი ვრცელდება არა მარტო სქესობრივი გზით, არამედ მავნე ჩვეულებათა საშუალებითაც. აღდგომის დღესასწაული—სიფილისის მთავარი გამავრცელებელია, განსაკუთრებით სოფლად, სადაც მას ასე მაგრა აქვს ფეხი მოკიდებული.

ამგვარად, აღდგომის დღესასწაულს ყველაზე დიდი ზიანი მოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ასე რომ აღდგომა „დღესასწაულთა დღესასწაული“ კი არა, სენთა გამავრცელებელია.

ამისათვის სხვა ანტირელიგიურ მუშაკთა შორის, რომელნიც ებრძვიან აღდგომას, როგორც კულტურული და სამეურნეო პროგრესის შემფერხებელს, მედიცინის მუშაკებმა ყველაზე მეტად უნდა აიმაღლონ ხმა. მათი მუშაობის შემაფერხებელი სწორედ აღდგომის დღესასწაულია, ამიტომაც ურწმუნოთა პირველ რიგებში ისინი უნდა ჩადგნენ და შეებრძოლონ აღდგომის დღესასწაულს და მის მავნე შედეგებს.

ნ. სემაშკო.

აღდგომა და პირველი მაისი

ყოველ საზოგადოებრივ წყობილებას თავისი დღესასწაულები აქვს. კაპიტალისტური, ბურჟუაზიული სამყაროს დღესასწაული წარმოადგენს საზოგადოების კლასობრივი წყობილების ქება-დიდებისა, პროპაგანდისა და განმტკიცების დღესასწაულს. რაც უნდა განვითარდეს კაპიტალისტური რაციონალიზაცია, ბურჟუაზია მაინც არასოდეს არ გააუქმებს თუნდაც ერთს ბურჟუაზიულ დღესასწაულს და მის ნაცვლად არ დააწესებს სამუშაო დღეს. ბურჟუაზიული დღესასწაულები კაპიტალისტური წყობილებისათვის ისევე საჭიროა, როგორც სამუშაო დღეები.

ექსპლოატატორთა დღესასწაულებს შორის უდიდესი დღესასწაულია აღდგომა. ეს „დღესასწაულთა დღესასწაული“ უდიდესი იმიტომ არის, რომ იგი, სხვა დღესასწაულებთან შედარებით, უფრო მეტად უნერგავს მორწმუნეებს კლასობრივი მშვიდობიანობის იდეას. „ვეამბოროთ ერთმანეთს, მიუტეოთ ყოველი დანაშაული“,—აი აღდგომის მთავარი იდეა. ბურჟუაზია ძალ-ღონეს არ ზოგავს, რომ ეს მისთვის ხელსაყრელი და მშრომელთათვის საზიანო იდეა ჩაუნერგოს კაპიტალისტური საზოგადოების ყველა წევრს.

ახალ სამყაროს თავისი დღესასწაულები აქვს. სოციალისტური დღესასწაული — რევოლიუციონური დღესასწაული, დღესასწაული, რომელიც მოუწოდებს მშრომელებს ექსპლოატატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მშრომელთა ძალების დასარაზმავად, მათ გასაერთიანებლად მსოფლიო მასშტაბით.

ახალი დღესასწაულები, მეტადრე დასავლეთში, რასაკვირველია, ნაკლებია, ვიდრე ძველი. ახალი დღესასწაულები მხოლოდ ეხლა იქმნებიან.

მშრომელთა ერთ-ერთი, ყველაზე უფრო ცნობილი, პოპულიარული დღესასწაული პირველი მაისია. ეს შრომის ნამდვილი დღესასწაულია, ბრძოლისა და კაპიტალზე შრომის გამარჯვების დღესასწაული.

მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილში, საბჭოთა კავშირში, შრომის გამარჯვება კაპიტალზე — მომხდარი ამბავია. ამიტომ საბჭოთა კავშირში პირველი მაისის დღესასწაული განსაკუთრებით სასიხარულო, მასიური, პოპულიარული, სახალხო დღესასწაულია.

პირველ მაისს მუშები და გლეხები ითვალისწინებენ თავიანთ მიღწევებს, თვალს ავლებენ ბრძოლაში განვლილ გზას, არკვევენ მომავალი მუშაობის გზას, აგრეთვე იმ დახმარების გზას, რომელიც მათ უნდა გაუწიონ თავიანთ ძმებს დასავლეთსა და აღმოსავლეთში.

მაგრამ საბჭოთა კავშირში ძველი სამყარო ჯერ არ მომკვდარა. საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ არსებობენ ბურჟუაზიული, წვრილბურჟუაზიული, ანტისაბჭოთა ელემენტები. მათთვის ოქტომბრის რევოლიუცია — გულში დასობილი მკვეთრი მახვილია. ეს ელემენტები არ სტოვებენ თავიანთ დღესასწაულებს — ძველ, რელიგიურ დღესასწაულებს.

აღდგომის დღესასწაული და პირველი მაისის დღესასწაული წელს თითქმის ერთსა და იმავე დროსაა. ამგვარად, ძველი სამყარო და ახალი სამყარო თავიანთი დღესასწაულების სახით ერთმანეთს ეჯახებიან. ვინ გაიმარჯვებს და ვინ დამარცხდება?

გაიმარჯვებს ის, ვისკენაც მომავალია. ეს საკითხი კი უკვე გადასწყვიტა ოქტომბერმა.

რასაკვირველია, საამდგომოდ ჯერ კიდევ ბევრი ხალხი იქნება ეკლესიებში. სააღდგომოდ ჯერ კიდევ ფართო ადგილი ექნება ლოთობას, ხულიგნობას, გარყვნილებას, ცხვირ-პირის მტვრევას, ერთის სიტყვით, ყველა იმას, რითაც წინათ განთქმული იყო რელიგიური დღესასწაულები. სააღდგომოდ წარმოთქმული იქნება სათნოებით სავსე ქადაგებანი „მოყვასისადმი და კულაკისადმი სიყვარულის“ შესახებ, იმის შესახებ, რომ დავიწყებას არ მისცენ სასუფეველი ღვთისა და ნაკლებად იზრუნონ მიწიერი საქმეებისათვის. მაგრამ ყოველივე ეს იქნება აქტი ბურჟუაზიული ნაშთების თავდაცვისა სოციალისტური მშენებლობის ძლევამოსილებისაგან. წითელი სააღდგომო ზარის რეკა რელიგიის დამასამარებელი ზარის რეკა იქნება საბჭოთა კავშირში.

არა მარტო საბჭოთა კავშირისა, არამედ მთელ მსოფლიოს მშრომელთა ნამდვილი სახალხო დღესასწაული პირველი მაისის დღესასწაულია. რაც უნდა ბრჭყვიალა იყოს აღდგომა, რაც უნდა ლამაზი ზიზილ-პიპილებით იყოს იგი შემკული, პირველი მაისის დღესასწაული თავისი სიმარტივით, თავისი მასიურობით, თავისი რევოლიუციონური ენთუზიაზმით მთლიანად დაჩრდილავს მას.

გაუმარჯოს მშრომელთა დღესასწაულს—პირველ მაისს.

ფ. ლ.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მეორე ტირაჟი

(გათამაშდა მოსკოვში 26—28 აპრილს)

მოგებათა ოფიციალური ცხრილი

პროცენტიანი ობლიგაციები

ოთხივე თანრიგში მოგებანი ხვდა შემდეგი სერიისა და ნომრის ობლიგაციებს:

სერია	ობლიგაცია	მოგება
01421	1—25	100 მან.
02254	1—25	„ „
02346	1—25	„ „
03358	1—25	„ „
03517	1—25	„ „
03661	1—25	„ „
03981	1—25	„ „
04155	1—25	„ „
04257	1—25	„ „
05283	1—25	„ „
05353	1—25	„ „
05467	—24	1000 „
05467	1—23, 25	100 „
05502	1—25	„ „
05642	1—25	„ „
05742	1—25	„ „
07211	1—25	250 „
07289	1—25	100 „
07423	1—25	„ „
07579	7—	1000 „
07579	1— 6, 8—25	„ „
07769	1—25	100 „
08981	1—25	„ „
09669	1—25	„ „
10119	1—25	„ „
10753	1—25	„ „
10813	1—25	„ „
11110	1—25	„ „
11134	1—25	„ „
11314	1—25	„ „
11378	1—25	„ „
11412	1—25	„ „
12528	1—25	„ „
12719	1—25	„ „
12907	1—25	„ „
13637	1—25	„ „
14049	1—25	„ „
14365	1—25	„ „
14655	1—25	„ „
14900	1—25	„ „
15302	1—25	„ „
15482	1—25	„ „
16061	1—25	„ „
16283	1—25	„ „
17393	1—25	„ „
17788	1—25	„ „
17877	1—25	„ „
19213	1—25	„ „
19410	1—25	„ „
19632	1—25	„ „
19971	1—25	„ „
20045	1—25	„ „
20174	1—25	„ „
20763	1—25	„ „
21128	1—25	„ „
21270	1—25	„ „
21683	1—25	„ „
21952	1—25	„ „
22582	1—25	„ „
22684	1—25	„ „
23221	1—25	„ „
23509	1—25	„ „
23960	—17	5000 „
23960	1—16, 18—25	100 „
24144	1—25	„ „
24224	1—25	„ „
24231	1—25	„ „
25132	1—25	„ „
25147	1—25	„ „
25173	1—25	„ „
25558	1—25	„ „
25723	1—25	„ „
25814	1—25	„ „
26347	1—25	„ „
26626	1—25	„ „
27410	1—25	„ „
27712	1—25	„ „
28763	1—25	„ „
29029	1—25	„ „
29170	1—25	„ „
29199	1—25	„ „
29278	1—25	„ „
29397	1—25	„ „
29653	—16	1000 „
29653	1—25, 17—25	100 „
29675	1—25	„ „
29960	1—25	„ „
30177	1—25	„ „
30229	1—25	„ „
30498	—03	
30498	1— 2, 4—25	100 „
30753	1—25	„ „
31070	1—25	„ „
31294	1—25	„ „
31433	1—25	„ „
32390	1—25	„ „
32674	1—25	„ „
32826	1—25	„ „
32953	2—	1000 „
32953	— 1, 3—25	100 „
34396	1—25	„ „
34423	1—25	„ „
34478	1—25	„ „
34657	1—25	„ „
35264	1—25	„ „
35753	1—25	„ „
35815	1—25	„ „
36065	1—25	„ „
36100	1—25	„ „
37164	1—25	250 „
37641	1—25	100 „
37182	1—25	„ „
38462	1—25	„ „
38584	1—25	„ „
38656	1—25	„ „
38665	1—25	„ „
39030	1—25	„ „
39245	1—25	„ „
39505	1—25	„ „
40256	1—25	250 მან.
40289	1—25	100 „
40307	—17	1000 „
40307	1—16, 18—25	100 „
40630	1—25	„ „
40667	1—25	„ „
40748	1—25	250 „
40804	1—25	100 „
40816	1—25	„ „
40820	1—25	„ „
41312	1—25	„ „
42305	1—25	„ „
42555	1—25	„ „
42767	1—25	„ „
42931	1—25	„ „
43263	1—25	„ „
43350	1—25	„ „
43582	1—25	„ „
43731	1—25	„ „
44367	1—25	„ „
44600	1—25	„ „
44613	—3	1000 მან.
44613	1— 2, 4—25	100 „
45813	1—25	„ „
46188	—25	1000 „
46188	1—25	100 „
46305	1—25	„ „
46411	1—25	„ „
46454	1—25	„ „
46884	1—25	„ „
46958	1—25	„ „
47615	1—25	„ „
47855	1—25	„ „
47889	1—25	„
48067	1—25	„ „
48085	1—25	„ „
48176	1—25	„ „
48210	—03	1000 „
48210	1—2, 4—25	100 „
48931	1—25	„ „
49050	1—25	„ „
49212	1—25	„ „
49514	1—25	„ „
49972	1—25	„ „
49975	—08	1000 „
49975	1—7, 9—25	100 „
50508	1—25	„ „
51203	1—25	„ „
51353	1—25	„ „
51409	1—25	„ „
51760	1—25	„ „
51791	1—25	„ „
51952	1—25	„ „
52279	1—25	„ „
52764	1—25	„ „
52866	1—25	„ „
53088	—20	1000 „
53088	1—19, 21—25	100 „
53147	1—25	„ „
53184	1—25	„ „
53545	1—25	„ „
53748	1—25	„ „
54047	—20	1000 „
54047	1—19, 21—25	100 „
54963	1—25	„ „
54966	1—25	„ „
54996	1—25	„ „
55314	1—25	„ „
55394	1—25	250 „
56245	1—25	100 „
56271	1—25	„ „
57390	1—25	„ „
57628	1—25	„ „
58189	1—25	„ „
58686	1—25	„ „
58848	—15	1000 „
58848	1—14, 16—25	100 „
58930	1—25	„ „
59785	1—25	„ „
59950	1—25	„ „
60408	1—25	„ „
60939	1—25	„ „
61326	1—25	„ „
61380	1—25	„ „
62337	1—25	„ „
62346	1—25	„ „
63189	1—25	„ „
63486	1—25	„ „
63598	1—25	„ „
63955	1—25	„ „
64559	1—25	„ „
65348	1—25	„ „
65356	—25	1000 „
65356	1—24	100 „
66021	—09	1000 „
66021	1— 8, 10—25	100 „
66292	—11	1000 „
66292	1—10, 12—25	100 „
67391	1—25	„ „
67467	1—25	„ „
67511	1—25	250 „
67533	1—25	100 „
68033	1—25	„ „
69438	1—25	„ „
69468	1—25	„ „
69633	1—25	„ „
71055	1—25	„ „
71346	1—25	„ „
72073	1—25	„ „
72367	—03	1000 „
72367	1— 2, 4—25	100 „
72434	1—25	„ „
72935	1—25	„ „
73617	1—25	„ „
73654	7—25	1000 „
73654	1—24	100 „
73966	1—25	„ „
75468	1—25	„ „
76162	1—25	„ „
76672	1—25	„ „
77008	1—25	100 „
77845	1—25	„ „
77865	1—25	„ „
77866	1—25	„ „
78345	1—25	„ „
78889	—24	1.000 მან.
78889	1—23, 25	100 „
78959	1—25	„ „
79019	1—25	„ „
79032	1—25	„ „
79091	1—25	„ „
79332	—10	1.000 „
79332	1—9, 11—25	100 „
79688	1—25	„ „

უპროცენტო ობლიგაციები

შვიდივე თანრიგში მოიგეს შემდეგი სერიისა და ნომრის ობლიგაციებმა

სერია	ობლიგაცია	მოგების ჯამი
00030	1—25	100 მან.
00058	1—25	„ „
00345	1—25	„ „
00580	1—25	„ „
00613	1—25	„ „
00813	1—25	„ „
00821	1—25	„ „
00821	12	1.000 მან.
00821	1—11, 13—25	100 მან.
01066	1—25	„ „
01186	1—25	„ „
01526	1—25	„ „
01968	1—25	„ „
02423	1—25	„ „
02580	05	1.000 მან.
02580	1—4, 6—25	100 მან.
02691	1—25	100 მან.
03045	1—25	„ „
03059	1—25	„ „
03144	1—25	„ „
03216	1—25	„ „
03307	1—25	„ „
03550	1—25	„ „
04002	1—25	„ „
04079	1—25	„ „
04228	1—25	„ „
04267	10	1.000 მან.
04267	1—9, 11—25	100 მან.
04422	1—25	100 მან.
04446	1—25	100 მან.
04703	1—25	250 მან.
05073	23	1.000 მან.
05073	1—22, 24—25	100 მან.
05290	1—25	„ „
05375	1—25	„ „
05375	1—25	„ „
05638	1—25	„ „
05752	1—25	„ „
05971	1—25	„ „
06024	1—25	„ „
06055	1—25	„ „
06057	1—25	„ „
06126	1—25	„ „
06243	1—25	„ „
06636	1—25	„ „
06691	1—25	„ „
06769	1—25	„ „
06874	1—25	„ „
07129	1—25	„ „
07133	1—25	„ „
07282	1—25	„ „
07721	1—25	„ „
07917	1—25	„ „
08567	1—25	„ „
08720	1—25	„ „
09018	1—25	„ „
09173	1—25	„ „
09602	1—25	„ „
09700	1—25	„ „
09724	1—25	„ „
09866	1—25	„ „
09921	1—25	„ „
10106	1—25	„ „
10349	1—25	„ „
10447	1—25	„ „
10460	1—25	„ „
10530	1—25	„ „
10606	1—25	„ „
10685	1—25	„ „
10949	1—25	„ „
10993	24	1.000 მან.
10993	1—23, 25	100 მან.
11238	1—25	„ „
11251	1—25	„ „
11487	1—25	„ „
11701	1—25	„ „
12103	1—25	„ „
12177	1—25	250 მან.
12655	1—25	100 მან.
12713	1—25	„ „
12958	1—25	„ „
13121	1—25	100 მან.
13175	1—25	„ „
13347	1—25	„ „
13780	1—25	„ „
13816	1—25	„ „
13885	1—25	„ „
14114	1—25	„ „
14348	8	1.000 მან.
14348	1—7, 9—25	100 მან.
14496	1—25	„ „
14994	1—25	„ „
15195	1—25	„ „
15323	1—25	„ „
15541	1—25	„ „
15566	10	1.000 მან.
15566	1—9, 11—25	100 მან.
15720	25	1.000 მან.
15720	1—24	100 მან.
15785	1—25	„ „
15799	1—25	„ „
15828	1—25	„ „
15882	1—25	„ „
16060	1—25	„ „
16142	2	1.000 მან.
16142	1, 3—25	100 მან.
16184	1—25	„ „
16246	1—25	„ „
16545	1—25	„ „
16559	1—25	250 მან.
16566	1—25	100 „
16581	1—25	„ „
16608	1—25	„ „
17091	1—25	„ „
17625	1—25	„ „
17710	1—25	„ „
17867	1—25	„ „
17981	1—25	„ „
18085	1—25	„ „
18316	1—25	„ „
18467	1—25	„ „
18756	1—25	„ „
18818	1—25	„ „
18846	1—25	„ „
18976	1—25	„ „
18998	1—25	„ „
19008	1—25	„ „
19011	3	1.000 მან.
19011	1—2, 4—25	100 მან.
19325	1—25	„ „
19544	1—25	„ „
19787	1—25	„ „
19912	1—25	„ „
19995	1—25	„ „
20279	1—25	„ „
20488	1—25	„ „
20517	1—25	„ „
20533	1—25	„ „
20542	1—25	„ „
20589	1—25	„ „
20793	1—25	„ „
20318	1—25	„ „
20832	1—25	„ „
20898	1—25	„ „
20942	1—25	„ „
20956	1—25	„ „
20987	1—25	„ „
21124	1—25	250 მან.
21180	1—25	100 მან.
21267	1—25	„ „
21599	1—25	„ „
21872	1—25	„ „
22053	1—25	„ „
22165	1—25	„ „
22466	1—25	„ „
22496	1—25	„ „
22508	1—25	„ „
22644	1—25	„ „
23005	14	1.000 მან.
23005	1—13, 15—25	100 მან.
23033	1—25	„ „
23074	1—25	„ „
23518	1—25	„ „
23600	1—25	„ „
23626	1—25	„ „
23979	1—25	„ „
24024	1—25	„ „
24324	1—25	„ „
24329	1—25	„ „
24424	1—25	„ „
24605	1—25	„ „
24747	1—25	250 მან.
24877	1—25	100 მან.
24920	1—25	„ „
25032	1—25	„ „
25033	1—25	„ „
25254	1—25	„ „
25780	1—25	„ „
25894	14	5.000 მან.
25894	1—13, 15—25	100 მან.
25977	1—25	„ „
26044	18	1.000 მან.
26044	1—17, 19—25	100 მან.
26512	1—25	„ „
26890	1—25	„ „
27156	1—25	„ „
27677	1—25	„ „
27773	1—25	„ „
27997	1—25	„ „
28100	1—25	„ „
28253	1—25	„ „
28326	1—25	250 მან.
28666	1—25	100 მან.
28673	1—25	„ „
28872	1—25	„ „
28884	1—25	„ „
28911	1—25	„ „
29553	8	1.000 მან.
29553	1—7, 9—25	100 მან.
29641	1—25	100 მან.
29869	7	1.000 მან.
29869	1—6, 8—25	100 მან.
30090	1—25	100 მან.
30131	9	1.000 მან.
30131	1—8, 10—25	100 მან.
30425	9	1.000 მან.
30475	1—25	100 „
30600	„ „	„ „
30649	„ „	„ „
30748	„ „	„ „
31300	„ „	„ „
31339	„ „	„ „
31349	18	1.000 მან.
31349	1—17, 19—25	100 „
31460	1—25	100 „
31485	„ „	„ „
31512	„ „	„ „
31703	„ „	„ „
31880	„ „	„ „
32067	„ „	„ „
32268	„ „	„ „
32437	„ „	„ „
33071	„ „	„ „
33741	„ „	„ „
33888	17	1.000
33888	1—16, 18—25	100 „
34285	1—25	100 „
34347	1—25	100 „
34631	„ „	„ „
34781	„ „	„ „
34879	„ „	„ „
34918	„ „	„ „
35416	„ „	„ „
35542	„ „	„ „
35572	„ „	„ „
35592	„ „	„ „
35616	„ „	„ „
35982	„ „	„ „
36093	„ „	„ „
36157	„ „	„ „
36278	„ „	„ „
36387	„ „	„ „
36739	„ „	„ „
36996	„ „	„ „
37143	„ „	„ „
37226	„ „	„ „
37259	„ „	„ „
37328	„ „	„ „
37431	„ „	„ „
37512	„ „	„ „
37712	„ „	„ „
38260	„ „	„ „
38783	1—25	250 მან.
39045	„	100 „
39098	„	„ „
39934	„	„ „
40236	„	„ „
40574	„	„ „
40718	„	„ „
40769	„	„ „
41120	„	„ „
41307	„	„ „
41536	„	„ „
41570	„	„ „
41651	„	„ „
41760	„	„ „
42005	1—25	250 მან.
42141	„	100 მან.
42333	„	„ „
42580	„	„ „
42587	„	„ „
42842	„	„ „
42938	„	„ „
43213	„	„ „
43345	„	„ „
38483	„	250 მან.
38438		100 მან.
38745	„	„ „
43360	„	250 მან.
43373	„	100 მან.
43422	„	„ „
43529	„	„ „
43616	„	„ „
43969	„	250 მან.
44021	4	1.000 მან.
44021	1—3, 5—25	100 მან.
44031	„ „	„ „
44062	„ „	„ „
44139	„ „	„ „
44292	„ „	„ „
44336	„ „	„ „
44468	„ „	„ „
44761	4	1.000 მან.
44761	1—3, 5—25	100 მან.
44855	21	„
44878	21	1000 „
44878	1—20, 22—25	100 მან.
45117	„ „	„ „
45183	„ „	„ „
45594	„ „	„ „
45637	„ „	„ „
45696	„ „	„ „
45981	„ „	„ „
46431	„ „	„ „
46453	1—25	100 მან.
46756	„ „	„ „
46788	„ „	„ „
47423	„ „	„ „
47694	4	5.000 „
47694	1—3, 5—25	100 „
47801	„ „	„ „
47933	„ „	„ „
48292	„ „	„ „
48461	„	100 „
48577	„ „	„ „
48590	„ „	„ „
48847	„ „	„ „
49216	„ „	„ „
49225	„ „	„ „
49231	„ „	„ „
49429	„ „	„ „
49485	„ „	„ „
49534	„ „	„ „
49710	„ „	„ „
49761	„ „	„ „
49796	„ „	„ „
49882	„ „	„ „
49884	„ „	„ „
50156	„ „	„ „
50276	20	1.000 „
50276	1—19, 21—25	100 „
50361	„ „	„ „
50533	„ „	„ „
50542	5	1.000 „
50542	1—4, 6—25	100
50625	4	1.000 „
50625	1—3, 5—25	1.000 „
50714	„ „	100
50773	17	1.000 „
50773	1—16, 18—25	100 „
50840	„ „	„ „
50849	„ „	„ „
51030	„ „	„ „
51149	„ „	„ „
51489	„ „	„ „
51555	„ „	„ „
51624	„ „	„ „
51952	„ „	„ „
52637	„ „	„ „
52648	2	1.000 „
52648	1, 3—25	100 „
53035	„ „	„ „
53267	„ „	„ „
53430	„ „	„ „

მოსკოვი, 3 მაისი. გადმოცემულია ტელეგრაფით.

(დასასრული ხვალ)

მდგომარეობა სასურსათო ბაზარზე
მუშკოოპის რწმუნებულთა კრება

გუშინ საღამოს, გაიხსნა თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა მე-16 კრება. პირველ სხდომაზე მოსმენილი იქნა „ზაკსოიუზი“-ს გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ბუკრეევის, მუშკოოპის გამგეობის წევრის ამხ. ავეტისიანის და მუშკოოპის რწმუნებულთა კომისიის წარმომადგენლის ამხ. მუსელიანის მოხსენებები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების და ამ საქონლის საცალო ფასების შესახებ.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ მიმდინარე წელს სას.-სამ. საგნების ბაზარზე თითქმის მთელ საბჭოთა კავშირში ადგილი აქვს ისეთსავე დაბრკოლებებს, როგორც თბილისის ბაზარზე. თბილისის მუშკოოპს და საერთოდ სამომხმარებლო კოოპერაციას თავის დროზე მიღებული ჰქონდა ზომები ამიერ-კავკასიის ბაზრის უზრუნველსაყოფად, რა მიზნითაც დადებული იქნა ხელშეკრულებები მოკავშირე რესპუბლიკებთან მთელ რიგ სას. მეურნეობის პროდუქტების დამზადების შესახებ. მაგრამ ამ საგნების დამზადების გეგმა მთლიანად ვერ იქნა შესრულებული და მუშკოოპი იძულებული გახდა მიემართა კერძო ბაზრისათვის და ამაღლებულ ფასებში შეეძინა სას. მეურნეობის პროდუქტები. მიუხედავად იმისა, რომ მუშკოოპი შეძლებისდაგვარად ამცირებდა თავის პროცენტულ ზედნადებს და ზოგიერთ პროდუქტს (მაგალითად, ლობიოს) ჰყიდდა უფრო იაფად, ვიდრე ყიდულობდა, — ამ პროდუქტების ფასი მაინც საგრძნობლად გაიზარდა.

მომხსენებლები საჭიროდ სცნობენ, რომ მომავალში სამომხმარებლო კოოპერაციას უფლება მიეცეს აწარმოოს დამზადების ოპერაციები და ამ მიზნით მუშკოოპს უნდა მიეცეს მიზნობრივი ავანსი 570.000 მანეთის რაოდენობით.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 10 კაცმა, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ დეფიციტიანი საქონელი უპირველესად ყოვლისა უნდა განაწილდეს კოოპერაციის წევრებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოოპერატიულ ორგანიზაციებში ფასების განსხვავების მოსპობას ერთსა და იმავე საქონელზე. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების განაწილება უნდა მოეწყოს უფრო მიზანშეწონილად, ვინაიდან არის შემთხვევა, რომ ერთ დღეს ამა თუ იმ პროდუქტს ანაწილებენ თითქმის ტომრებით, ხოლო მეორე დღეს ამავე პროდუქტის შოვნა მცირე რაოდენობითაც კი სჭირს. მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომ დაუსჯელი არ დარჩეს ხელშეკრულების დამრღვევი ორგანიზაცია და მშრომელი მოსახლეობის უზრუნველყოფას პროდუქტებით მიეცეს მტკიცე გეგმიანი ხასიათი და სხ. კამათის დამთავრების შემდეგ მოსმენილი იქნა მომხსენებლების საბოლოო სიტყვები, რის შემდეგ, მიღებული იქნა რეზოლიუცია.

შემდეგი სხდომა შესდგება დღეს, საღამოს ექვს საათზე. განხილული იქნება ღონისძიებები მაღაზიებში საქონლის დანაკლისების მოსპობის შესახებ და დეფიციტიანი საქონლის განაწილების საკითხი.

ავტომობილის კატასტროფა

ბათომი, 3 მაისი. ბათომ-ხულოს გზატკეცილზე კატასტროფა შეემთხვა კერძო ავტომობილს, რომელიც სოფ. დოლოგანში მიდიოდა. ავტომობილით მიემგზავრებოდა 5 მგზავრი. ავტომობილს წინა თვალი გაუტყდა და ამის გამო, გაქანებული ავტომობილი აჭარის წყლის კრიალო ნაპირიდან მდინარეში გადავარდა. სამი მგზავრი დაიღუპა: მათი გვამები გაიტაცა ადიდებულმა მდინარემ და ისინი ჯერაც არ აღმოუჩენიათ. (ადს).

მუშკორთა საყურადღებოდ

დღეს, საღამოს 6 საათზე ჩვენი რედაქციის ბინაზე (კამოს ქ. № 68) შესდგება გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა კრება. დღის წესრიგში სდგას მეტად საყურადღებო საკითხები. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

ქრონიკა

საკავშირო ს. მ. უ. ს. კომისიის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს სამრეწველო კომისია 5 სპეციალისტის შემადგენლობით. კომისიის ჩამოსვლის მიზანია საქართველოს მრეწველობის მდგომარეობის გაცნობა და გამოშვებული პროდუქციის ღირსებისა და მისი გაიაფების პერსპექტივების შესწავლა.

კომისია მუშაობას შეუდგა გუშინ.

აჯამეთის სარწყავი სისტემის აღდგენა

საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ გადასწყვიტა შეუდგეს მუშაობას აჯამეთის სარწყავი სისტემის აღსადგენათ. ეს სარწყავი სისტემა გაუქმებულია 1925 წლიდან. ამ წლამდე ირწყვებოდა 800 ჰექტარი მიწა, ხოლო სისტემის აღდგენის შემდეგ სარწყავი არხების გაფართოვების წყალობით შესაძლებელი გახდება 1,700 ჰექტარი მიწის მორწყვა.

სარწყავი სისტემის აღსადგენ სამუშაოების სახელმძღვანელოთ გაიგზავნა ინჟ. ა. ჯაფარიძე.

აღდგომას მუშაობენ

საქართველოს სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა საერთო კრებაზე მიიღეს რეზოლიუცია, რომ ორშაბათს, 6 მაისს, აკადემიაში ნორმალური მეცადინეობა სწარმოებდეს.

თბილისის აღმასკომში

◆ **ქსანის კრამიტის ქარხნის დირექტორი** ამხ. სანაკოევი, თბ. აღმასკომის დადგენილებით, განთავისუფლებული იქნა თავის მოვალეობიდან. მის ადგილზე დაინიშნა ამხ. ბახტაძე.

◆ **ღამის თავშესაფარის დასამთავრებლად** აღმასკომმა გადასდო 5.537 მანეთი.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **ფიზკულტურის ბიურო.** ჯანმრთ. სახ. კომისარიატთან ამხ: ქუთაიძის თავმჯდომარეობით დაარსდა ფიზკულტურის რესპუბლიკანური ბიურო.

რადიო-მეგობართა საზ-ბაში

◆ **გამოფენა.** რადიოს მეგობართა საზ-ბამ გადასწყვიტა ახლო ხანში მოაწყოს რადიო-გამოფენა.

◆ **ცდები.** რადიოს-მეგობართა საზ-ბამ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში გაგზავნა მოკლე და გრძელ ტალღებიანი რადიო-სადგურები ცდების მოსახდენად.

სხვადასხვა

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ოტობაიდან—ზანთარიას, მოსკოვიდან—დოლიძეს, ბათომიდან—მუჩაიძეს, სამტრედიიდან—მოსიძეს და ქუთაისიდან—დგებუაძეს.

◆ **ნაპოვნია წამლეულობა.** მცხეთის ახლო ნაპოვნია გატეხილი ყუთი შუშებში ჩასხმული წამლებით. დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს მექანიკოს ორჯონიკიძეს სად. მცხეთაში.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში.** დღეს, საღამოს 8 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში შესდგება ანტირელიგიური მოხსენება. მომხსენებელი ამხ. ბოლოტნიკოვი.

ჟურნალი „საბჭოთა აღმშენებლობა" № 9

გამოვიდა ჟურნალი „საბჭოთა აღმშენებლობა" № 9 შემდეგი შინაარსით: **მ. ცხაკაია**—მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაული—პირველი მაისი, **დ. ქუჩულორია**—საბჭოთა მე-5 ყრილობის შედეგები; სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-5 ყრილობის დადგენილებები; **გ. ლომთათიძე**—სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი, **შ. გომართელი**—სოფლისა და თემსაბჭოს როლი მოსახლეობის თვითდაბეგვრის საქმეში; **ვ. ვაშაკიძე**—ინვალიდთა კოოპერაცია ჩვენში. საქართველოს ცაკის ახალი შემადგენლობა. საქ. მეხუთე მოწვევის ცაკის პირველი სესია. საქართველოს ცაკის პრეზიდიუმში. თბილისის საბჭოს და აღმასკომის პრეზიდიუმში.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **სახელოვნო საბჭოს სხდომა.** დღეს, ნაშუადღევის 1-ლი საათისათვის დანიშნულია სახელოვნო საბჭოს სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნება მოხსენებები მოზარდ მაყურებელთა თეატრის ყველა სექტორების მუშაობის შესახებ განვლილ სეზონში.

◆ **სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბში** დღეს, 4 მაისს, შესდგება საოჯახო საღამო კინო-კონცერტით. კლუბის წევრებისა და მათი ოჯახებისათვის შესვლა უფასოა. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

ექსკურსიები

ექსკურსანტების ჩამოსვლა

1-ლი და 2 მაისის განმავლობაში პროვინციის ქალაქებიდან და მეზობელი რესპუბლიკებიდან თბილისში ჩამოვიდა ათზე მეტი საექსკურსიო ჯგუფი. მათ შორის — თელავიდან, ქუთაისიდან, ერევნიდან, ლენინაკანიდან და სხვა ქალაქებიდან.

პროფსაბჭოსთან არსებული საექსკურსიო ბიუროს ცნობებით, 1-ლი მაისის დღესასწაულებზე თბილისში ჩამოსული იყო სხვადასხვა ქალაქებიდან 2,000-ზე მეტი ექსკურსანტი.

5 და 6 მაისს თბილისში მელიან მრავალ მასიურ ექსკურსიებს პროვინციიდან. ჩამოსულ ექსკურსანტებისათვის ღამის გასათევი ბინების მისაცემათ და სხვა საჭირო დახმარების აღმოსაჩენათ (ხელმძღვანელების შერჩევა, მარშრუტების შემუშავება და სხვ.) მუშაობს პროფსაბჭოს საექსკურსიო ბიურო.

მასიური ექსკურსიები თბილისიდან

5 მაისს განათლების მუშაკთა კავშირი აწყობს დიდ მასიურ ექსკურსიას მცხეთაში. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს 200 კაცი.

იმავე დღეს მელითონეთა პროფკავშირი აწყობს ექსკურსიას შეფობაზე აყვანილ სამხედრო ნაწილისათვის მცხეთაში. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს 250 კაცი.

მედსანშრომის მუშაკთა კავშირი აწყობს მასიურ ექსკურსიას ტაბახმელაში. ექსკურსია 200 კაცის მონაწილეობით დაათვალიერებს ტაბახმელას ზოოტექნიკურ სადგურს და გაეცნობა მის მუშაობას.

გაზ. „ვიშკას" მუშკორების ექსკურსიის ჩამოსვლა

1-ლ მაისს, ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა გაზ. „ვიშკას" მუშკორთა და თანამშრომელთა ექსკურსია 43 კაცის შემადგენლობით. 2 მაისს ექსკურსიამ დაათვალიერა ქალაქის სხვადასხვა უბნები, ხოლო 3 მაისს ექსკურსანტები ეწვიენ თბილისის ზოგიერთი გაზეთების რედაქციებს.

გუშინ, საღამოს ექსკურსია გაემგზავრა უკან ბაქოსკენ.

კულტურული სადგურის მოსაწყობად

კვირას პროფსაბჭოს კულტგანყოფილება აწყობს სპეციალურ ექსკურსიას კოჯორში. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა პროფკავშირების კულტგანყოფილებათა გამგეები.

კოჯორში ექსკურსიის მონაწილენი აირჩევენ ადგილს კულტურული სადგურის მოსაწყობათ. ადგილის არჩევის შემდეგ იქვე გაიმართება თათბირი სადგურის მოწყობის საკითხებზე.

ფეხბურთი

ბაქო—თბილისი 1:1

გუშინ, 3 მაისს, „დინამო"-ს სტადიონზე მოხდა ბაქოელ ფეხბურთელების („დინამო") პირველი გამოსვლა. მათ წინააღმდეგ თამაშობდა გემოკვების მუშაკთა გუნდი, რომელმაც ამ შეჯიბრებით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მისი სახით თბილისს ჰყავს ძლიერი კოლექტივი, რომელსაც შეუძლია თვალსაჩინო შედეგებს მიაღწიოს საქალაქთაშორისო შეჯიბრებებში.

თუმცა მსაჯის ამხ. **დ. მდივანის** უტაქტობის გამო, გემო - კვების მუშაკების გუნდი არათანასწორ პირობებში იქნა ჩაყენებული (მსაჯმა მასთან შეკამათებისათვის მინდვრიდან გააძევა გემო - კვების მუშაკების ერთი მოთამაშე და გუნდს თითქმის მთელი შეჯიბრების განმავლობაში ათი კაცის შემადგენლობით უხდებოდა თამაში), მაგრამ მიუხედავათ ამისა გემო-კვების მუშაკები სასახელოდ გამოვიდნენ გამოცდიდან: ისინი არა თუ სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ ბაქოელებს, არამედ ხშირად მძლავრ შეტევაზეც გადადიოდნენ და საგრძნობლადაც ავიწროებდნენ მოწინააღმდეგეს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს გემო-კვების მუშაკების მეკარის ამხ. **სოლონინის** მეტად გაბედული და ლამაზი თამაში.

თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა 0:0, მეორე ტაიმში გუნდებმა გაიტანეს თითო ბურთი და მატჩი დასრულდა 1:1.

ბაქოს „დინამო" საკმაოდ ძლიერი გუნდია. ყოველ შემთხვევაში თბილისის გუნდებისათვის იგი საშიში მოწინააღმდეგეა. სტუმრების მხრიდან განსაკუთრებით კარგათ თამაშობენ მცველები და ორივე გარემარბი. ბაქოელები თამაშობენ საკმაო სწრაფი ტემპით და მათ ეხერხებათ ბურთის კოლექტიურად წაღებაც, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოწინააღმდეგის კარებთან ისინი სათანადოთ ვერ იყენებენ მათ მიერვე შექმნილ ხელსაყრელ მომენტებს.

კვირას, 5 მაისს, ბაქოელებთან თამაშობს მელითონეთა გუნდი, ხოლო 6 მაისს თბილისის ნაკრები გუნდი შემდეგი შემადგენლობით: **სოლონინი, ვორონოვი, მატიენკო, პარამონოვი, იმნაძე, რამიშვილი, ქოიავა, ფაჩულია, დიაკოვი, ვაჩნაძე და ქებაძე.**

ყველა შეჯიბრებები გაიმართება „დინამო"-ს სტადიონზე.

სასამართლო

ვერაგული მკვლელობა

პავლე პოპოვმა 1920—21 წლებში წერა-კითხვაც კი არ იცოდა ხეირიანად, მაგრამ მალე გაიწვიეს წითელ არმიაში. წითელი არმია ხომ საუკეთესო სკოლაა უცოდინარ და შეუგნებელ ელემენტებისათვის.

პოპოვს წითელ არმიაში ბევრი რამ შეასწავლეს. მას ისე შეუყვარდა წითელ ჯარში სამსახური, რომ ვადის გათავების შემდეგაც არ მოისურვა სახლში დაბრუნება. სცადა კარიერის გაკეთება არმიაში. ჯერ მიიღო უნცროსი მეთაურობა, შემდეგ საშუალო (ოცეულის) და 1925 წელს თავი ამოჰყო ქ. კუსკოვში წითელი არმიის სამხედრო ძაღლების გასაწვრთნელ სკოლაში.

1927 წლის გაზაფხულზე, როცა პოპოვი უკვე სტაჟიორ - ინსტრუქტორის თანამდებობაზე მუშაობდა, შეუჩნდა ერთ ახალგაზრდა ქალს — **ოლღა მარკოვას,** რომელიც თან ჩამოჰყვა, როგორც მოსამსახურე, საგარაკოდ ჩამოსულ ერთ ოჯახს.

პოპოვმა შეჰფიცა ქალს ერთგულობა, გააბა მასთან ინტიმური კავშირი, რასაც შედეგად მოჰყვა ოლღას ფეხმძიმობა.

რევოლიუციონურ - სამხედრო საბჭოს ბრძანებით პოპოვი ინიშნება კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სამხედრო ძაღლების სკოლის გამგეთ. პოპოვი მოემგზავრება თბილისში მარტოთ-მარტო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მისი სურვილის წინააღმდეგ ჩამოდის მისი ცოლშვილი.

პოპოვი ეხლა უკვე „დიდი" კაცია. მას ეთაკილება უსწავლელ, „მდაბიო" წრიდან გამოსულ ქალთან გავლა. მასთან ლაპარაკსაც აღარ კადრულობს, არა თუ გავლას. ქალი ზის სახლში და ბავშის ალერსში ატარებს დროს.

პოპოვი თავისი ძაღლებით ზაფხულობით ცხოვრობს სოფელ ოლგინსკოეში, (ნავთლუღიდან ოთხი ვერსის დაშორებით), იშვიათად ინახულებს „მდაბიო" წრიდან გამოსულ ქალს. უკანასკნელიც ურიგდება ასეთ მდგომარეობას. მისი მიზანია ბავშის გაზრდა.

მაგრამ ქალს ეს მიზანიც ხელიდან გამოეცალა. ბავში მოუკვდა. ამ ამბავს დიდი სიხარულით შეხვდა პოპოვი, რომელსაც დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა ცოლის თავიდან მოშორება.

გასული წლის 4 ოქტომბერს ოლღა მაკაროვა დაიკარგა.

— სად არის პავლე, შენი მეუღლე? ხომ არსად გაამგზავრე? — ეკითხებიან პოპოვს ამხანაგები.

— მოსკოვში წავიდა. ძალიან დიდი ბოდიში მოიხადა თქვენთან, რომ გამოთხოვება ვერ მოასწრო. სამაგიეროდ ხუთი მანეთი დამიტოვა... ლუდი დალიე ამხანაგებში და გზა დამილოცეთო, — უპასუხებს პოპოვი ამხანაგებს და მიჰყავს ლუდის სასმელად.

— მშვიდობით ემგზავროს! მშვიდობით გვენახოს,— იცლება სადღეგრძელოები.

ამ დროს ტყვიით დაცხრილულ ოლღა მარკაროვას გვამს ჰია-ღუები ეხვევიან კლდეში, სოფელ ოლგინსკოეს მახლობლად.

მთელი ექვსი თვის განმავლობაში არავის გაუგია ოლღას ბედ-იღბალი, მაგრამ ამა წლის იანვარში ფარდა აეხადა ყველაფერს.

გვამი აღმოჩენილ იქნა. პოპოვი იძულებული გახდა გამოტეხილიყო. ოლღა მას გაუტყუებია „სასეირნოდ", მოუკლავს და გადაუგდია კლდეში.

პოპოვს გაასამართლებს თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლო.

ვერ.

რკინის გზებზე

განათლება ტრანსპორტზე

ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოსთან გამართული საგზაო პროფგანათლების განყოფილებათა თათბირიდან დაბრუნდა ამიერ-კავკასიის რკინის - გზების პროფგანათლების განყოფილების უფროსი ამხ. კიკნაძე, რომელმაც განაცხადა:

— თათბირმა აღნიშნა, რომ ტრანსპორტის ორგანოებსა და განათლების განყოფილების სკოლებს შორის არ არის კავშირი, და გამოიტანა დადგენილება სკოლების საბჭოებთან ტრანსპორტის მუშაკთა წარმომადგენლების მიმაგრების შესახებ. სატრანსპორტო ფაკულტეტების სტუდენტობის კონტრაქტაციის საკითხი საბოლოვოდ გადაიჭრა და მთელი რიგი საინჟენერო ფაკულტეტები უკვე მიმაგრებულია გზათა სახალხო კომისარიატთან. გზათა გამგეობების ადმინისტრატიულ განყოფილებებთან ეწყობა სპეციალური დარგები, რომლებმაც თვალყური უნდა ადევნონ სატრანსპორტო ფაკულტეტების მუშაობას.

ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია ტრანსპორტის ინჟენერთა და ტექნიკოსთა კადრების 50 პროცენტით გადიდება (ადს).

თესვის კამპანიისათვის

გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარებისათვის ხელის შესაწყობად თბილისის საუბნო კომიტეტმა საკუთარ თანხებიდან გამოჰყო 200 მანეთი.

მატ. № 9—10-ს დამატებითი რეისი

გაზაფხულის დადგომის გამო მგზავრების მოძრაობა რკინის გზებზე გაიზარდა. მგზავრების დაუყოვნებლად გადასაყვანად მოსკოვსა და თბილისის შორის დაწესებულია დაჩქარებული მატ. № 9—10-ის დამატებითი რეისი.

დამატებითი მატარებელი თბილისიდან წავა ხუთშაბათობით, ხოლო თბილისში დაბრუნდება პარასკეობით.

სასპორტო დარბაზის და პლეხანოვის კლუბის შესაკეთებლად

პლეხანოვის სახელობის კლუბთან სასპორტო დარბაზის დასამთავრებლად და თვით კლუბის შენობის შესაკეთებლად თბილისის საუბნო კომიტეტმა გადასდო 17.000 მანეთი.

კულტმუშაკების ექსკურსია

მაისის ბოლო რიცხვებში თბილისის საუბნო კომიტეტი მოსკოვს, ლენინგრადსა და ხარკოვში აწყობს კულტმუშაკების ექსკურსიას.

ქალების ექსკურსია

თბილისის საუბნო კომიტეტი მოსკოვში და ლენინგრადში აწყობს რკინისგზელ ქალების ექსკურსიას.

ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს 40 ქალი სტალინის სახელობის ქარხნიდან, თბილისის დეპოდან და გზის სამმართველოდან.

შემთხვევები

დაჯახება.

— პოსტზე მდგომ მილიციონერს—ნიკო გიორგის ძე წიკლაურს აბანოს ქუჩაზე დაეჯახა ეტლი და მსუბუქად დააშავა. მეეტლე მიიმალა.

— ავტო-მანქანა № 168, რომელსაც მართავდა შოფერი—აგასი არკადის ძე აზნაუროვი კომუნალურ ქუჩაზე (№ 127 სახლის პირდაპირ) დაეჯახა ეტლს, № 207. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. შოფერი დაპატიმრებულია.

— მოტოციკლეტი, № 14, რუსთაველის პროსპექტზე დაეჯახა ბაქოდან ჩამოსულ ექსკურსანტს—სოლომონ დანიელის ძე გასპაროვს და მსუბუქად დააშავა. მოტოციკლეტის პატრონმა მოასწრო მიმალვა.

დაჭრა.

— პავლე ვლადიმერის ძე ჩერნიშევმა ჩხუბის დროს დანით მძიმედ დასჭრა ამბროსი ჩიჩუა (მცხ. ორჯონიკიძის ქ., № 36), რომელიც გადაგზავნეს კამოს სახელობის საავადმყოფოში. ჩერნიშევი დაპატიმრებულია.

— გიორგი ვერუიცკის ბინაზე (სადგურის ქ., № 31) ვიღაც ბოროტმოქმედმა რევოლვერით დასჭრა რაისა პეტრეს ასული ვერუიცკაია. დაჭრილს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს კამოს სახელობის საავადმყოფოში.

საავადმყოფოში მიყვანისას ვერუიცკაია გარდაიცვალა. ეჭვით დაპატიმრებულია გიორგი პავლეს ძე ვერუიცკი. გამოძიება სწარმოებს.

თვითმკვლელობა.

ნინა ასლანის ასულმა ქავთარაძემ (მცხ. ყოფ. 1-ლ თუმანოვის ქ., № 6) რევოლვერით მოიკლა თავი. თვითმკვლელობის მიზეზი—რომანიულია.

თავის მოწამვლა.

გუშინწინ 26 კომუნარების ბაღში იოდით თავი მოიწამლა დავით მინასის ძე დავიდოვმა (მცხ. კლარა ცეტკინას ქ., № 17), რომელიც გადაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

ქურდის დაპატიმრება.

მილიციამ დააპატიმრა შალვა ლეონტის ძე ზაქარაშვილი, რომელსაც ბრალდება ქურდობა და ჯიბგირობა.

ქურდობა

ალექსი მიხაილოვს სასტუმრო „ევროპა"-ში მოპარეს 1.000 მანეთის ნივთები;—გაქურდეს ფეხსაცმელების სახელოსნო (საბჭოთა ქ., № 78), წაიღეს 100 მანეთის საქონელი;—მიხ. მარტიროსოვს თავისუფლების მოედანზე ჯიბიდან ამოაცალეს 20 მანეთი;—არსმან მირზოევს ცენტრალურ ბაზარზე ჯიბიდან ამოაცალეს 180 მანეთი;—გიორგი გიოსიძის ბინიდან (კურსანტების შესახ., № 9) მოიპარეს 1.000 მანეთის ნივთები;—გაქურდეს სპირიდონ სიმონის ძე ვირსალაძის ბინა (პლეხანოვის გამზირი, № 58), წაიღეს 100 მანეთი;—მოსე მჭედლიშვილის ბინიდან (კალინინის ქ., № 94) მოიპარეს 450 მანეთის ნივთები.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 4 მაისი.

დღეს თბილისის რადიო-სადგური გადასცემს შემდეგ პროგრამას:

ოქტომბრელის საათი ქართულ ენაზე.—„აღდგომის წარმოშობა", საუბარი ქართულ ენაზე.—რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე.—„აღდგომის წარმოშობა", საუბარი რუსულ ენაზე (ამხ. ორლოვი).—კომკავშირელთა რადიო-გაზეთი რუსულ ენაზე.—დროის შემოწმება, რადიო-გადაცემის პროგრამა 5 და 6 მაისისათვის და ამინდის ბიულეტენი.—უკანასკნელი ცნობები.—ანტირელიგიური ლიტერატურულ - მუსიკალური საღამო—ურწმუნოთა ყრილობის ტრანსლიაცია მოსკოვიდან.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

სამშაბათს, 7 მაისს, საღამოს 6 საათ. საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის შენობაში მოწვეულია **თათბირი საშვებულებო კამპანიის ჩატარების საკითხის განსახილველად.**

სავალდებულოა შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენლების დასწრება: საქ. პროფსაბჭო, კავშირების ყველა ცენტრ. გამგეობა, საქ. ახ. ლ. კომკავშირის ცეკა და თბ. კომიტეტი, კლუბების გამგეობები, სახელმწ. უნივერსიტეტი, ცეკავშირი, ტყემეურნეობათა ცენტრი. სოფლის კავშირი, რემედასი, საქ. და თბ. თავდაცვა-ავიაქიმი, რადიო-სადგური, თბ. პოლიტგანი, ყველა გაზეთის რედაქციები და გლეხის სახლი.

საქ. კომპარტიის ცენტრ. საკონტრ. კომისია სთხოვს ამხ. ვასილ ეფრემისძე უნგიაძეს სამი დღის ვადაში გამოცხადდეს ცენტრ. საკონტრ. კომისიაში (რუსთაველის პროსპ. № 24, მესამე სართული, ოთახი 11).

სახ.-უნ. № 5 უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 4 მაისს, საღამოს 7 საათზე, შესდგება № 6 უჯრედთან გაერთიანებული ღია კრება. დღის წესრიგში სდგას ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

სახ. უნ-ტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი ამით აცხადებს, რომ კვირას 5 მაისს, დილის რვა საათზე ყველა უჯრედის წევრ-კანდიდატები უნდა გამოცხადდენ სახ. უნ-ტის ეზოში, სოფლად ექსკურსიაში მონაწილეობის მისაღებად. ცალკე უჯრედთა ბიუროს წევრები უნდა გამოცხადდნენ შვიდ ნახევარ საათზე.

სახუნტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს საღამოს სრულ ხუთ საათზე შესდგება სამკურნალო ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედის კრება. წევრ. კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

სახ. უნ-ტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს აგრ. ფაკ. მე-3 და მე-4 კურსის ა. ლ. კ. კ. უჯრედის წევრ-კანდიდატებს გამოცხადდნენ დღეს 4 მაისს, საღამოს 7 საათზე, აგრო-ფაკის შენობაში; საღამოს ხუთ საათზე უნდა გამოცხადდნენ ამავე უჯრედის ბიუროს წევრები და შემდეგი ამხანაგები: ბულეიშვილი, ერქომაიშვილი, თურქაძე, მახარაძე, ნიკოლაიშვილი, ძინძიბაძე, ქუთათელაძე, და ის ამხანაგები, რომლებიც იყვნენ გაგზავნილი თესვის კამპანიის ჩასატარებლად.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს კომუნისტური პარტიის წევრებს

ამხ. სერგო გუბელის
(სერაპიონ მეძმარიაშვილის)

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 5 მაისს დილის 11 საათზე. გამოსვენება ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან ძმათა სასაფლაოზე, ყოფ. ხუდადოვის ტყეში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს პარტიის წევრებს

ამხ. სერგო გუბელის
(სერაპიონ მეძმარიაშვილის, კორძაძის)

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. თბილისში 5 მაისს, დილის 11 საათზე. გამოსვენება ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან ძმათა სასაფლაოზე, ყოფ. ხუდადოვის ტყეში.

საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოება აუწყებს ამხანაგებს ძველ ბოლშევიკის

ამხ. სერგო გუბელის
(სერაპიონ მეძმარიაშვილის)

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 5 მაისს, დილის 11 საათზე. გამოსვენება ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან ძმათა სასაფლაოზე, ყოფ. ხუდადოვის ტყეში.

მამა ალექსი, და თამარი, ძმები მიხეილ და ნიკოლოზ მეძმარიაშვილები, რძალი ანიკო და დისშვილი პატარა ლილი ქანთარია ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას

სერგო გუბელის (მეძმარიაშვილის)

გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 5 მაისს, დილის 10 საათზე მთავარ საავადმყოფოს პროზექტურიდან. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე იქვე. 1633

ბაბუა სიმონ კორძაძე, დეიდა ფეოდოსი, გეგეშიძისა შვილებით: ნიკოლოზ, გიორგი და მიხეილ და ბიძა ნიკოლოზ კორძაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას

სერგო გუბელის (მეძმარიაშვილის)

გარდაცვალებას. 1632

გაუბედურებული ნიკო (თეოფანე) ვახტანგის-ძე ჯაყელი ღრმა მწუხარებით აცნობებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 29 აპრილს, საღამოს 10 საათზე გარდაიცვალა უძვირფასესი და დაუვიწყარი მეუღლე

მართა ანდრიას ასული ჯაყელისა

დაკრძალვა 4 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე, ქ. ბათომში. დეპ. ნ. 2648

დამწუხრებულნი: მეუღლე ანდრია თედორეს ძე, შვილებით: რემანოზ, ექიმი ისაკ და იოსები ანდრიას ძენი ოჯახებით იუწყებიან საყვარელ

ეკატერინე თომას ასული ხატრიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, 4 მაისს, ქ. ქუთაისში. 1628

ქართული ცხენოსანი ლეგიონი მთელი თავისი შემადგენლობით მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ამავე ლეგიონის ოცმეთაურ

გ. თარაშვილის

უდროვოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან, ტრამვაელთა სახლი, პლეხანოვის პროსპექტზე, 4 მაისს, 3 საათზე. 1621

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი მშობლები ასლანი და მარიამი შვილებით: აკაკი, შალვა, გრიშა, თამარი, ილუშა და საშა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 2 მაისს, ტრაღიკულად დაიღუპა მათთვის დაუვიწყარი

ნინი (ნინა) ასლანის ასული
ქავთარაძე--გაბუნია

დაკრძალვა სოფელ ნოსირში. 1629

გამოუთქმელი მწუხარებით დავტირით თავზარდაცემულნი და თამარი, ალექსი და ნინა ბუჩუკურები ტრაღიკულად დაღუპულ

ნინი (ნინა) ასლანის ასული
ქავთარაძე--გაბუნიას

ცხედარს. გამოსვენება დღეს, საღამოს 4 საათზე, ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან სადგურში, ფოთის მატარებელზე. 1630

დამწუხრებული მეუღლე დუსა, შვილები: სერგო ცოლით სონათი, ელიზბარი, საშა, ანიკა, მარგალიტა; ძმები: იასე, პეტკა და მიშა ცოლშვილით მღებრიშვილები და ანიკო ხვედელიანი ქმარშვილით აუწყებენ მეგობრებს და ნათესავებს, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

გიორგი მღებრიშვილი

დაკრძალვა 4 მაისს, ქ. ხაშურში. 1618

ღრმათ დამწუხრებული მშობლები, ნათესავები და მეგობრები იუწყებიან, რომ 30 აპრილს ტრაღიკულათ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

შალვა ალექსანდრეს ძე ნამურაძე

დაკრძალვა 4 მაისს კუკიის სასაფლაოზე, გამოსვენება დღის 3 საათზე რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდგან. 1625

ღრმად დამწუხრებულნი სოფიო ჯავახიშვილისა, მარიამ და გიორგი ფალავანდიშვილები ოჯახობით, ნინა თარხნიშვილი ქმარშვილით და მარიამ ლორთქიფანიძე ქმარშვილით აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს ძვირფასი

გიორგი ნიკოლოზის-ძე ამირეჯიბის და
მარიამ ვასილის ასული
ყარანგოზიშვილი--გაპეევას

უდროოდ გარდაცვალებას. პირველის გამოსვენება დღეს, 4 საათზე, მთავარ საავადმყოფოს პროზექტურიდან. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 1617

მწუხარებაში მყოფნი მშობლები: დათიკო და კატუშა აუწყებენ მეგობრებს და ნათესავებს, რომ

გიორგი დავითის ძე პანკელაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი კვირას 5 მაისს საგარეჯოში 1634

დამწუხრებულნი: დედა მზექალა, მეუღლე ფილიპე, შვილებით: მართა, ელენე, კატო, ვასო, მიტო, დათა; სიძეები: ლაზარიშვილი, ფაღავა, მერკუროვი იუწყებიან

მარიამ (მაიკო) მიხეილის ასული
მეტრეველის

გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 4 მაისს, 5 საათზე, ანტონოვის ქუჩიდან № 58 1623

ღრმად დამწუხრებულნი დედა ელენე, ძმები ბაგრატ და მათე მიქელაძე ოჯახობით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ა/წ. 2 მაისს გარდაიცვალა მათი საყვარელი

მარია მიხეილის ასული მეტრეველისა

დაკრძალვა მოხდება 4 მაისს დღის 5 საათზე კუკიის სასაფლაოზე, გამოსვენება კოჩეტკოვის (ყ. ანტონის) ქ. სახლი № 58 (ე)

იულია პავლეს ასული სანაძისა აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა/წ. 6 მაისს დაუვიწყარ ქმრის

იაკობ ვასილის ძე სანაძის

ხსოვნის აღსანიშნავად ახალ ვერის სასაფლაოზე დღის პირველ საათზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი (ე)

დამწუხრებულნი შვილები: იასონ, ფედოსია, ოლღა და ვალიკო შავლაძენი; რძალი ვალენტინა, შვილი მართა; მაზლისწულები ველიქტორი და მაშიკო; სიძეები ევგენი კობახიძე და ბიკენტი სოხაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარ

პელაგია გრიგოლის ასული შავლაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება თბ. რკ. გზ. საავადმყოფოდან შაბათს, 4 მაისს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1616

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ილია შვილებით ნინა, შურა, ბორია, პავლიკო და ძმა ლადო ფანცულაია აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

ლუბა ლევანის ას. კირკიტაძისა

დაკრძალვა სამშაბათს, 7 მაისს ქ. ქუთაისში. 1624

ძველი ბოლშევიკები: სერგო, ეპიფანე, ტარასი მეგრელიშვილები, გრიგოლ და ტარასი მგალობლიშვილები, შერმანდი, სეფე, ასალო, ლადიმე, კოსტა, ფიადორ, პავლე, ზევასტი, თედორე ცინცაძეები, თენგიზ ჟღენტი, ლევანტი რამიშვილი, მოსე კვარაცხელია და გიორგი რთველაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, ამხ.

ამბაკო თანიას ძე მეგრელიშვილი

დაკრძალვა მოხდა ჩოხატაურში 30 აპრილს. ნ. 2638

საქ. სახელმწიფო გამომცემლობა
სახელგამი
რუსთაველის პროსპ. 22

გამომცემლობა „შრომა"
რუსთაველის პროსპ. შრომის სასახლე

5 მაისს
გაიმართება წიგნის
საგაზაფხულო ბაზარი
მოედანზე ყოფ. სამხედრო ტაძრის წინ
შეღავათი ყველასათვის 10%--დან 50%--მდე
იჩქარე ბაზარზე--იყიდე საჭირო წიგნს

რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის ამიერ-კავკასიის განყოფილება რუსთაველის პროსპ. 16

სააქციო საზოგადოება „ზაკკნიგა"
რუსთაველის პროსპ. 24 ნ. 2625

რუსთაველის თეატრი
შაბათს, 4 მაისს მე-2 აბონ. მე-8 წარმოდ.
„საქმის კაცი" ?! ვ. ჰაზენკლევერის
კომ. 8 სურათად თარგ. ტიც. ტაბიძისა
დადგმა: შ. აღსაბაძის, მხატვარი: ირ. გამრეკელი
მთავ. რეჟისორი და სამხატვ. ნაწილის დირიქტორი ალ. ახმეტელი
დასაწყისი სრულ 8 ნახ. საათზე
დარჩენილი ბილეთები იყიდება თეატრის და მუშ. ზოლის სალაროებში
2—2 ნ. 2634

საქ. აკ. ოპერის თეატრი
ქუთაის-ბათომის სახელმწ. დრამის თეატრი
კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით გასტროლები თბილისში
შაბათს 4 მაისს — აბონემენტის გარეშე ურიელ აკოსტა
პიესა კ. გუცკოვის, თარგმ. ვ. გაფრინდაშვილის
დადგმა გ. სულიაშვილის მხატვარი პ. ოცხელი.
კვირას 5 მაისს — ურიელ აკოსტა
ბილეთები იყიდება დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე

იჩქარეთ ნახვა

იჩქარეთ ნახვა
სამხეცე რჩება უკანასკნელ 5 დღეს
რათა ყველას მიეცეს საშუალება ნახოს
სუმატრის ვეფხვები და სხვა მხეცები
უკანასკნელი 5 დღე დაკლებული ფასებით
სრულ ასაკოვანი 75 კაპ. ნაცვლად იხდიან მხოლოდ 50 კაპ. ბავშვები და მოწაფეები 50 კ. ნაცვლად იხდიან მხოლოდ 28 კაპ.
ისარგებლეთ შემთხვევით, რომ დაკლებულ ფასებში ნახოთ ვეფხვები
სამხეცე მიდის

ამ დღეებში
კინო სოლეიში
ტყის კაცი
რეჟისორი სტაბოვოი
ოპერატორი დემუცკი
კინო მინიონში
ღვიძლი ძმა
ჩუმადრინის მოთხრობის „ნათესავების" მიხედვ.
რეჟისორი კროლი

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ(ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დილის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დილის 10—12 საათამდე.
პლეხანოვისპროსპ. № 10

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, იფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

მათემატიკის
მასწავლებელი
ივ. მაჩაიძე
ამზადებს მათემატიკასა და რუსულ ენაში
უმაღლეს სასწავ., 10 წლედის მოწმობაზე, სამხედრო აკადემიაში და ყველა საგნებში შვიდწლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტექნიკ., 8 ჯგუფში შესავალი საკონკურსო გამოცდებისათვის და ასწორებს სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს.
პლეხანოვის ქ. და ჩერნიშევის ქუჩ. კუთხე 25 | 5.
ნახვა 9—12 ს. საღ. 2—6 საათ.
1183 3—1

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 25—

სამეცნიერო მხატვრული სურათი მალარია რეჟისორი ლ. პუში ოპერატორი ს. ზაბოზლაევი — განთიადი, არფასტო
რიჩარდ ტოლმეჯი სურათში ცრუ ატორნეი — სოლეი
შესანიშნავი ამერიკული ფილმი ჩიკაგო 2 დღეს კიდევ — აპოლო
აზიის გული (ავღანისტანი) — მინიონი
ქარიშხალი (შუქურა შავ ზღვაზე) — პალასი
გრაფი მონტე-კრისტო 5 და 6 სერია — დარბაზი
გრაფი მონტე-კრისტო 1 და 2 სერია — პროლეტარი
სახკინმრეწვის კინოები
კვირას კინო სოლეიში სეანსები დილით

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოუღლელობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ბონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: საღამოს 7—8 საათ. გარდა კვირა დღეებისა.
ტელ. №25—73 25—6 1240

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 6. 10. 25—1

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ
ნ. ზ. კონტოროვიჩისა
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა
ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება
მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—11

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29 ელსმენი—11—78.

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი უძლურების მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღება დილით 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათ. კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ., № 3. 25—1

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი (შეშხ. „914" გერმანული პრეპ.) ვენერიული (მწვავე და ქრონიკ. ტრიპერი) და კანის ავადმყოფობანი
მიღება { დილ. 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 7—8 ნახ. საათ.
კამოს ქ. № 72 (ყოფ. დიდი-მთავრის ქუჩა) ქალ. მეორე საავადმყოფოს მახლობლად 1274—25—1

ქ. ქუთაისი
ექიმი
თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება — სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 6. 25—19.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება:
ყურის, ცხვირის, ყელის სნეულებანი და მათი ქირურგია
მიღება 5—7 საათ. საღამოს
მისამართი: ჯულაშვილის ქუჩა (ყოფილი რტიშჩევის) № 14
ტელეფონი 20—10

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—8 ნახ. საღამ. ქალ. 5-6 კაც. 6-

თმის მკურნალობა
ვ. ი. დანილევსკაიას
სამკურნალო კოსმეტიკა
ლადო დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 18 პირისახის ყოველგვარი დეფექტის რადიკალური მკურნალობა. უცხოეთის უკანასკნელი მეთოდები. პირისახის და ხელების ყოველგვარი მასაჟი, აბაზანი, ნიღაბი. ყოველგვარი ელექტრიზაცია. რადიო-მოკს. მსურველთა მიღება ნაშუადღევის 1 ნახ. დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან—8-მდე. 25—1

ექიმი
ა. დ. პეპელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. 6. 20 25—1

დავკარგე: პირადობის მოწმობა ეკატერინე იოსების ასული ლომბაშიძეს სახელზე, ჩ. გ. 1615

დავკარგე: დაზღვევის წიგნაკი № 9991, იაკობ ფრანცის ძე მაისურაძის სახელზე. ჩ. გ. ნ. 2630

დავკარგე: ლომბარდის ქვითარი № 105989, ნინა დოვლადბეგოვის სახელზე, ჩ. გ. 1622

დავკარგე: მუშკოოპის წიგნაკი № 25664 მირონ ივანეს ძე ქერქაძეს სახელზე, ჩ. გ. 1619

დავკარგე: საანგარიშო წიგნაკი № 1536 და ბიულეტენი კირილე ესტატეს ძე ლაზარიას სახელზე, ჩ. გ. 1620

დავკარგე: საპენსიო წიგნაკი № 9754 გაცემული დამზღვევ სალაროს მიერ ათანასე ებრალიძეს სახელზე, ჩ. გ. 1626

დავკარგე: სკოლის მოწმობა გაცემული ქალ. ოზურგეთის მთლიან ცხრაწლიან შრომის სკოლიდან ვალერიან ილარიონის ძე მელუას სახელზე, ჩ. გ. 1627

დავკარგე: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 793 არტაშ ხოჯაბანიანის სახელზე ჩ. გ.

დავკარგე: გლეხკომის მოწმობა № 18, გაცემული ორპირის თემის გლეხკომის მიერ, ავადმყოფობის მოწმობა, გაცემული ქუთაისის ჯანმრთელობის განყოფილებიდან გიორგი გრიგოლისძე აფხაიძის სახელზე, ჩ. გ.

ტირაჟი—39.548
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.